ლიტერატურული გაზეთი

№109 15 - 28 ნოემბერი 2013 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 50 თეთრი

ვანო ჩხიკვაძე
ქოფაკი
ყოველ დილით პარკში, ფილქანაყრილ გზაზე, მტვერში, ხრიოკში უძრავად, მკვდარივით წევს ყვითელბეწვა მაწანწალა ძაღლი. გზის გაყოლებაზე ხეები, მწვანე მოლი და შედარებით სისუფთავეა, მაგრამ იქ არ წამოგორდება, მაინც და მაინც აქ, ნაგავსა და ცემენტის დუღაბის ნანგრევებშია გარდიგარდმო გახიდული.
რას იზამ, ძაღლია და გუნება!
მაინც მიკვირს, სუფთა ბალახს დამახრჩობელ მტვერში გდებას რატომ არჩევს.
წინ დავუცუცქდი:
— ცუგო, თავი არ გეცოდება? აგერ, ნაძვის ძირში წამოწექი.
თვალები ზანტად გაახილა, შემათვალიერა და სიცხით აქასქასებულმა საღი კბილები გამოაჩინა, თითქოს გამაფრთხილა, თავი დამანებე, განცხრომაში ხელს ნუ მიშლიო.
ინანიშვილის „ხევსური“ გამახსენდა.
ისიც ასე.
ხასიათი.
პიტალო შეუვალობა.
„არამ სისხლ მიაქვთო.“
იმას რა უშავდა, ჩვენ, აგერ უკვე მერამდენე წელიწადია, ნამდვილ სისხლს გვწოვენ, ძარღვები დაგვიწრიტეს და მაინც მორჩილად, ბედს შეგუებულებივით ვაგდივართ ჩვენი ძნელბედობის გზაჯვარედინზე.

II-III

რეცენზია

დიანა ანფიმიადი
სალომე ბენიძეზე
VII

ლექსო დორეული
ტარიელ ჭანტურიაზე
XI-XII

გივი ალხაზიშვილი
***
ფოთოლს, რომელსაც ბავშვობაში იმახსოვრებდი,
როგორც აწმყოს უწყინარ ნიშანს,
იგი მომავალ აწმყოშიაც
ნოემბრის წვიმით დასველებულ შუშას აეკრო
შეყვარებულის ხელისგულივით
და მე, რადგანაც არ ვიცოდი ქირომანტია,
სამაგიეროდ წარმოსახვა მქონდა ულევი,
ჩვენ გავუწოდეთ ხელი ერთმანეთს
და ერთმანეთში ჩაზრდილ დროში
შევაღწიეთ ხელისგულებით:
იქ, სადაც, თურმე, დღემდე გვეძებენ
ჩვენი თვალები სიყვარულით შენისლულები.
P.S. ეცადე, აგვისტო
არ მოაგვირისტო...
IV-V

ნუგზარ ბაბანაშვილი
დათო ქარდავაზე
XIV

სოფიო წულაია
ბექა ქურხულზე
XV

ინტერვიუ
არჩილ ქიქოძე:
„მიყვარს,
როცა ამბებია“
X-XI

ვანო ჩხიკვაძე

ყვავები და ტოროლები

1.

გამთენიისას, უკვე მერამდენედ, ქალაქის შუაგულში გორაკზე „ამოსული“ ციხის დასაპყრობად მივეშურები.

ძველი უბნის ვიწრო ქუჩას გავცდებით თუ არა, ქვაფენილიანი აღმართი იწყება. მსუბუქი, სპორტული ფეხსაცმლის ძირები მაგრძნობინებენ რიყის ქვების სიგლუვეს, წიბოებს, სიმკვრივეს, სიგრილეს, მილიონი წლობით ჩატუმბულ, მზის, ქარიშხლების, ღვარცოფების გაქვავებულ ენერგიას, მეტყველი მდუმარებით მახსენებენ, როგორ კვესავდნენ მალემსრბოლელების თუ მომხდურთა ცხენების დანალული ფლოქვები, როგორ იწვოდა, ინგრეოდა ციხე და თავიდან როგორ შენდებოდა — ჩარჩოზე შემდგარი კალატოზი ჩაქუჩის ერთი დარტყმით გადატეხავდა ქვას და თითქოს უხსოვარი დროის წინ ჩაკეტილი ზარდახშა გაიღოო, ხორკლიანი ციმციმი ამოიფრქვეოდა.

გზადაგზა თავს ვუდრეკ ნისლმოხვეულ გორიჯვარს.

თანდათან ბაცდება სალოცავის კონტურები, იცილებს თეთრ საბურველს და ცხენზე ამხედრებული წმინდანივით გამოდის ბურუსიდან.

ქვაფენილი პირველი გოდოლის კიბეებთან თავდება.

კიბესაც ავათავებ და უკვე ციხეზე ვარ.

შემოგარენში ყვავები და ტოროლები მხვდებიან.

ყვავები შემოდგომის ახალამობიბინებულ სიმწვანეზე დაიფოფრებიან, ღონიერი ნისკარტებით ჩიჩქნიან მიწას, ნიადაგის თხელ ფენას ამოფარებულ საკბილოს ეძიებენ და პოულობენ, ამოაკონწიალებენ ზანტ, მცონარა ჭიაყელებს და კოხტად მოპირკეთებულ, ძაბრივით სადგომებს უნგრევენ ჭიანჭველებს.

ჩემს დანახვაზე უკმაყოფილოდ გადასჩხავლებენ ერთმანეთს და ფრთებაფართხუნებულები ქონგურებზე შემოსხდებიან.

შორიდან ლილიპუტ მეციხოვნეებს ჰგვანან, შემართულები, შეაბჯრულები ფხიზლად რომ აყურადებენ თითოეულ ჩქამს და, უპირველესად, მე მითვალთვალებენ, როდის გადავინაცვლებ აღმოსავლეთის კედლისკენ და მოვცილდები ციხის შუაგულს, რათა ისევ იზრუნონ კუჭის ამოსავსებად.

ოჰ, ეს კუჭი!

რამდენი წვალება და განსაცდელი მოაქვს ყველა სულიერისათვის!

ყვავები მაინც ძალიან ჯიგრები არიან:

ჩემი წარმოდგენა, ზღაპრებიდან თუ გადმოცემებიდან, ზედაპირული და უარყოფითი, თანდათან ქრება — ამ ერთი შეხედვით ყიამყრალ, აბეზარ ფრინველებს არც ღირსება აკლიათ და არც სიბრძნე.

რა ყვავებისა აგიტყდა, რას გაილექსეო, ცოცხალი რომ ყოფილიყო, მეტყოდა ერთი ჩემი გარდაცვლილი მეგობარი, დატკბი გამთენიის მზით, აღმოსავლეთიდან რომ ეპარება ქალაქს, ნელ-ნელა ინვერება და სადაცაა ოქროსფერ ეტლზე ამხედრებული ფარაონივით მოადგება, ქალაქის საუკუნოვანი „დეკორაციის“ კედლებს თავს დაუკრავს და ცეცხლოვან ისრებს ტყორცნისო.

სადაცაა კი არა, უკვე ამობრძანებულა კიდეც:

— გამარჯობა, მზეო! — ვესალმები და გულთან მიტანილი ხელით თავს ვუდრეკ სამყაროს ალერსიან დედას.

ახლა უკვე შემიძლია, აუჩქარებელი სიარულიდან ძუნძულზე გადავიდე, აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთის კედლისკენ გადავინაცვლო და კიდევ ერთხელ შევაშფოთო ქონგურიდან ჩამოფრენილი, საქმეში გართული ყვავები, შევაწყვეტინო დილის ნადიმი.

რა იციან, რომ არაფერს ვერჩი, თორემ უკმაყოფილო ყრანტალით ხომ არ გამეცლებოდნენ.

ანდა გაემტყუნებათ? ადამიანი რა სანდოა:

გუშინ, ტელევიზიით, ქალაქს, აწ გარდაცვლილი, ერთი ღირსეული კაცი გაულანძღეს, ოცი წლის წინანდელი ბოღმა ახლა ამოანთხიეს, დრო იხელთეს, ტალახი ესროლეს, მაგრამ თვითონ უფრო ბევრი

ლაფი გადაისხეს...

ეს ადამიანები „ბარიკადებზე“ არავის უნახავს, სამართლიანობისთვის წვეთი სისხლი და ოფლი არ გაუღიათ და ყველაზე გულმოსულები კი მკერდზე მჯიღს იბრაგუნებენ.

იბრაგუნონ, ვიდრე არ ჩაუნგრევიათ, მაგრამ მოჭირნახულე ადამიანებს რას ერჩიან, ოცი წლის წინანდელ სათქმელს დღეს რატომ იხსენებენ, ჩავლილ ტალღებს რატომ მისდევენ?

ბოლოს და ბოლოს, სინდისიც ხომ კარგი საქონელია?

რაო, ყვანჩალა, რატომ ჩახითხითდი სინდისის ხსენებაზე?

შენ რა გითხარი, მრავალ ჭირგადანახადო, ჩვენი ზღაპრების გმირო, შენ ხომ ვერაფერს გამოგაპარებ — ოცი წლის შემდგომ დამსმენებს სინდისთან რა ხელი აქვთო.

სიამოვნებისთვის ამოვედი, გუნება კი მომეწამლა.

ციხიდან დაბლა ვეშვები.

ისევ ნაცნობი საფეხურები, ქვაფენილები და ნისლის საბურველიდან გამოსული სალოცავი.

მარჯვენა ხელი შუბლთან მიმაქვს.

ქონგურებიდან ცნობისმოყვარე ყვავები თანაგრძნობით გადმომყურებენ.

2.

დღესაც, ყვავები და ტოროლები დაბარებულებივით დამხვდნენ.

ალბათ, ყვავებსაც ტოროლები აღვიძებენ:

„ტოროლას მაინც არ მოვკლავ,
ბევრიც რომ მქონდეს წამალი.
საწყალი ღამის მეხრისა
ის არის კარგი მამალი.“

ტოროლები აფხიზლებდნენ მეხრესაც, გუთნისდედასაც და ქონგურებზე წამიერად ჩათვლემილ მეციხოვნესაც.

სად არიან მაშინდელი ტოროლები, ან ამ ქვეყნისა და ბუნების შვილები, თაობების წყება-წყებად რომ მიდიოდნენ და მოდიოდნენ, ეძალავებოდნენ ტიალი წუთისოფლის ბორბალს, სიცოცხლის მიწურულს კი ვალმოხდილები, გულხელდაკრეფილები მიილეოდნენ, როგორც გახურებულ რიყეზე დაცოტავებული წყაროები.

ახლა სამყაროც გვეცოტავება — რამდენიმე საათში დედამიწის მეორე მხარეს თავს დაუკრავ. მაშინ კი, ერთი სოფელი, როგორც წვეთი ზღვისა, მთელ სამყაროს იტევდა. ადამიანი, მიწა, ბალახი, საქონელი, ნადირი, ტყე და ფრინველი, საერთო ფესვებით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული, ერთი ფიქრით და საზრუნავით იყო გაჯერებული სულიერის თუ უსულოს თანაცხოვრება.

ადამიანი თავისთავთან უფრო ახლოს იყო.

ახლა უთვალავი სინათლის წელიწადით დაშორდა, გაუცხოვდა, აღარც იმისი ესმით და ვეღარც თვითონ გაუგია თავისთავისა.

„ტოროლას მაინც არ მოვკლავ...“

როგორი სიყვარული გაიღო უცნობმა მელექსემ, როგორ ალალად გამოხატა თავისი მადლიერება სიცოცხლისა და სიფხიზლის მოტრფიალე ფრინველისადმი...

ერთი ჩემი წინაპარი, თურმე, სტუმრად იყო თბილისში ნათესავებთან.

იქიდან დაბრუნებულს, ბუნებრივია, თავს დაეხვივნენ შინაურები თუ მეზობლები, გვიამბე, ცუკა, რა ნახე, როგორ მოიარე დიდი ქალაქი, ერეკლე ხომ არ გაცოცხლდა და ქუდზე კაცს ხომ არ გვეძახისო.

— აბა, კარგი რა უნდა გითხრათ, — ამოიოხრა თურმე ცუკამ, — მე ამის მეტად ქალაქში ფეხის ჩამდგმელი აღარა ვარო.

— რათა, კაცო, რათაო, — დაცქვიტეს თურმე ყურები და უფრო ახლოს მიუსხდნენ, კაცის ნაუბარიდან რამე არ გამოგვრჩესო.

— რათაო და, ამხელა ქალაქში ძაან უსალმო ხალხი დადის, ჭიანჭველებივით ირევიან და ვერც კარგს შეტყობ და ვერც ავსაო.

— სათქმელი ბოლომდე ამოღერღეო, — დაელიათ მოთმინება სოფლელებს.

ცუკამ მოწყვეტით დასცხო გაშლილი ხელისგული მუხლისთავს და ამოთქვა გულის ჯავრი.

თურმე, თბილისის სადგურს როგორც კი მიაკივლა ორთქლმავალმა, სხვებთან ერთად ეს ჩვენი ცუკაც თავის ხელბარგიანად ჩამობრძანდა ვაგონიდან, დაუყვა სადგურის ქუჩას და, როგორც სოფელში სჩვეოდა, შემხვედრებს თავის დაკვრით ესალმებოდა, მშვიდობის დილას უსურვებდა.

ქალაქელები ხანდაზმულ კაცს გაკვირვებით თვალს აყოლებდნენ, ზოგი იცინოდა, ზოგი მხრებს იჩეჩავდა და, ალბათ, ფიქრობდნენ, თბილისს კიდევ ერთი გიჟი შეემატაო.

— მოკლედ, ვთქვი და გავათავე, ქალაქში სიარული ჩემი საქმე არ არისო, — გადაწყვეტილად, ხელმეორედ დაირტყა მუხლზე ხელისგული, ვითომ ქალაქის თავის თანამდებობაზე ეპატიჟებოდნენ და უარობდა.

კიდეც მიეპატიჟათ, არ იზამდა, გუთნის ტარს გუბერნატორის კვერთხზე არ გაცვლიდა, ხნულში ჩამდგარს შიშველ ფეხებზე ბელტის სიგრილე და სიწმინდე უნდა ეგრძნო, აჟრიამულებული ტოროლების მოძახილზე უნდა დაეწმინდა გუნება-განწყობა.

ეჰ, გუთნისდედები და მეციხოვნეები.

მითუმეტეს — ტოროლები...

ვიცი, სიცილით მოკვდებიან ვირტუალური „საწუწნით“ გაბრუებულები.

მომძლავრებული ეშმაკი ცდილობს, დავივიწყოთ ადამიანის ღვთიური კავშირი ბუნებასთან, ჩვენს მარჩენალ მიწასთან, მის მკვიდრებთან...

ეს კავშირი არ გაწყდება, ვიდრე იცოცხლებს კაცი, რომელსაც საკაცობრიო ღირებულებათა გადაგვარება-გაციება გაუკვირდება და წინ აღუდგება.

ცუკამ უსალმობა ვერ აპატია თანამემამულეებს.

ახლა რომ წამოაყენა...

„ტოროლას მაინც არ მოვკლავ...“

ვიღაც მხოლოდ ამ უწყინარ ფრინველს კი არა, აიმ მზესაც ემუქრება, ციხის აღმოსავლეთით, თვალწინ რომ ამომიფრთხიალდება ხოლმე და ვეებერთელა კვერცხისგულივით ცისკიდურზე დაეკიდება.

„ბორჯომის“ ბოთლი

სიცხე.
შვიდზე უკვე ბუღია.
შენ მერე ნახე, რა იქნება!
აბა?
(ვაა, ამას აქ რა უნდა, ტოო?).

ასე როგორ გამოვიბრუჟე, რომ შინისკენ გზა ვეღარ გავიგნე.

გაწყდეს სადაც წვრილია —

ღამით ნაწვალებ, დაჭმუჭნულ, დაღეჭილ ზეწარს გადავხდი და შიშველ ქალს ზემოდან დავემხობი.

როგორც ორი მხურვალე სპილენძის

თავსახური, საარაყე ქვაბის ზარფუში, ან საორკესტრო თეფში — ტკა

ფრთებს ეფერება.

ნიჟარას რაკუნით ხვდება კენჭი.

შეწყდა მელოდია.

აფრინდა ჩიტი.

მოხუცებულიც გამოერკვა, ისიც აფრინდა ხსოვნის ტოტიდან...

იქვე, კედლის გაყოლებაზე, სამი ძალიან წითელი, გასაფურჩქნად ახლად პირგაპობილი ვარდის კოკორია.

ქალი მივა, გაჭირვებით დაიხრება ვარდებისაკენ, რიგრიგობით დაყნოსავს და თითქოს თვითონაც წყლის წვეთებით გაიგრილა ყელი, მადლიერი მაღლა იყურება.

ჩიტი ხელმეორედ მოფრინდა.

სიმღერის დაწყება არ აცალეს, ისევ რაკუნით მოხვდა კენჭი „ნიჟარას.“

შეშინებულმა ვარდებმა პირი მაგრად მოკუმეს.

მოხუცებული მიიხედ-მოიხედავს — ტუჩებზე თხელ, გაცრეცილ თითებს მიიფარებს, თითქოს ვიღაცას აჩერებს და უფალს, მის ნაცვლად, პატიებას სთხოვს.

ჩარჩო

26 თებერვალი. დილიდან ისევ თოვს.

აივანზე უკვე სქლად დადო.

ბარდნის, ბარდნის, უფრო ლამაზს ვერაფერს ნახავს თვალი

ჩვენს პირდაპირ, კორპუსის პირველი სართულის ფანჯრიდან, ახლად გაღვიძებული, თმაგაბუწული ქალი იყურება.

დაახლოებით ისეთი, ხის თოჯინებს ნახშირით ცხვირ-პირს რომ დაუხატავდნენ ხოლმე. მის დანახვაზე ზოგს ცოცხიანი ჯადოქარი ანდა ილიას ლამაზისეულიც შეიძლება გაახსენდეს...

წლების წინ ამ ფანჯრიდან ხშირად სათნო სახის, ჭაღარა, ლამაზად დაბერებული ქალბატონი იყურებოდა და გაბრწყინებული, თან სევდიანი თვალებით შეჰყურებდა ფიფქების ფარფატს.

ერთ დღეს ფანჯრის ჩარჩოდან სურათივით ჩასმული ქალის სახე გაქრა:

როგორც წესი, სურათებს მოძველებულ ჩარჩოს უცვლიან, ამ შემთხვევაში კი პირიქით მოხდა, ჩარჩო დატოვეს და სურათი გამოცვალეს — წავიდნენ ფიფქები და მოხუცებულიც თან წაიყვანეს.

ორი ლარი

აბეზარ ქოჩორს მერამდენედ ისწორებს სარკეში.

თავისთავს მუშტრის თვალით ამოწმებს და გუმანი მეუბნება — ბიჭი შეყვარებულია.

— ორი ლარი დამიმატე!

— რას დაგიმატო და რად დაგიმატო?

— თეატრში მივდივარ, ბილეთები უნდა შევიძინო.

— შენი ძმა მიგყავს?

— ძმა არა...

— მაშ?

— ბევრის ცოდნა გაწყენს, — ეღიმება და თვალებში ჩემთვის ნაცნობი სხივი უკრთის.

მეც თეატრით დავიწყე.

არა, მცდელობები მანამდეც მქონდა, მაგრამ ჩაკიდებულმა თითებმა ერთმანეთის ჟრუანტელი რომ გვაგრძნობინეს, პირველად თეატრში მოხდა.

მთელი რიგი ჩვენ და ჩვენს გულშემატკივრებს გვეკავა — იმას თანაკლასელი გოგოები ახლდნენ, მე — მეგობარი ბიჭები.

გოგოს მოკლედ შეჭრილი თმა ჭიამაიასავით საყურეს ჩამოეფარებოდა ხოლმე.

მოხალული მზესუმზირისა და ცხელი უთოთი გატკეცილი თეთრი საყელოს სურნელს აფრქვევდა.

როგორც იქნა ჩაქრა შუქი. მუსიკოსების ორმოდან დამფრთხალი ჩიტებივით ამოფრინდნენ ბგერები და მძიმე, შავი ხავერდის ფარდა შეირხა.

თითქოს ამას ელოდნენო, ჩვენ შორის დამფრთხალი თაგვებივით გაფაჩუნდნენ ხელები, გამოძვრნენ ჯიბის სამალავებიდან, ყნოსვა-ყნოსვით ერთმანეთი მოძებნეს, ჩაეხვივნენ, ელასტიური წნელებივით ჩაეხლართნენ ერთიმეორეს და, ასე მეგონა, ჩემმა გულისცემამ მთელი დარბაზი ჩვენსკენ მოახედა.

ამ ჩემს ბიჭს ჰგონია, უცხო პლანეტა უნდა აღმოაჩინოს, არ იცის, რომ პირველი სიყვარულის წყარო თავის დროზე მეც ვიგემე და ჩემამდეც მილიარდები დასწაფებიან, გული უჯერებიათ.

„წყარო“ მოდის, მოდის, არც არასოდეს არ დაშრება, თუკი წმინდა ზრახვებს გაანდობ, დაუჩოქებ, როგორც მლოცველი, ყელგამშრალი მგზავრი და ტუჩებზე იგრძნობ მის ერთდროულად დამამშვიდებელ და ამაფორიაქებელ ლამუნს.

ჰოდა, ამხელა ამბავთან საზიარებლად პირველად მიდის ბიჭი და მხოლოდ ორი ლარის დამატებას თხოულობს.

მე კი, მოყირჭებული კაცის გულგრილობითა და სიმკაცრით ვეკითხები, რას დაგიმატო და რად დაგიმატო-მეთქი.

უფრო სულელური შეკითხვა (ამ შემთხვევაში) ხომ წარმოუდგენელია?

ის, რაც პირველად ხდება, სამუდამოდ თავს გვამახსოვრებს — პირველი შეხება, თითისგულების ფეთქვა, თანაც იმ დროს, როცა სიბნელეში ჩაძირული სცენა, კულისები სიჩუმეშიც კი ბობოქრობს, როცა საგრიმიოროს სარკეზე ჯერ კიდევ არ წაშლილა სპექტაკლის გმირების შეყვარებული თვალები...

როლში შეჭრილმა მსახიობებმა რა იციან, რომ ნამდვილი რომეო და ჯულიეტა ავანსცენიდან ერთი ხელის გაწვდენაზე გაცრეცილები ჩაფრენიან ერთმანეთის თითებს, თითქოს წინასწარ გრძნობენ, რომ ხვალ უხიაგი დრო მტაცებელი ფრინველივით დააცხრებათ და აქეთ-იქით გაქაჩავთ.

სიბნელეში ჩამუქებულ ფარდაზე ოვალური ფორმის სინათლის რკალები აღმა-დაღმა დაცოცავენ.

ამაფორიაქებელი უვერტიურის ფონზე, ნეტავი, ვის დაეძებენ? იქნებ პატარა მეამბოხეებს, რომლებიც პარტერის რომელიღაც რიგში იმ წმინდა რიტუალს ასრულებენ, გულგაწყალებულ დარბაზს უკვე რომ დავიწყებია და ახლა სხვისი სიყვარულის და ღალატის ცქერით ტკბება.

„ოი, რომეო, რად ხარ რომეო...“

ყველა ამ თითებს და მათ პატრონებს ებრძვის, უნდათ, ერთმანეთს მოსწყვიტონ და აუტანელ მწუხარებას მიუგდონ, როგორც მშიერ გალიის ლომს ბრმა, ახალშობილი ლეკვები...

ორი ლარი, მხოლოდ ორი ლარი.

იკმარებს კი სრული ბედნიერებისათვის ორი ლარის დამატება?

იცის ბიჭმა, ვის იწვევს ბრძოლაში?

ჰა, იქნებ დარჩე ბავშვობაში, ბიჭიკო, იქნებ...

მაგრამ თითები, კლავიშებზე გაწაფული, მგრძნობიარე თითები, გამზიარებელი, ყურის დამგდები რომ ენატრებათ?..

ნაჩქარევად პირგაპარსულს ყელთან რამდენიმე ღერი დარჩენია.

იქნებ გოგოს თითებმა ეს ღერებიც გადათვალონ და ოდეკოლონით გაპრიალებულ კანზე გაცურდნენ, როგორც წყალზე ლოტოსის ფურცლები, ერთი... ორი... სამი.. ოთხი... ხუთი...

და ეს სასწაული, ამ საღამოს, გოგობიჭისთვის პირველად მოხდება, სულ რაღაც ორი ლარის დამატების სანაცვლოდ, იმ ორი ლარისა, რომელიც, სხვა შემთხვევაში, შეიძლება არაფერს ნიშნავდეს... ახლა კი, ათასობით, მილიონობით გავირეშმაკებულ ხელებში გამძვრალგამომძვრალი ფული, გაპოხილი ჭუჭყით, ოფლით, იქნებ სისხლითაც, ამ წმინდა შეხებით მოინანიებს ყველა ცოდვას, რაც მისი სახელით ჩადენილა.

მხოლოდ ორი ლარი...

აჰა, ჩემო ბიჭიკო!..

გელოდება თითისგულები — ასაყვავებლად დაბუშტული ნუშის კვირტები.

თაგვები

ღია დერეფანში კედელთან მიდგმულ ვაშლის ყუთში ჩაყრილ, გაღოღოვებული სიმინდის ტაროებში სხედან. უმნიშვნელო ჩქამზეც მიყურადებულები პატარა, წირპლიან თვალებს ატრიალებენ, რომ საშიშროება თუ იგრძნეს, ადგილიდან ფხოჭიალით მოწყდნენ, თავს უშველონ.

აღარც ახსოვთ, მერამდენე დღეა, თავის ნებაზე დაშლიგინებენ.

პატრონი — ავი, ჯაჯღანა ბერიკაცი — აღარ ჩანს.

აღარც — კატა, ბერიკაცს სულ ფეხებში რომ ედებოდა და ხელებში შეღნაოდა.

გაბეზრებული პატრონი დაუცაცხანებდა, ხან ხელჯოხსაც უთავაზებდა და თაგვების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მათი ჩხუბი გულზე მალამოდ ედებოდათ, სოროებიდან თავგამოყოფილები აქეზებდნენ მოხუცებულს, კიდევ მოსდე, კიდეო.

კარგა ხანია, აღარავის გაუმართავს სათაგურები, აღარ გაბრუებულან ხაფანგში მისატყუებლად წამოცმული მოხალული ნიგვზის სურნელით.

ეზოს ბალახი მოედო, თითქოს კაციშვილს არასოდეს ფეხი არ დაედგას.

არც ქათმის კაკანი, არც უშობელის ზმუილი — დაყრუვდა აქაურობა.

ღრღნიან, ფქვავენ მომრავლებული თაგვები ყველაფერს და ხელის ამქნევიც არავინა ჩანს.

თავიდან გაიხარეს, გალაღდნენ, ძველმოდურ, დაფუტუროებულ კარადას, სადაც პატრონი პურს, მარილგამოსულ ყველსა და ლორის ნაჭერს ინახავდა, ძირი გამოუხვრიტეს.

კარადაში თუ რამე მოიხელთეს, შესანსლეს.

მერე და მერე მოიწყინეს. ისიც კი მოენატრათ, ადრიანად წამოკაკული, ფლოსტებში შიშველ ფეხებწაყრილი ბერიკაცი, ჯერ ხაფანგებს რომ შეამოწმებდა, მერე განჯინის ძირში ქაღალდის ტომსიკაში შენახულ თაგვის წამალს რომ მოაყრიდა ხოლმე.

ნასაუზმევს, გარეთ გაიგულებდნენ თუ არა, მიესეოდნენ მაგიდაზე დაცვენილ ნამცეცებს და უკვირდათ, ასეთ მწუთხე ყველს რა აჭმევსო.

არ იცოდნენ, ადამიანებსაც თუ უჭირდათ, მითუმეტეს — მარტოხელებს.

არც ის იცოდნენ, ლოგინად ჩავარდნილი ახლობლებმა ქალაქში რამდენი ხნით წაიყვანეს.

მაშინაც ამ ყუთში ისხდნენ — ვიღაც უცხოებმა მეზობელთან ერთად, აქაურობა დაათვალიერეს, მოხუცებული მოიკითხეს და, როცა მისი ამბავი გაიგეს, განაცხადეს, რაკი მარტო აღარ არის და პატრონობენ, „სობესი“ დახმარებას ვეღარ მისცემსო.

ვინ იყო გამომდავებელი, ლოგინად ჩავარდნილს უფრო არ დასჭირდება ის მათხოვრული ორი კაპიკიო?

მეზობლები, როგორც შემოჰყვნენ, ეგრევე ხმის ამოუღებლად, ტუსტუსით უკან გაჰყვნენ უცხოებს.

მხოლოდ ამათ შეებრალათ — თუმცა მოსულების ნათქვამიდან ბევრი ვერაფერი გაიგეს, იმას მაინც მიხვდნენ, რომ აქაურობის პატრონი ორივე ფეხით გაბმულიყო...

თაგვებს საძილედ თვალები ებლიტებათ, მაგრამ გაზარმაცებულებს სოროში წასვლაც ეზარებათ — ხვალ მაინც ისევ აქ არ უნდა მოვიდეთო.

ვიდრე თვლემა მოერეოდათ, რა არ მოიგონეს.

აქამდე თუ ბერიკაცის ხსენებაზეც კი შეაცახცახებდათ ხოლმე, ახლა, უკვე მათ მონაყოლს მონატრების სევდა შეერია.

ერთხელ აიმ ნაცარას, ყუთის კუთხეში რომ მოკალათებულა, ნაკმაზის ვედროში ჩასძინებია, გონზე მოსული, ხედავს, კუდით მოხუცებულის თითებს შორის არის დაკონწიალებული — თურმე, პატრონს ვედროდან ქათმებისთვის ნაკმაზი მუჭით ამოუღია და ეს ნაცარაც ამოჰყოლია.

მოულოდნელობისაგან ორივე დაბნეულა, მაგრამ თაგვი უფრო დროულად მოჰგებია გონს და თავისთვის უშველია.

— სად წამიხვალ, სადა, მაინც ჩემი წერა გახდებიო, — ბერიკაცს გული მოსვლია, ხელში მეჭირა და როგორ გამისხლტაო.

ახლა სხვა გაიხსენებს რომელიმე შემთხვევას და ჩაკუჭკუჭდებიან, წირპლიან თვალებში მორეულ ცრემლს იწმენდენ.

დარჩათ ბურთი და მოედანი, აღარავინ ჰყავთ ხმის გამცემი, დაძვრებიან სადაც უნდათ, მაგრამ მაინც, მაინც... ისეთი სევდა-ნაღველი შემოაწვათ...

თვითონაც არ იციან, რატომ.

იქნებ იმიტომ, რომ მალე ეს გაღოღოვებული მარცვალიც გამოელევათ, მათი წვრილი, ნემსა კბილები ზამთარში ვეღარაფერს მოიხელთებენ.

ანდა კუკუ-დამალობანას თამაშით ბერიკაცთან თავს რომ ვეღარ შეიქცევენ, ღრმად ჩაძინებულს, საწოლზე აცოცებულები, ნესტოში კუდის ბოლოს რომ ვეღარ შეუყოფენ, ცხვირს გემრიელად დააცემინებსო...

სხედან ყუთში ერთმანეთს მიხუტებულები, ზოგს ხაფანგში მოწეწკვილი კუდის სიმწარე ახსოვს, ზოგს მისი ნასროლი ჩუსტით ახლაც თეძო აქვს ამოვარდნილი... მაინც ეცოდებათ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შეიტყვეს, „სობესი“ უილაჯო ბერიკაცს დახმარებას ვეღარ მისცემსო...

„დე, დე, რა არის „სობესი?“ — წრიალებს ჩალაბულაში გახვეული წრუწუნა.

ან დედამ რა იცის, მაგრამ რაღაც თუ არ უთხრა, დილამდე არ მოასვენებს:

„რა არის და, ადამიანების ხაფანგი.“

„ვაიმეე!“ — შეშინებული წრუწუნა დედას ეხუტება.

რა კარგად მოიფიქრე, ეტყობა მართლა ხაფანგიაო, ფხიზლდებიან თვლემამორეული თაგვები.

ვააჰ, როგორ შარში გახვეულაო, ბერიკაცის სიბრალულით გული კიდევ უფრო მეტად ეტანჯებათ და სიჩუმით გაბეზრებულები ჯავრობენ, ის ამოსაწყვეტი კატა მაინც სად გაქრა, შორიახლო მაინც დაიკნავლოსო.

ჭიუხი

დღესასწაულობს საარაგვო.

პატარა ქალაქის ხალხით სავსე მოედანზე, სახელდახელო სცენის შორიახლო, დაბალ მაგიდაზე გაშლილ ტაბლასთან „ქურდად“ ზის ბაბუა. მოუდგამს გვერდით ჟიპიტაურის დანაკლულებული კვარტიანი და გამვლელ-გამომვლელებს ეპატიჟება:

— ეე, მოიწი აქეთ, ფშაველო! თიანელები როგორ შეგელივნენ, ჩვენკენ რო გამოგიშვეს... გამომართვი ყანწი... ცხვირზე რა დაგმართნია, არ მითხრა ციცამ ჩამომფხაჭნაო, ისევ ხევსურებმა ჩაგინაყეს?.. შენ ამ კაცს არ იცნობ? — მომიბრუნდა, — ეგეთი მაგარია, შვიდზე ნაკლებ ხევსურთან საჩხუბრად არ გადის!

— მართალია, — დაუმოწმებს ფშაველი და ჩაშავებულ, კეხჩანგრეულ ცხვირს სიამაყით თითს გადაუსვამს, — ნაკლებთან როგორ ვიკადრებ ხელის გასვრას, ლაშარში დადებულ ფიცს როგორ გავტეხ.

— არც უნდა გატეხო, მაგრამ ასწრებ

დასასრული მე-5 გვერდზე

გივი ალხაზიშვილი

* * *

ხანდახან ამოვყვინთავ იქ,
სადაც ყოფა ჩემს გარეშე არსებობს
და მერამდენედ აღმოვაჩენ,
რომ ჩემთვის უცხოა ზედაპირის ბედნიერება.

ბედნიერება ხომ ტკივილის ნიღაბია
და ნიღბის ტუჩები
შეუხორცებელი ჭრილობაა,
საიდანაც გამუდმებით მოძვრებიან ცრუ სიტყვები,
რომლებიც მხოლოდ ეგოს სურვილს აკოწიწებენ
და საკუთარ სიღრმეებში ჩახედვა არ სურთ,
რადგან უფრო იოლია ღიმილით ან მწუხარებით
მოპირკეთებული სახეების გამოჩენა
და სიღრმისეული ნათელის ჩაკვლა.

ნათელი კი სულის სიღრმიდან
სინანულის ცრემლებს ამოჰყავთ.

* * *

ჩემი ცა ჩანდა თითებს შორის,
მზის ჩასვლამდე როცა ვმღეროდით,
მერე ცალკე,
მხოლოდ ჩემთვის ვღიღინებდი
და თვალი ისევ ასხივებდა
გულში გავლებულ ბგერების ჟღერას..

ასე თვალსა და ხელს შუა შემომაღამდა
და შევრჩი ციდან ჩამოღწეულ უცნობის მზერას
და თავისთავში შევიმალე,
სადაც მისი სითბო ვიგრძენი
და ჰაერივით გამჭვირვალე გულმოწყალება,
როცა ფრთხილად,
ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დამაფარა
და საბანივით შემომიკეცა.



* * *

როცა იმავე სიმღერაში ვპოულობ ახალ
შეგრძნებას, გულში ცრემლს რომ აჩენს
და თვალს აბრწყინებს,
იქნებ იმიტომ, რომ ახლაღა გავიგონე,
რაც მე ადრე ვერ შევიცანი
და გული ისე მომეწურა,
რომ ბოლო ბგერას ღამის სული ამოვაყოლე
და გავისუსე,
ისევ იმის მოლოდინში,
ვინც სულ გზაშია,
ვინც დღე და ღამე მოიწევს ჩემკენ...

* * *

მე ვერასოდეს ვერ გავიგებ
სად არის იგი...
აქ არის, როცა ვიკრიბებით
და ჩვენ შორის იგულისხმება
თუ შორიახლოს – ყველგან და არსად?!

მეც იქით მივალ
გაურკვეველ მიმართულებით,
რისი შეცნობაც ვერავინ შეძლო,
რადგან სინათლე
მხოლოდ იქიდან იღებს სათავეს
და ჩვენც იქითკენ ვეშურებით,
სადაც ცის ჭაში
ვარსკვლავები ჩვენი თვალებით იხედებიან.

სველი თვალები ირეკლავენ ღამის სინათლეს
და სვამენ მშვიდად
და ჩვენი სმენა ღამის უდაბნოს დაეწაფება,
როცა ხანდახან ჩვენშიც ანათებს
ის, ვინც სინათლემ დაიმეგზურა...

როცა მისმენ...

მე აღარ ვმღერი,
ჩემთვის ვარ და გულში ვღიღიღინებ
და ჩუმად ვცდილობ
იმ დღეების ფიქრში აღდგენას,
ჩიტებივით რომ ვეძებდით საკენკს
და ამ ძებნაში უნებლიედ წლები გავიდა.

სიმღერის წუთი იბადება
და თავისთავად,
როცა სამყარო
ირინდება ჩემ მოსასმენად,
მე ვიგრძნობ იმ დროს,
ჩემ სიტყვებში რომ შემალულა,
და მისი სიღრმე უასაკოა,
რამეს თუ გეტყვი მხოლოდ თვალებით,
და მხოლოდ გულში თუ გავივლებ
შენ გასაგონად...

* * *

უცნაურია, როცა ქალი ჯერ არ გიყვარს,
მაგრამ შეიგრძნობ მთელი სხეულით
და უსხეულო ვიბრაციით,
ზღვარზეა მუდამ,
სიყვარულსა და დავიწყებას შორის არსებულ
ნეიტრალურ დროში ტივტივებს...

ფიქრობ, ერთხელაც გადაუგდო
მაშველი რგოლი,
საკუთარ თავს ებღაუჭები
და შენს სიტყვაში ზღვას აღმოაჩენ,
სადაც მუდამ ფხიზლობს უცნობი
და ღუზასავით ფსკერზე გამყოფებს.

თუ შენ საწყისი შეიცანი, სასრულს რად ეძებ?
ვინც საწყისთან დგას, შეიცნობს სასრულს
და შენ მიხვდები,
რომ აქვე, ხელის გაწვდენაზეა
იგი, ვინც გიყვარს, მაგრამ ვერ ხედავ
და ვერ წვდები,
ვიდრე სრულად არ აღივსები,
როცა სისავსე ამთლიანებს უნაპირობას..

* * *

მიმიხმო მიწამა,
მიმიხმო, მიწამა!

* * *

ყველა, ვინც გაქრა, ჩემში გადარჩა,
შეეკედლა ჩემს სიმუნჯეს
და აღვივსე უცნობი სიღრმით,
დამანახა, ვინც აქ არ არის,
დამისვა თვალწინ და მასაუბრა მხოლოდ თვალებით,
უსიტყვო ენით, უხმოდ;

მე ვეძებდი და არ მესმოდა
სიჩუმის სუნთქვა...

ერთია წუთი, რომ გრძელდება,
უცნობ დროს რომ არ ემატება და არც აკლდება
და წასასვლელად მუდამ მზად არის...

ვათვალიერებ მდუმარებით სავსე მუზეუმს
და გულში ახლა ის წუთი ბრწყინავს,
ჩემში რომ ფეთქავს
და ვგრძნობ დუმილში რომ კრისტალდება,
თან მიტოვებულ ღამეს გაჰყურებს,
უმიზეზო და ნუკრისთვალება.

მოდი, დამიჯექ,
სიმარტოვის გვერდით იყავ და იღიღინე,
ხმა გამახსენე,
ბალახივით როგორ ამოდის,
როცა ვიღლები არსებობით უთავბოლოთი,
როცა ვგრძნობ სმენით, კრისტალივით რომ ჩაისახე,
და სისავსეში დაბადების იწყებ მოლოდინს.

* * *

წეღან აქ იყო. იყო და გაქრა...
აქ ვეძებ, აქვე იგულისხმება,
წეღან რომ იყო...
და გადაეშვა უეცარ წუთში —
გაუჩინარდა...

მეც ხომ აქ ვიყავ
და ვინ იცის,
ის კი არა, იქნებ მე არ ვარ....
და თუ მე არ ვარ,
მაშინ ჩემში როგორ არსებობს?!

ჩვენ გადავცხოვრდით მოძრავ დღეთა მექანიკაში
და მიმქრალ ხსოვნას
ადგილნაცვალი აჩრდილები ისაკუთრებენ
და ინერციით არსებობენ წარმოსახვაში.

ის თვალწინ გაქრა,
მაგრამ ჩემში აგრძელებს ყოფნას,
როგორც დილით მზის მოლოდინი,
როცა სხივი დაეძებს თვალებს
და ვერც კი ამჩნევს —
აქაურობას ვინმე მოაკლდა თუ მოემატა...

შეხვედრის მოლოდინი...

კარსმომდგარი ზამთარიც კი არ ახსენდება
მზეს, ისე მშვიდად იფურცლება ვერხვის ფოთლებში...

...აქ აღარავინ აღარ არის, გარდა მიწისა,
რომელიც მუდამ ცდილობს, რამე აღმოაცენოს,
რასაც ქარი და მესაფლავე მიწას მიაყრის,
თავის წიაღში შეიფარებს მზრუნველი მიწა.

...ზოგჯერ სიზმრებში ბრუნდებიან დაუკითხავად
და უცაბედად სადღაც ქრებიან...

როცა ვისწრაფი შენკენ,
სულ მიკვირს,
ყოველ ჯერზე,
შენთან შეხვედრის მოლოდინით რატომ ვივსები?!

რა უსწრაფესად გაიზარდა ეს სასაფლაო,
აქ, მიწა მიწას ემატება,
სულები კი სხვაგან არიან,
ალბათ ისინიც დაუბრუნდნენ არქაულ საწყისს
და ჩავლილ ყოფას ვერ იხსენებენ...

ვინ იმახსოვრებს ჩიტის ძახილს?
ყოველი ბგერა
ჩაწერილია უცნობ დროის პარტიტურაში,
რასაც ბუნება შეასრულებს
დაწესებულ თანმიმდევრობით.

მზე რომ გადავა და ჰაერი რომ შეიმღვრევა,
დასავლეთის ქარს
მოაქვს ტურების შორი წკავწკავი,
თანდათანობით რომ ახლოვდება...

მე ვხუჭავ თვალს და
რაც უამურ განცდებს აღვიძებს,
ქუთუთოების იქით ვმალავ
და მეჩვენება,
რომ სხეულიც იქ გადავმალე —
თვალების ფსკერზე და მივატოვე...

ჩვენ ისევ ვხვდებით,
ჩვენი შეხვედრის მოლოდინი ვიდრე არსებობს...

* * *

...და სიტყვა გულში ჩავიბრუნე...
რა უნდა მეთქვა,
როცა სიტყვაც უძლურია
იმ მშვენიერ მწუხარებასთან.

თურმე ისე შორს ვიხედებოდი,
რომ გამიჭირდა დაბრუნება...

საშიშია იქით გახედვა,
სადაც უთქმელი სიტყვა თავისთავს
ისე აღრმავებს,
რომ შიშველი ფესვები უჩანს.

სათუოა იქიდან დაბრუნება,
იქნებ □აერი არ მეყოს და ვერ ამოვყვინთო?!

და თუ ამოვალ,
თუკი მაინც ამოვაღწიე,
შენც იქ დამხვდები, უმიზეზო და გამჭვირვალე,
შენ, რომელიც შემთხვევით ხარ ამ ქალაქში,
ამ ხმაურში
და საერთოდ დედამიწაზე.

* * *

ეს დროც ხომ უნდა გასულიყო?!
ისიც გავიდა,
ისე ჩუმად და სწრაფად გავიდა,
რომ ამ თემაზე არც მიფიქრია.
ის, რაც გავიდა, რომ ნაგავია —
თავის არსით და თავის ბუნებით,
თავის სიწრფელით, თავის სიცრუით,
ამ სიხალვათით და სივიწროვით.

მიდი-მოდიან თავისქალები —
თავის კაცები — თავის ქალებით,
სიყვარულისთვის არის ალიბი
და უწინდელი ნატერფალები —
იმზირებიან როგორც თვალები.

ჩაუქრობელი ცეცხლის ალები,
დაუცხრომელი ვნების ალაფი —
დროიდან დროში ცდილობს გაღწევას,
რათა იმისი ნატერფალები
გაივსოს წყლით და მთვარის თვალებით.

მე ვარ ის მზერა, მე შევაღწიე
იქ, სადაც შესვლა აკრძალულია,
თუ იმახსოვრებს რამეს, გულია,
გული, რომელიც ვნებით არწიეს...

გონს აღარ ახსოვს აღარაფერი,
გონს დაბადებულს მუდამ უგონოდ,
ჯობს, სატრფოს თავი რომ მოვუქონო
და ვუთხრა რამე მას შესაფერი...

მანამ გრძელდება ღამის აბსურდი,
ვიდრე ხახუნი დასასრულამდი,
როცა შეიგრძნობ, ლამის სულამდი
ააღწიე და კიდეც აღსრულდი.

კიდევ ერთ ღამეს ათევს საბანი,
საბანი ზამთრის ღამის მთევარი
და იღიმება შენი მტევანი —
ეგ მკერდი — თეთრი იასამანი...

* * *

სადღაც ბეღურების ხმა,
სადღაც ბაღის გულში —
გადარჩენილ სიცოცხლის მხიარული კუნძული,
გაღიმებულ სარკეში ანარეკლის კუნწულა
და თვალებში გამკრთალი გახსენება მრუში.

ჩავლილია, რაც იყო და რაც იყო, გამქრალა,
როგორც ძველი ზღაპარი ანდა სიზმარ-ცხადი,
მაგრამ მაინც მოფრინავს, როგორც ბოლოქანქარა
და სიტყვიდან სიტყვაში ბოლოს ქნევით დადის.

მაინც უნდა უარვყო, უნუგეშოდ გავრიყო,
ვფიქრობ, ხსოვნის სასწორი გადავწონო რითი?
ის, რაც იყო ოდესღაც, არასოდეს არ იყო,
მაგრამ იმ გახსენების მაინც შემრჩა რიდი...

ვანო ჩხიკვაძე

დასასრული

კი ხელის გაქნევას?

— ამ ცხვირმა არ მოგატყუოს, აბა, ისინი ნახე, რა დღეში არიან.

— შვიდივე, კაცო? — „ჰკვირობს“ ბაბუა.

— მაი! — ხახაში დახევებული არაყი კუჭისკენ გარბის.

— ვაა, იღბალი არ გინდა? პატარა კახის დროს მაინც დაბადებულიყავი, კრწანისში ჩაეშველებოდი და ამ ჩათლახი რუსების ხელში არ ჩავვარდებოდით... მოიტა, ერთიც შეგივსო...

სად იყო და სად არა, ჩვენი ძველი ნაცნობიც არ გაგვეჩითა?

რახანია, აღარ შევხვედრივართ, როგორ ხარ-მეთქი.

ევროპაში ვაარო, — ორი სიტყვით ერთდროულად რამდენიმე კითხვაზე მიპასუხა, — ის აღარა გეგონო, შენ რომ მიცნობდი, გავევროპელდი და, აქედან გამომდინარე, ურიგოდ არ ვცხოვრობ, მგონი, ეს გარეგნულადაც მეტყობაო...

ეტყობა, მაშ, არ ეტყობა?

ადრე გულანთებული ყმაწვილი იყო, ჯანიც მოსდევდა და სიტყვაც. სადაც ნათქვამი არ გასჭრიდა, მუშტი კვერავდა სიმართლეს... მოთმენაც იცოდა, მაგრამ სამშობლოსი და დედის აუგად ხსენება წონასწორობას აკარგვინებდა. ვიდრე ძალიან არ ჩამოცხებოდა, ეცვა ჯვარგამოსახული ნაქსოვი და გასალკლდევებულ მკერდზე ხელს რომ დაირტყამდა, ბური ასდიოდა.

ახლა?

დრონი იცვალნენ — დაუკოსებია შავი, მოდური სათვალე, დაუმალავს ჯიქური თვალები, როგორც სახედარს უნაგირი, ეგრე ადგას ჟილეტიანი სმოკინგი და დიდი, ბრაგუნა, მწყემსის ნაგაზივით აღრენილი ბათინკების ნაცვლად, ეგეთი ვაქსით გადაპრიალებული, გრძელჭვინტიანი ფეხსაცმელი აცვია, რომ უკვე აღარაფერი ეტყობა, აღარც ჯილაგის, აღარც კუთხე-წამავლობისა.

ასეთი ნამდვილად არ გახლდათ-მეთქი.

თავისი ხელით მომზადებულ დაკეპილი ხორცის ხინკალს ხის ხონჩაზე რომ ამოჰყრიდა, თან ლექსს მოაყოლებდა:

— „ჩაგძინებია ხინკალო, გამოგაღვიძებს ჯაბანი...“ ჯაბანი ჩვენთან კაცის სახელია და ზოგ ბრიყვს მშიშარა, გულდედალი ჰგონია... ისე, როგორი პოეტური მიგნებაა, ქეიფით მოღლილი, ძილქუშდაცემული მოქეიფენი და ნამუსრევ სუფრაზე ობლად დარჩენილი ბელტივით ხინკალი, გათენებულზე ვიღაც ნაბახუსევი რომ აღვიძებს...

ნათქვამს თვითონვე მოიწონებდა, სიცილს დააყოლებდა და ჯანმრთელ კბილებს გააელვარებდა.

სამართლიანობისათვის მებრძოლი, ლეგენდებიდან ამოზრდილი, გულანთებული კლდის ნატეხი იმათ არ ჰგავდა, რომ ჩამოივაკებდნენ და მერე აქედან ლექსით, სადღეგრძელოთი თუ მოწყლიანებული თვალებით მისტიროდნენ მონატრებულ ჭიუხებს, ვითომ იქ დაბრუნებას ვინმე უშლიდათ.

ახლა?

გაევროპელებულა!

აქეთ-იქიდან დაჰკონწიალებენ ხელკავგაყრილი შვილიშვილები, რა თქმა უნდა, პაპაზე მეტად „ევროპელები“ და რაღაცას გამუდმებით ეჟღურტულებიან.

ცხადია, აქეთ აღარაფერი ენატრებათ, არც ჭიუხები, არც ქავციხე, არც ობლად დარჩენილი, ხონჩის კიდეში ჩაძინებული ღამენათევი ხინკალი, მითუმეტეს — ოჟა ჯურხაის, სამასი გმირის, თუ გაფრინდაულის მონატრება ხომ — არა და არა...

— გახსოვს, შაბათ-კვირას სულმოუთქმელად რომ ელოდებოდი, ქალაქში ვიხრჩობი, მთები მტკივა, თუ არ ავხედე, ჯავრი შემჭამსო?..

— მახსოვს, რა თქმა უნდა!

ნეტავი სიმართლეს მეუბნება?

მაგრამ სათვალის შავი ფარდების მიღმა თვალებში როგორ ჩავხედო, როგორ გავიგო ტყუის თუ არა.

— მერე, ვის დაუტოვე იქაურობა!

— რა მექნა, არსებობისთვის ბრძოლამ მაიძულა...

— შენ რომ ეგეთი დამთმობი არ იყავი?

— ეგრეა, მეც გავტყდი.

— ჭიუხებს რა ეშველებათ, — ვანიშნე მთებისკენ.

— ეშველებათ, გამოუჩნდებათ პატრონი.

— რომელი პატრონი, ყოველი მხრიდან რომ მოცოცავს და ჩრჩილივით გვჭამს?

ვერ ვხედავ, მაგრამ ვგრძნობ მისი თვალების გულგრილ გამოხედვას, ეგებ, გაკვირვებასაც, რა ჭიუხებისა აგიტყდაო.

რა ქნას, უკვე ნამდვილი ევროპული „ბრენდია,“ კეჭნაობა, ტყაპუჭი და ცხვრის ცურცლი უნდა?

— აბა, ბორდოს ღვინოებზე და ძვირფას „ნაპოლეონზე“ გაჩვეულს, ჩვენებური, ჭანჭურის ხრაკიანი, როგორ შემოგთავაზო! — იღრინება ბაბუა.

სცენაზე ჩონგურზე საგმირო სიმღერებს დაჰკვნესიან.

ესეც იქით წავიდა, როგორც მოსმული ხოფები, ეგრე მიარბენინებენ შვილიშვილები.

—ი, ფშაველი კიდევ მაინც გამოივლიდეს თუ ცხვირზე არ ვაკოცო!.. დროზე გამომართვი, კაცო, ამოქრა არაყი! — უჯავრდება ვიღაცას დაბოღმილი, სახედაჯღანული ბაბუა და გამოწვდილ ხელში კითხვის ნიშანივით უჭირავს მოხრილი, სანთლისფერი გარეული თხის ყანწი.

ლელა ცუცქირიძე

გადაფრენა

ჩვენთან ასეთი წესი იყო: ქალები კაცებს ვმარხავდით.

მესაფლავეებივით ვაყრიდით მიწას და მერე უხმოდ ვბრუნდებოდით სასაფლაოდან, კრიჭაშეკრულნი, პირგამეხებულნი, კაცებივით.

მე რომ აქ მოვედი, ყველაფერი დიდი ხნის დაწყებული იყო. ჩემმა ქმარმა მომიყვანა.

თავდაპირველად კი თავად მოვიდა ჩვენთან.

ჩემს სოფელს ახალი საზღვარი ჰქონდა, თითქოს ვიღაცამ ნაჯახის ერთი დარტყმით გააპო შუაზე — ტყემალს აქედან ჩვენ ვკრეფდით, იქიდან თვალსა და ხელს შუა უცხოტომად ქცეული ჩვენი ნათესავები.

ამ ტყემლებიდან მოვიდა ჩემი ქმარი. ჩვენკენ გადმოზნექილი, ზამთრისპირულისგან გაშიშვლებული ტოტები გამოაგრძელა ჩანაცრისფერებულ ძველმანებში გამოხვეულმა, ჭუჭყიანმა, სუსტმა. ქარს რომ დაებერა, ალბათ ხმელი ტოტებივით ჩამოტყდებოდა კიდეც სიგამხდრისგან დაგრძელებული კიდურები.

მოგვიანებით გავიგე, ხუთწლიანი ტყეობის მერე ბრუნდებოდა სახლში.

იმ ოჯახის ქალი, სადაც ტყვედ იყო, ნაღმზე აფეთქებულა მაყვლის კრეფის დროს და მარტოდ დარჩენილმა ოჯახის უფროსმა გამოუშვა.

ჩემი ქმარი ამბობდა, ტყვედ რომ ჩავვარდი, მაშინაც კაცმა გადამარჩინა, შესაწირი ცხვარივით მიპირებდა ქალი დაკვლასო. მაინც შემეცოდა, როცა ნაღმით ამოთხრილ მაყვლის ბარდებთან ვნახე, თავადაც მიწაზე დასრესილ მაყვალს ჰგავდაო.

არ ვიცი, რატომ შეეცოდა ქალი, რომელმაც ხუთი წელი ტყვეობაში გაატარებინა.

— ერთადერთი შვილი ჰყავდა ომში მკვდარი, — თქვა მაშინ ჩემმა ქმარმა, — მადლობა ღმერთს, რომ არ მომკლა.

ახალგაზრდა რომ იყო, მერე მივხვდი.

დედაჩემმა აბანო გაუმზადა, ვეებერთელა ხის კასრი ცხელი წყლით აუვსო, ფიჭვის და ნაძვის დაჩეჩქვილი წიწვები ჩაუყარა, ვაფლის სუფთა პირსახოცი და მარწყვის საპონი დაუდო დაბალ სკამზე, მამაჩემმა თავისი საგარეო სამოსი მისცა, თავისი საპარსი.

აბანოს მერე ოთახში რომ შემოვიდა, მამაჩემის ოდეკოლონის სურნელი შემოჰყვა — თაფლის მოტკბო სურნელი, მაგრამ სიმწარეში გადასული სიმძაფრით კი არა, თითქოს უკვე ჰაერში გახსნილი და გაზავებული. მარწყვის საპნის სურნელიც მომწვდა, ისიც სულ ოდნავ, თითქოს შორეული ზაფხულიდან მოჰქონდა მარწყვი და ამ ზამთრისპირულზე როგორც იქნა, მოიტანა — უკვე გამჭვირვალე, მილეული, ჰა და ჰა, პეშვში რომ გაქრებოდა, ისეთი.

სუფრასთან ვისხედით, მამაჩემმა ჩემ პირდაპირ გაუწია სკამი.

დაჯდა, თვალებში შემომხედა და, აი, მაშინღა მივხვდი, რომ ახალგაზრდა იყო, თითქმის ჩემი ტოლი და ისეთი კამკამა, დაწმენდილი თვალები ჰქონდა, საკუთარი თავი დავინახე, ვირეკლებოდი იმ დაწმენდილ თვალებში და ხამხამსა და ხამხამს შორის სულ ოდნავ, სულ ოდნავ ვირწეოდი.

რამდენი ხანი იყო, ასეთი დაწმენდილი თვალები არ მენახა. ალბათ, იმის მერე, რაც ის ომი დაიწყო.

მე, ისევე, როგორც ყველას ჩემ გარშემო, უძილოღამეებჩამდგარი თვალები მზრდიდნენ: ლურჯ უპეებში ჩაბუდებული შიშის შაშვები, აქეთ-იქით მიმწყდარი დამფრთხალი თაგვები, საფრთხეზე დაგეშილი მგლები...

ეს კი... ისეთი დაწმენდილი, როგორც რიჟრაჟისას წყაროს პირზე მოგუბებული, წვეთდაუცემელი წყალი, ნაპირის ხავსი საკინძესავით რომ გადახსნია და ქვიშის მარცვლებით დახალულს, ღია მოლილისფრო ფსკერი მოუჩანს.

ალბათ, ამდენი წელი ყოველ წამს სიკვდილის ლოდინმა არა მარტო მისი შიშისგან, არამედ ყველაფრის შიშისგან დაწმინდა.

ბევრი არც არაფერი უთქვამს ჩემთვის, მე კი უკვე ისე მიყვარდა, მეორე დღესვე გავყევი თავის მხარეში.

მამაჩემს არ გავუჩერებივარ. შუაღამისას მისი ხმა გავიგონე, დედაჩემს ეუბნებოდა: სადღა არიან ბიჭები. წაიყვანოს, მარტო არ დარჩეს, გაუჭირდება.

დედაჩემი ჩუმად წუხდა, როგორ გავატანო ჩემი ერთადერთი შვილი. არაფერი ვიცი მის შესახებ. ვინ არის, საიდან მოვიდა, საით მიდის...

— გაუშვი, მაინც აღარ გაჩერდება ჩვენთან. უყვარს, — უთხრა მამაჩემმა.

მართალი იყო, აღარ გავჩერდებოდი, მიყვარდა.

დილით დედამ თავისი საქორწინო კაბა გამოიღო კარადიდან, თავისი თეთრი ფეხსაცმელი, ამ დღისთვის ინახავდა.

ჩამაცვა, გამომაწყო, თეთრი თავსაფარიც მომახვია მხრებზე, გამიკეთა თითზე დედამისის ნაქონი ოქროს ბეჭედი — წვრილ რკალზე მიმქრალი ზურმუხტის მუხუდოთი. ჩამიკრა, ლოყები დამიკოცნა ისე, როგორც ბავშვობაში, ათასი საალერსო სიტყვა მიჩურჩულა, დამარიგა... მამაჩემიც შემოვიდა, გამიღიმა, იმანაც მიმიხუტა, უხმოდ მეფერა თავზე... მერე ხელი მომკიდა და ჩემ ქმართან გამიყვანა.

ასე გავყევი ჩემს ქმარს, ასე მომიყვანა ამ მხარეში, თეთრი კაბით, თეთრი თავსაფრით და თეთრი ფეხსაცმლით.

მდუმარე მხარე იყო, ჩუმი კი არა,



ნუკრი ფირცხალავას ნახატი

მდუმარე. რაღაცნაირად სიშავემდე ჩამუქებული. რუხი სახლების ფანჯრის მინები ფოთოლგაცვენილ ხეებზე შერჩენილ თოვლსაც კი რუხად ირეკლავდნენ და მზეც კი არ ანათებდა, ტალახიანი გუბესავით ეგდო ცაზე.

ყველა კუშტად იდგა, ყველას შავი ეცვა.

მე კი მივედი — თეთრებში ჩაცმული და მაშინ იყო, ჩემი ქმრის მამიდამ, ერიომ რომ დამსვა თავის ოთახში და მითხრა:

— შენ აქ კარგად მიგიღებთ, ის გექნება, რაც სხვებს. ოღონდ ამ თეთრ კაბას გაიხდი, შეინახავ და აღარასდროს ჩაიცვამ.

— რატომ? — გამიკვირდა.

— აქ კაცები ქალებზე ადრე კვდებიან, — ხმა გაუქვავდა.

— მერე? — ვერ მივხვდი მე.

— მერე ის, რომ ქალებმა უნდა ვიგლოვოთ, სხვანაირად არ შეიძლება. ასეთია ჩვენი ვალი, ასეთია ამ სოფლის წესი.

შევხედე. აქ ეს ქალი წყვეტდა ყველაფერს, ის ადგენდა წესებს და არავის მისცემდა მისი დარღვევის უფლებას.

შევტრიალდი და ოთახიდან გავედი. ვიგრძენი, როგორ დამეცა ზურგზე მისი მჭახე თვალები — ორი ცისფერი წვეთი და მივხვდი, რომ თუ მეც მათნაირი არ გავხდებოდი, ეს წვეთები ისე გამხვრეტდნენ, როგორც წლობით ნადენი წყლის წვეთი ხვრეტს ქვას, ნელ-ნელა, მოთმინებით, დაჟინებით.

გავბრაზდი. ჩვენთანაც კვდებოდნენ კაცები ქალებზე ადრე, იქაც ბევრის ჭურვებისგან ჰაერში ათქვეფილი სხეული შეხვრიპა ომმა, მაგრამ ჩვენთან სიცოცხლე გრძელდებოდა, თავისი გზით მიედინებოდა. აქ კი, როგორც ჩანს, კალაპოტი გადაუხერგეს, ერთ ადგილზე დააგუბეს.

...საღამოს ყველაფერი ჩემს ქმარს მოვუყევი, ჩუმად შემომხედა.

არ აღელვებდა ეს ამბავი, არაფრად მიაჩნდა.

— რატომ არ მეუბნები არაფერს? — გავიბუტე, მინდოდა ეთქვა, რომ თეთრი კაბაც უნდა მცმოდა და ყვავილებიანიც, თმაც უნდა გამეშალა და წყაროსავით უნდა მერაკრაკა კიდეც...

ის კი მოვიდა, გამიღიმა, ჯერ ჩიტივით დამიფრთხო პულსი ყელზე ცხელი თითებით, მერე თითებზე უფრო ცხელი ტუჩებით დაიჭირა აფრთხიალებული.

აღარც ბრაზი მახსოვდა, აღარც თეთრი კაბა. არც თეთრი ფეხსაცმელი და თეთრი თავსაფარი...

დილით ავიღე ჩემი თეთრი სამოსი და კარადაში სამუდამოდ შევინახე...

* * *

თანდათან შევეჩვიე აქაურობას, აქაურ ქალებს, თანდათან მეც მათნაირი გავხდი.

კაცების მარხვისგან ხელები გამიუხეშდა, ფრჩხილები ჩამიშავდა. მოვქურუხდი, სახე მომიჩრდილდა, აღარ ჟღრიალებდა ჩემი სხეული დაირასავით, ახლა ყრუ ხმას გამოსცემდა, როგორც ხის გონგი სასიკვდილო განაჩენის წინ.

კაცები კი რა... ვისაც წასვლა შეეძლო, მიდიოდა, დარჩენილები დღითიდღე იმ კუნძებს ემსგავსებოდნენ, რომლებზეც ისხდნენ-ხოლმე საღამოობით და მათი ხრინწიანი ჩახველება მოჭრილი ხეების ჭრიალს ჰგავდა.

ჩვენ თითქოს წინასწარ ვგრძნოდით, რომელი უნდა მომკვდარიყო, მის სიახლოვეს ვიწყებდით ბორიალს სვავებივით, ვუთვალთვალებდით, რომ როცა მოკვდებოდნენ, დაგვემარხა და მერე მთელი სიცოცხლე გვეგლოვა.

ასეთი წესი იყო.

ლილიას მაღაზიაში ვიყრიდით-ხოლმე თავს და, ძირითადად, იმაზე ვბჭობდით, ვინ როდის იქნებოდა დასამარხი, თადარიგს ვიჭერდით.

სხვა არაფერი ხდებოდა.

ერთი დღეს უთენია წავედით კენკრის საკრეფად მე და ლოდა.

ტყისპირები სავსე იყო ნისლის მტვერდადებული შინდით და ძახველით, კუნელითა თუ მოცვით. არ ხასხასებდნენ, მიმქრალიყვნენ, როგორც წლობით ჩაკეტილ ზარდახშებში მიტოვებული მინერალები.

მშრალი ტალახისგან დატალღულ მიწაზე უხმოდ მივაბიჯებდით და შავი დანებივით ალესილები შედედებულ ნისლს მივკაფავდით.

ამ ნისლიდან გამოვიდა ერიოს ბიჭი. გვერდით თვალისმომჭრელად თეთრი გოგო მოჰყვებოდა თეთრი წეროსავით. თავზე უკან განასკვული წითელი თავსაფარი ეკეთა. მოკლე, თეთრი კაბა ეცვა, ატლასის ლურჯი ლენტით წელზე. გრძელ ყელზე წვრილი, თეთრი კრისტალების აცმა უკრთოდა. თხელ და მაღალ კანჭებს დამფრთხალივით კი არა, რაღაცნაირი სიდიადით მოადგამდა წინ.

მოვიდნენ, მოგვიახლოვდნენ, ეს ანოაო, გაგვაცნო ერიოს ბიჭმა. თავადაც, თითქოს ანოსგან შეფრქვეოდა თეთრი კრისტალები, ერთიანად ბჟვინავდა.

ლამაზები იყვნენ და სიცოცხლით სავსეები, აქაურობის ნაცრისფერი მარყუჟი არ უჭერდათ ყელზე.

უცებ ვიგრძენი, ღიმილმა როგორ ამომიდნო სახეზე გადაკრული ყინულის აპკი. აღარც მახსოვდა, ღიმილი თუ შემეძლო.

ასე გაღიმებულმა გადავხედე ლოდას, მაგრამ ის იდგა, ისევ მოქურუხებული, როგორც სჩვეოდათ საერთოდ აქაურ ქალებს და უკვე მეც, მათ შორის.

— დაბრუნდი? — ჰკითხა ერიოს ბიჭს, ანოს თვალი მოარიდა.

— დავბრუნდი, დეიდა ლოდა, — გაუცინა ერიოს ბიჭმა.

დიდი ხნის წინ აქედან წასვლის გამო, როგორც ჩანს, სასიკვდილოდ განწირული აქაური კაცების ჯადო მოხსნოდა, თავისუფალი იყო ამისგან, ლაღი.

ლოდას აღარაფერი უთქვამს, ნისლში ჩაყვინთული ტყისკენ წავიდა. ღიმილი უცებ ჩავისხიპე უადგილოდ გაშვერილი ნედლი ტოტივით და ლოდას გავყევი.

...სახლში დაბრუნებულმა კენკრით სავსე კალათა მაგიდაზე წამოვაპირქვავე. შინდებს და ძახველებს, მოცვსა თუ კუნელს ნისლის მტვერი მოშორებოდათ, ამოხასხასებულიყვნენ. ამოვურიე, ხელი გადავუსვი, როგორც ზარდახშიდან ამოღებულ და საგულდაგულოდ გაპრიალებულ მინერალებს. მსიამოვნებდა კენკრის კრიალი, მისი სიგრილე.

მეც არ ვიცი, როგორ დავიწყე ღიღინი, ჯერ გულში, მერე ხმამაღლა. მგონი, აქ მოსვლის მერე პირველად ვღიღინებდი.

— რა ხდება? — მკითხა ჩემმა ქმარმა, სამზარეულოს კარს მიყრდნობილი, ღიმილით მიყურებდა.

— რა ხდება? — კითხვა გავიმეორე და მაშინღა მივხვდი, მთელი ეს დრო, ერიოს ბიჭზე და ანოზე რომ ვფიქრობდი, უფრო კი ანოზე. ეს ღიღინიც მათი ბრალი იყო.

— წერო მოფრინდა, — მეც გავუღიმე ჩემს ქმარს, — ლამაზი, თეთრი წერო.

* * *

— რა კარგი გოგოა ანო, — ვეღარ მოვითმინე და ვუთხარი საღამოს ერიოს, როცა ქალები ლილიას მაღაზიაში ვისხედით და მორიგ დამარხვაზე ვბჭობდით.

— ვნახოთ, როგორ მოიქცევა, — მშრალად თქვა ერიომ და შავი თავსაფარი გაისწორა, შუბლი უჩანდა.

— იმედია, შეეგუება აქაურობას, — თქვა ლოდამ.

— იმედია, — უპასუხა ერიომ.

— უნდა შეეგუოს, — არ გაჩერდა ლოდა.

— ჰო, — მოკლედ მოუჭრა ერიომ. ისედაც ბევრს არ ლაპარაკობდა, არ სჭირდებოდა.

— შენი ქმარი რას ამბობს? — ჰკითხა ლოდამ.

თითქოს ამით ნიშანი მოგვცაო, ყველანი ლოდას ავყევით, ერიოს ქმარზე დავიწყეთ საუბარი.

უფრო ჩავქურუხდით, საავდრო ღრუბლებივით ჩამოვწექით ოთახში, ტანით ვიგრძენით, რომ სადღაც, ახლოს, შეიძლებოდა, სიკვდილი დამდგარიყო.

დიანა ანფიმიადი

სიყვარულის ლინგვისტიკა

სალომე ბენიძის „ამბავი უძინართა“

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ ბევრი რამ გააადვილა ლინგვისტური კვლევების პროცესისათვის. მაგალითად, თუ ადრე რომელიმე მხცოვანი ენათმეცნიერი რომელიმე სიტყვის გამოყენების რომელიმე კონტექსტის სიხშირის გასარკვევად საათობით უჯდა რომელიმე ტექსტს და ითვლიდა და ითვლიდა სიტყვებს, დღეს ამას ჩვენი არსობის კომპიუტერისათვის მიცემული ერთი ბრძანებით მოვახერხებთ.

სალომე ბენიძის ლექსების კრებულში სიტყვები არ დამითვლია, თუმცა, ზუსტად ვიცი, რომ დავთვალო, ყველაზე მეტი პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელი გამოვა.

ჰოდა, ამიტომ სხვაგვარ ლინგვისტიკაზე მინდა მოგიყვეთ, სულ სხვა ენაზე, სადაც სულაც არაა საჭირო ათასობით სიტყვა, ზმნა, ზმნის დრო, გრამატიკული სტრუქტურა თუ სინტაქსური კონსტრუქცია, სადაც არც უღლებაა საჭირო და არც ბრუნება, სადაც ენობრივი სისტემის ცენტრში ორი ნაცვალსახელია – შენ და მე – იშვიათი გაერთიანებისა და „ჩვენ“ ნაცვალსახელად წარმოდგენის პერსპექტივით.

ენა მრავალი არსებობს – მრავალგვარი ხედვითა და წარმოდგენით, მრავალგვარი მუსიკითა და ფონეტიკით – ისეთი, სადაც თანხმოვანი სულ ათამდეა, და ისეთიც, სადაც ოთხმოცზე მეტი თანხმოვანია, ისეთი, სადაც დიალექტები ფერებად იყოფა, ისეთიც, რომელიც მხოლოდ ორ ფერს განარჩევს, ისეთი არსებობს, რომელშიც ყველა ადამიანი – ცალკე დიალექტია.

აი, ასეთი ფონეტიკა:

მომისმინე, წყალო, დედაჩემო,
ხედავ? მე თვითონ მოვედი შენთან,
მოვედი ფორთხვით, ხელის ცეცებით,
დაკაწრული კანით და მარილისგან
დახრული თვალებით,
შენი მუცლიდან გამოყოლილმა
მარილმა ცოცხლად შემჭამა.

აი, ასეთი მორფოლოგია:

ჩემი ცხოვრება დაემსგავსა ერთ გრძელ
ბარათს,
შენდამი მოწერილს,
სადაც დავიწყებულია პუნქტუაცია,
სადაც დავიწყებულია ნორმები,
სადაც დავიწყებული ვარ მე,
სადაც მხოლოდ შენ არსებობ,
შენ და ნოემბრის ასე მოსალოდნელი
თოვლი.

აი, ასეთი სინტაქსი:

შუაღამე მშვიდობისა, საყვარელო.
რამდენიმე საათი დარჩა
გათენებამდე –
ასე ფიქრობენ სხვები
და ბალიშებს ებღაუჭებიან.
მე კი, როცა შენ გხედავ,
ასე მგონია,
ორი უზარმაზარი მზე მიწევს
თვალების ფსკერზე
და ისე ვანათებ,
მთელ დედამიწას გადავწვდები.
შუაღამე მშვიდობისა, საყვარელო.
როგორ თბილა შენთან.
როგორ თბილა.

ამ წიგნში თქვენ კიდევ ერთ ენას გაეცნობით – სალომე ბენიძის ნაცვალსახელოვან ენას, სადაც კომუნიკაციის მთავარი საშუალება უძილო ღამეთა დიალოგებია – შესანიშნავი, დახვეწილი, კარგი პოეზია.

ჰოდა, შედით ამ ენის სამყაროში, ამეტყველდით ამ ენაზე, სწორედ თქვენ, მკითხველებს, შეგიძლიათ, მკვდარი ენები გააცოცხლოთ, ცოცხალი კი – თქვენი კომუნიკაციის საშუალებად გახადოთ, მით უმეტეს, რომ ამ წიგნში ყველაზე ძვირფასი და უნიკალური – სიყვარულის ლინგვისტიკა დაგხვდებათ.

რამდენჯერ მინატრია, ოღონდ ჩემს ქმარზე არ ჩამოეგდოთ სიტყვა, ოღონდ მასზე არ ეკითხათ არაფერი.

ეს შიში აქ მოსვლის დღიდან მხრავდა. შუაღამისას ვიღვიძებდი და ჩემს ქმარს ვუყურებდი, მერე ჩემს სხეულს ვუგდებდი ყურს, აბა, ვგრძნობდი თუ არა რამეს, ვგრძნობდი თუ არა ისე, როგორც აქაური ქალები გრძნობდნენ წინასწარ კაცების სიკვდილს.

— აღარ შემიძლია შენი სიკვდილის შიშით ცხოვრება, — ვუთხარი კიდეც ერთხელ ჩემს ქმარს, — წავიდეთ აქედან.

— სად? — გამიღიმა ჩემმა ქმარმა.

— სადაც გინდა, ოღონდ წავიდეთ. თუნდაც ჩემებთან. იქ დავსახლდეთ, იქ ვიცხოვროთ.

— და შენ გგონია, იქ არ მოვკვდები? — მკითხა ჩემმა ქმარმა.

— ჰო, მაგრამ იქ ამ შიშით კი არა, ჩვეულებრივად ვიცხოვრებ. როგორც ყველა ამ სოფლის გარეთ, წინასწარ არ ვიფიქრებ ამაზე.

— აქაც ჩვეულებრივად ვცხოვრობთ. ნუ მიაქცევ ყურადღებას. მაგ შიშს კი თანდათან შეეჩვევი, დაიახლობლებ.

მართალი აღმოჩნდა. შიში თანდათან ჩემს ჩრდილად იქცა, ყველგან დამყვებოდა, მაგრამ ვეღარ ვამჩნევდი.

მეორე დღეს, ასე, შუადღე იყო, ეზოში, ხეებს შორის გაბმულ თოკზე ჩემს შავ სარეცხს ვფენდი.

— გამარჯობა, — ჩიტივით შემოფრინდა ხმა ღობის იქიდან.

ანო იყო.

— გამარჯობა, ანო, — გამეღიმა, სახე გადამეხსნა, — როგორ ხარ?

— კარგად, — თვალები მოეჭუტა ღიმილისგან. ცოტა ხანს ასე მიყურა და მერე გზა გააგრძელა.

„არ გაახარებს ერიო“, — გავიფიქრე და სახლში შევბრუნდი.

ასეც იყო. ბევრს ეცადა ერიო, ანო აქაური გაეხადა, ჩვენნაირი შავი, ჩაქურუხებული მზერითა თუ დაჩრდილული სახით, მაგრამ ანო ჯიუტი აღმოჩნდა. არაფრით დასთმო ის, რაც მას ეკუთვნოდა — სიცოცხლით გახარება, სიცოცხლის სიყვარული.

დადიოდა შავ სოფელში და გადაფრენისას შემთხვევით სხვა ადგილზე დაშვებულ წეროს ჰგავდა.

არც ერიოს ბიჭი აპირებდა სხვა კაცებივით სიკვდილის დალოდებას. თავის ანოს დაჰყვებოდა უკან, მხრებში გაშლილი, ქათქათა თეთრი პერანგით, ღაღი და სიცოცხლით სავსე.

— შენები აქაურობას ვერ ეგუებიან, არა? — ჰკითხა ერთ საღამოს ლოდამ ერიოს, ისევ ლილიას მაღაზიაში ვიყავით ქალები.

ერიომ ღია ფანჯარას მიაბჯინა თვალი. მიხვდა, რატომაც ჰკითხა ლოდამ ეს. უკვე რამდენჯერმე გააგონეს ქალებმა, რომ წესი ირღვეოდა, თანაც იმისგან, ვინც თავად არავის არასდროს პატიობდა და არც მერე აპატიებდა ამას.

წამოდგა, გარეთ გავიდა. შევატყვე, მხრებში ოდნავ მოხრილიყო, მაგრამ არ იმჩნევდა.

მეორე დღეს არ გამოჩენილა.

— ცუდად არის და წევს, — გვითხრა ატანიამ, ის ცხოვრობდა ყველაზე ახლოს ერიოსთან.

— რადგან წევს, ესე იგი, ძალიან ცუდად არის, — თქვა ლოდამ.

...სამი დღის მერე ატანიას ძახილმა შემოხია ჩემი ფარდები.

— რა ხდება, ატანია? — გამოვედი გარეთ.

— ყველაფერი დამთავრდა, — მითხრა ატანიამ.

— ანო? — ყელი ამომკაწრა სიტყვამ.

— არა, ერიოს ბიჭი, — თქვა ატანიამ.

— რა მოხდა? — გამოვიდა ჩემი ქმარი.

— ერიოს ბიჭი, — ვთქვი ჩუმად.

— წავიდეთ, — თქვა ჩემმა ქმარმა და პირველი გავიდა ეზოდან. უკან მივყევით.

ერიოს სახლი ლილიან წყალში გავლებულს ჰგავდა.

ქარში ფრიალებდა სახლის მოღებული თეთრი კარი და თეთრი ფანჯრები, თეთრი აივანი თოკზე გაფენილ თეთრ პერანგებთან და კაბებთან ერთად მიფრინავდნენ და ისე ჩანდა, თითქოს მთლიანად სახლი მიფრინავდა ჰაერში, როგორც უზარმაზარი, ფრთაგაშლილი წერო.

მიწაზე კი ერიოს ბიჭი იწვა, ანოს თავსაფარივით წითელი პერანგით.

...მერე, გვიან ღამით, როცა ჩუმად ვისხედით ლილიას მაღაზიაში ქალები, ატანიამ მოყვა:

იმ სამ დღეში, სანამ ერიო იწვა, ერიოს ბიჭს და ანოს თეთრად გადაუღებავთ ერიოს რუხი სახლი. მე რომ მივედი ერიოს მოსაკითხად, მაშინ დავინახეო, ატანიამ:

ერიო შავი ლაქასავით მოჩანდა თეთრ აივანზე. მის წინ თეთრებში ჩაცმული ერიოს ბიჭი და ანო იდგნენო. დავინახეო, ატანიამ, როგორ მივიდა მათთან ახლოს, სულ ახლოს ერიო, როგორ მოუქნია ხელი ანოს, როგორ გადაეფარა უცებ ანოს ერიოს ბიჭი და მერე როგორ ჩაცურდა დაბლაო.

იმ წამს ვერაფერს მივხვდიო, ატანიამ, მერე ანოს კივილი გავიგეო, კი არ კიოდა, წეროსავით ჭახჭახებდაო, ასეთი არაფერი გამიგია მანამდეო. ერიოს ბიჭს მოხვია ხელებიო, ცოტა ხანს ასე იყო, მერე წამოდგა, კიბეებს დაუყვაო. როგორც დაჭრილი წერო ფრთებს, ისე მოათრევდა დაშვებულ ხელებსო, ატანიამ.

ასე ჩამიარაო. სულ ერთი წამით შემომხედა და მის შუშადქცეულ თვალებში ერიოს ბიჭი დავინახეო, ასეთიც არაფერი მინახავსო, ატანიამ, ასეთიც არაფერი მინახავსო.

— სად წავიდა? — ვკითხე ატანიას.

არ ვიციო, ატანიამ, ცოტა გონზე რომ მოვედი, ანო აღარსად იყოო. იქნებ წეროსავით აფრინდა კიდეც ცაშიო, მე რა ვიციო. მაგრამ როგორ აფრინდებოდაო, დააყოლა დაფიქრებულმა, დაჭრილი წეროსავით იყოო.

— ერიო? — იკითხა ლოდამ.

ერიო იმავე ადგილას იდგა, არ განძრეულაო, საერთოდ არ განძრეულაო.

* * *

დავმარხეთ ერიოს ბიჭი ქალებმა ისე, როგორც სხვა კაცებს ვმარხავდით. მეგონა, ერიო ჩვენთან ერთად არ იქნებოდა, მაგრამ იქ იყო, თავისი ხელით გაუთხარა საფლავი ბიჭს, პირველმა მიაყარა მიწა და უხმოდ გამობრუნდა სოფლისკენ. უკან მივყევით.

მოვდიოდით სოფლის შუკებში შავი ღრუბლებივით და კუნძებზე ჩამომსხდარი თავჩაღუნული კაცები გვხდებოდნენ.

მართალი თქვა მაშინ ატანიამ, ყველაფერი დამთავრდაო: ყველაფერი ისევ ძველებურად იყო სოფელში.

დილას ავდექი, წყალი გავაცხელე, დიდი, ოვალური თუნუქის ტაშტი ავავსე და ავაქაფე. დიდხანს ვიბანდი სხეულს, თითქოს ის რუხი ფერი მინდოდა მომეშორებინა, რაც ამდენი წლის მანძილზე კანქვეშ დამელექა. გამეტებით ვიხეხდი ფჩხილებს, რომ მასზე მიკირულ მიწაში გაღვივებული და სხეულისკენ ჩაზრდილი სიკვდილის სარეველა ძირფესვიანად ამომეთხარა.

მერე კარადა გამოვაღე და ჩემი თეთრი კაბა, რომლითაც ამ მხარეში მოვედი, საკიდიდან პირველად ჩამოვხსენი, ამდენი უმზეობისგან ბოლოებზე ნესტის მომწვანო-მონისლისფრო გიპიური შემოვლებოდა.

— რას აკეთებ? — მკითხა ჩემმა ქმარმა. არაფერი მითქვამს, კაბა გადავიცვი. სველ თმაზე ჩემი თეთრი თავსაფარი წავიკარი.

— ისევ ისეთი ხარ, როგორც მაშინ, როცა აქ მოგიყვანე, — მითხრა ჩემმა ქმარმა. მოვიდა, კაბიდან ამოჩრილ შიშველ მხრებსა და ზურგზე დამისვა ხელი.

ბუსუსები ზაფხულის ნიავდაკრული ბალახივით წამომეშალა და ამ ბალახის გადაწოლილი ღელვა სხეულზე მომედო ისე, როგორც ადრე, ძალიან ადრე — ვნებით გალიცლიცებული ჩვენი პირველი ღამეებისას.

— უნდა წავიდე, — ვუთხარი ჩემს ქმარს.

— მეც წამოვალ, — გამიღიმა.

— არა, იყავი, — მარტო მინდოდა წასვლა.

— კარგი, — ჩემი ხელი მიიტანა ტუჩებთან და თითებზე მაკოცა.

გარეთ გამოვედი და ჩემი ქმრის სიმშვიდე გამოვიყოლე.

თავდაპირველად ჩემი სამოსის სითეთრემ თვალი დიდი ხნის უნახავი სინათლესავით მომჭრა, მერე ნელ-ნელა შევეჩვიე და ჭიშკარი გამოვხსენი.

მივდიოდი თავაწეული და უმზეობისგან ლამის დახავსებულ შიშველ ზურგზე მებღაუჭებოდა კუნძებზე ჩამომსხდარი კაცების მზერა.

ასე თავაწეული შევედი ლილიას მაღაზიაში. უკვე იქ იყვნენ, ჩაშავებულნი, ჩაქურუხებულნი.

— რა ხდება? — მკითხა ერიომ, ფეხზე წამოდგა, დანარჩენებს გადახედა.

— მორჩა, — ვუთხარი ჩემი ქმრის სიმშვიდით.

— მაშინ აქედან წახვალ, — ახლა უკვე ლოდა წამოდგა.

— არა. აქ უნდა ვიყო! — ხმა დანასავით ჩავასე კედელს.

— ვნახოთ, — თქვა ერიომ და სწრაფად გავიდა გარეთ.

— ვნახოთ, — თქვა ლოდამაც, ერიოს გაჰყვა.

დანარჩენები არ ჩარეულან.

მეორე დღეს სოფელში მეორე თეთრი კაბა გამოჩნდა, კუსის ეცვა. მესამე დღეს ატანია და იაო გამოვიდნენ ეზოებიდან ფერადი კაბებით.

ნელ-ნელა ამოთეთრდა და ამოფერადდა იქაურობა, თითქოს მინდვრის ნაკუწებმა აიდგეს ფეხი და შავ სოფელს მოედნენ.

თანდათან კაცებიც გაიშალნენ წელში, დუმილისგან ხორხზე მიხორცებული სიტყვები ამოიგლიჯეს, ჯერ ერთის ხმა წამოვიდა კლდიდან დაგორებული ქვასავით, მერე სხვა ხმა-ქვები მოჰყვნენ და მდუმარე სივრცე ამოქოლეს.

* * *

...**ერიოს** სიკვდილი კაცებმა გაგვაგებინეს. ლილიას მაღაზიაში ვიყავით ქალები.

უკვე მოეგვარებინათ უჩვენოდ ყველაფერი, დამარხვითაც ისინი დამარხავდნენ.

ჩვენ ამ საქმისთვის აღარ გვეცალა. შეფოთლილ, ნედლ ტოტებსა თუ მინდვრის ყვავილებს ვკონავდით გასახმობად.

მაგიდა, კედლები თუ იატაკი სავსე იყო ფერებით:

შროშანების აბრეშუმზე შრიალებდნენ ანაგვირილები.

იის მელანში ეწობოდნენ ანისულები.

ვარდკაჭაჭების ლილისფერ ტბორში ლივლივებდნენ კესანები.

ბაიების სიყვითლეს კენკავდნენ კრაზანები.

ფშატის ფოთლების ვერცხლისწყალში ევლებოდნენ ავშანები.

ონტკოფების ჟღალ ეჟვნებს აჟღარუნებდნენ კალენდულები.

პასიფლორას წითელი ვარსკვლავთცვენა ხაზავდა ბაღის სალბებს.

იქვე, სამურაბე ვარდის წვენში ოქროს თევზებივით ცურავდნენ ეზოს ვარდები...

ღია ფანჯრის რაფაზე გაშლილ წყლის ბამბებს კი ნიავი სველი აკვარელივით აზავებდა ჰაერში და ცაზე მკრთალად, მკრთალად იხატებოდნენ წყლის ბამბის ბუმბულიანი, ფრთაგაშლილი წეროები.

ქეთი ნიჟარაძე

ხათუსა

მე ცხელ ლოდებზე,
როგორც მზეზე, შიშველ ზურგს ვაყრდნობ
და შენზე ვფიქრობ.

ცხელია ქვები,
როგორც მაშინ, როცა გიყვარდი,
ან მივიწყებდი თანდათან და
ასე მკარგავდი —
უმტკივნეულოდ, უნებურად და სამუდამოდ.

ცხელია ქვები —
ალბათ, ახლაც ისეთივეა,
როგორც ამ ამბის დასაწყისში —
როცა აგებდნენ
უხსოვარ დროში ქალაქისთვის პირველ გალავანს,
სუნთქვას იწყებდა ქუჩები და
ვიღაც საკუთარ
ზურგით ვეება,
მძიმე ლოდებს ეზიდებოდა
და ვერც ხვდებოდა, რაღაც ახალს ისე იწყებდა.

დღეს კი ვხედავ, რომ
ჩემი მაჯის თხელი საათი
ისევე ხარბად ივსებს სხეულს ამ დღის სიმშვიდით,
როგორც ქვიშის ან მზის საათი
შუა ქალაქში —
ამ ძველ ქალაქში, მზის ქალაქში,
ჩემში და შენში.
რომ ის დრო ალბათ მიდიოდა მეტი სიზანტით,
ბლანტად და მდორედ,
მაგრამ მაინც არ სრულდებოდა.
შენც ამ ლოდებზე ნდობასავით აყრდნობდი ზურგს და
კარგავდი სატრფოს —
როცა ამ გზებს შენგან მიყავდა.

ეს ნაცრისფერი, მშრალი სივრცეც ალბათ არ იყო
დამსხვრეული და უსახური —
ძლევამოსილად
იდგა, როგორც დრო,
როგორც დღე, ან
როგორც სურვილი.
ახლა კი მისგან ქვის მხურვალე ნაჭრები დარჩა,
რომელზეც ვწევარ
და შიშველ ზურგს ტკივილით ვახებ —
გავარვარებულ,
ცხელ თონეში ჩაკრულ პურივით.

და ყველა ამბავს,
რაც მე და ამ მზით სავსე ლოდებს
დასაბამიდან თავს გადაგვხდა,
ხელახლა ვყვები.

მხატვარი

შენ მხატვარი ხარ.
და გთრგუნავს ხოლმე შავ-თეთრი ფონი —
ღრუბლის მუქი ჩრდილებით
და დაწყვეტილი სივრცეებით —
მავთულხლართივით
რომ ეკვრის ერთგვაროვან,
მოთენთილ დღეებს.

მაგრამ ზოგჯერ
მავთულხლართები იშლებიან
მარტივ მამრავლებად,
სხეულზე გამოშვერილ ეკლებს
ღონიერ ფრთებად მოიქნევენ
და ნაცრისფერ ზეცას
ფრინველების სილუეტებით აავსებენ,
შენ კი შეგიძლია დაიხარო
და ყველა გამხმარი ბალახი
სულ სხვადასხვა ფერად შეღებო.
და ამ დროს, თუ ზემოთ აიხედავ,
იმასაც მიხვდები, რომ
ჩიტებად ქცეულმა არსებებმა,
სურვილად ქცეულმა მავთულებმა,
ღრუბლების ჩრდილებიც
გააფერადეს.

შენ მხატვარი ხარ და
ზოგჯერ შეგიძლია ფერების შეცვლა.

* * *

მე გამოვედი ბავშვობიდან, როგორც სახლიდან,
ან სიზმრებიდან,
როცა უცებ გაგაღვიძებენ,
მე გამოვედი ისე სწრაფად, მოულოდნელად,
როგორც ზამთარი დგება ხოლმე,
ან — გაზაფხული.

GIFT

მაგრამ რადგანაც ყველაფერი მთავრდება უცებ,
მაგრამ რადგანაც ყველაფერი მაინც მთავრდება,
მე მშვიდი ვარ და
საჩუქრებსაც — შენს ყოველ სიტყვას,
პირველყოფილი გულწრფელობით ღრმად
ამოკაწრულს,
ჩემს შეგრძნებებში და წარსულში
მყარად ვინახავ.

კატო ჯავახიშვილი

მეხსიერება

მეზიზღება, როცა მეკითხებიან
პირველი ლექსი როდის დავწერე,
და მეც ჩვეული თავაზიანობით
ვპასუხობ: „ამა და ამ წლის, ამა და ამ დღეს,
მე ვთქვი ფრაზა და დედაჩემმა ჩაიწერა უბის წიგნაკში,
ამას დაერქვა მერე ლექსი
და მერე ლექსი რომ დაერქვა,
დედაჩემმა მიიტანა რედაქციაში,
სახელად „დილა“.
ასე დაიწერა ჩემი პირველი ლექსი
და მე ის მახსოვს“.

...
ჩარჩნენ.
გამოუსწორებელი შეცდომების
გამოსწორებადი კმაყოფილების ჩრდილქვეშ.
კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან
უნიტაზში ჩარეცხილი
ვალდებულებით,
ჟანგიანი ონკანიდან
წამოსული ყავისფერი სითხით
სავსენი.
იმშობიარეს მოლოდინის დიდთვალება შიში
და იმ შიშშივე ჩარჩნენ.
მურაბიანი ენა ზურგზე გადაისვეს,
წელვადი ცხოვრებიდან ძაფებად ამოყრილ სიტყვებს
დაარქვეს „გზა”
და ამ გზაშივე ჩარჩნენ.
პეპლის საჭერებით მისდევდა ხალხი სიმართლეს.
და ის არსად იყო.
რადგან ტყუილი იყო მახსოვრობა
და მეხსიერება იყო ცრუ
და მტყუანი იყო ხალხი,
რადგან ხორბლის ყანასავით ამოსული სიმართლე
ყველა თავთავს საკუთარი მზისკენ ეწეოდა.

მე მახსოვს სახლი/აბაჟურის ნათება მკრთალი/
და სახლის სუნი/აბლაბუდით ნაქსოვი კაბა/
და სევდიანი მოლოდინი /ადრეულ თოვლის/
/ცას შერჩენილი გათენება/
ეზოში ძაღლის წკავწკავი და...
ერთი მთლიანი დასაწყისი სხვადასხვა ამბის.
ერთი სხვადასხვა დასასრული/ სიტყვები/ დაღლა/.

აქედან ალბათ ვეღარ გავალთ.
მტვრიანია ჩვენი თვალები,
ყველა მანქანამ თითქოს ჩვენზე გადაიარა.

არ მახსოვს სახლი/რადგან არ მაქვს/ აღარ მაქვს/იქნებ/,
რადგან ხელები დამიგრძელდა/ აივნებს ვმალავ/
და სეზონები იმოკლებენ ამინდებს/ ვფიქრობ/,
ჩემს იქით შენი მიწებია
/წკავწკავი ძაღლის/,
ყველა ტბის სარკის ზედაპირზე ტივტივებს მთვარე.
ერთი ნაწილი გამოაკლდა ყველაზე მთავარს.

გამოძვრნენ.
საკუთარი თავების დაკარგვიდან
სხვის მიერ დაკარგულის უარყოფამდე.
ხელ-პირი სხვისი მოტანილი წყლით დაიბანეს,
უნიტაზში ჩარეცხილი ვალდებულებები მოძებნეს,
ზურგზე ტვირთივით აიკიდეს,
თვალები პროჟექტორებივით დაჭყიტეს,
საკუთარი სიმართლე გაანათეს
და გამოძვრნენ.
სტომაქები საკუთარი თავით გაივსეს
და სავსენი გამოძვრნენ.
სიტყვა გაიათმაგეს და
სიტყვებიანად გამოძვრნენ.
პეპლის საჭერებით მისდევდა ხალხი სიმართლეს.
და ის არსად იყო.
რადგან ტყუილი იყო მახსოვრობა
და მეხსიერება იყო ცრუ
და მტყუანი იყო ხალხი,
რადგან ხორბლის ყანასავით ამოსული სიმართლის
ყველა ღერო საკუთარი მზის ქვეშ იწვოდა.

მე მახსოვს ჩვენი ფარღალალა ქოხმახი/გზაზე/
და სტვენა ქარის/და კედლების ჩამოშლა/ უცებ/
და სასულეში გადაცდენა სიტყვების/ ძაფი/,
ეს როგორც დიდი გორგალი და..
ერთი მთლიანი გაკვეთილი/ რომელსაც ვაცდენთ/,
მოთხრობის ერთი ეპიზოდი/ რომელშიც ვჩანვართ/.

აქედან ალბათ ისევ გავალთ.
ნათელია ჩვენი თვალები,
გამთენიამ თითქოს ჩვენში გამოიარა.

არ მახსოვს არც რა/ მხოლოდ თვალის დახუჭვა/ბნელში/
სიზმრები/თეთრი ნაკაწრები/რომლებსაც ვახელთ/
და ხელისგულის აფარება ყურებზე /მესმის/
და მესმის ყველა მუნჯი სიტყვა.
არ მახსოვს არც რა...

და მხოლოდ ერთი სიკვდილია/და სხეულს ვიხვევ/
და მხოლოდ ერთი სიცოცხლეა/რომელიც მახსოვს/.

იცხოვრეს.
გამოუსწორებელი შეცდომების
კმაყოფილების ჩრდილქვეშ.
იცხოვრეს.
რადგან ტყუილი იყო მახსოვრობა
და მეხსიერება იყო ცრუ
და მტყუანი იყო ხალხი
და ყველაფერი იყო ტყუილი
მათ მიერ დათესილი ხორბლის ყანის გარდა,
სადაც მათ მიერვე მოყვანილი სიმართლე,
ყველა თავთავს მთლიანი მზისკენ ეზიდებოდა.

თუ მკითხავთ,
პირველი ლექსი როდის დავწერე,
გიპასუხებთ, რომ არაფერი მახსოვს,
იმის გარდა,
რაც დავწერე.

დაბრუნება

მ-ს

ამ ხმაურიანი დღეებიდან,
ამ პროჟექტორების შუქით უცაბედად
დაბრმავებული ქალაქიდან,
ამ ადამიანურ სისუსტეებს მიღმა კვერცხის ნაჭუჭიდან
გამოჩეკილი სიჩუმიდან,
რომელსაც ხანდახან თავის გადასარჩენად,
ხან კი, საკუთარ თავთან საომრად
შემართულები ვიგონებთ,
რომ ლაპარაკი დავივიწყოთ და მლაშე ტბის ფსკერზე
მოლუსკებიდან გამომძვრალი განთიადები —
ჩვენი სიტყვები,
შორეულ გზაზე საპატიო ყარაულით გავაცილოთ,
ისე, როგორც საკუთარ თავს ვაცილებთ ხოლმე
შორეულ ნაოსნობაში,
საიდანაც გვჯერა, აუცილებლად დავბრუნდებით,
რადგან დაბრუნება ზოგჯერ სიცოცხლეს გულისხმობს,
თუნდაც ბრძოლის ველზე საზარბაზნე ხორცივით
გასროლილი სიმართლე,
უკან არასდროს დაბრუნდეს,
თუნდაც ჩვენვე აღარ გვჯეროდეს,
რომ დაბრუნება ქუჩის კუთხესთან
მათხოვრისთვის ხელისგულში ჩაგდებული ხურდა კი არა,
უფრო ავანსად გაცემული ბედნიერებაა,
რომელშიც თავადვე ვიხარშებით და
მოხარშული ტანებიდან
ნაფლეთ-ნაფლეთ გვცვივა ჩვენი წილი სიყვარული,
ჩვენი წილი დრო,
რომელიც
ამ ხმაურიანი დღეებიდან,
ამ პროჟექტორების შუქით უცაბედად
დაელმებული ქალაქიდან,
ამ ადამიანური სისუსტეების მიღმა კვერცხის ნაჭუჭიდან
გამოჩეკილი სიჩუმიდან
გავუშვით,
მაგრამ მომუჭულ ხელისგულებში ჩაგვრჩა,
საიდანაც ცხოვრების გზა-ხაზები თავადვე
პოულობენ სინამდვილეს
და სადღაც ჩვენს იქით,
კიდევ უფრო შორს,
იქ, სადაც დროში აცდენილები ზურგშექცევით სიჩუმეში
დგებიან ხოლმე,
რადგან თუ ყველაფერი არაფერია, არაფერი შეიძლება
სიჩუმე გახდეს,
იქ, სადღაც ჩვენს იქით,
კიდევ უფრო შორს,
შეგიძლია მითხრა,
რომ გიტარას აქვს შვიდი სიმი,
რომ „დო"-ს მერე ლოგიკურია იყოს ნოტი „რე",
რომ ორჯერ ორი არის ოთხი,
ან წილადების ჯამი უდრის მთლიანს,
და რომ ყველა ცხოვრებისეული კონცერტი არის
გადარჩენა,
და რომ გადარჩენა ნიშნავს დაბრუნებას,
ან უბრალოდ არიო ყველა ნოტი
და ამ ქაოსური უწესრიგობიდან დაბრუნებულმა
ყველაზე დიდი ადამიანური სიკეთე,
თვით ადამიანი,
რომელიც ჩაძირული გემის კაპიტანივით
თავდახრილი დგას საკუთარი თავის ნაპირზე
და თავის ეკიპაჟს არ სტოვებს,
რომელმაც ყველაზე უკეთ იცის,
საკუთარი სიჩუმის ფასი,
სხვების ბედნიერების სანაცვლოდ,
მოპოვებული სიჩუმის ფასი —
ყველაზე დიდი ადამიანური სიკეთე,
თვით ადამიანი,
— დააბრუნო.

რადგან დაბრუნება ზოგჯერ გადარჩენას ნიშნავს.

პოვნა

სისულელეა, როცა გგონია საკუთარ თავს ამარცხებ,
დროშასავით აფრიალებული დამარცხებიდან კი
დენთისგან გამომწვარი სხეული გიჩანს.

დიდი ხანია ამ ოთახში არ უწვიმია...
ეს მაგიდა ვიღამ გააწყო —
რა ამბავი ტკბილეულია.
ეს წელამდეა თაფლში ტანი,
ეს ქინქლები მეწებებიან,
ეს რა მსუყეა შაქრის ტბები,
ეს ფიჭაში ჩამძინებია.
ეს ტერფები ცხელ სკაში მიდგას,
ეს წვივები მეხარშებიან,
ეს სიტყვები წავისვი ტანზე,
ეს კარაქივით მსუყე გზებია.
ეს ჩემი დიდი მოთმინება
ტკბილ წყალში ცურავს,
ეს უსაშველო სიკეთიდან
იჭვრიტებიან,
— *გული მერევა.*
ყველაფერზე გული მერევა.

სისულელეა
ყველაფერი, რაც მათ ვუთხარი
და ის, რაც ვერ ვთქვი,
კიდევ უფრო სისულელეა.

მე გეუბნები, რომ ხელები უკვე ავწიე.
რომ უკვე ხმელი ტოტებია ჩემი ხელები.
რომ ახლა პოვნა. ახლა ძებნა. მერე გაწირვა.
უჰაერობა. უჟანგბადო ქარი. ხველებით
კვდება საფუტკრეთი. ეს იოლია,
ახლა უბრალოდ უნდა ადგე შენ და გაწვიმდე.
მე გეუბნები, ტერფებიდან ვიცლი ნამსხვრევებს.
რომ სასულეში ხმაურობენ წვრილი კენჭები.
რომ ახლა თაფლი და საცობი. უნდა გახვიდე.
რომ ახლა ზურგი და ნაბიჯი. ნუ დაიჯერებ,
რომ მანძილებს ვერ აბრუნებენ,
როცა გგონია, წლები დამრჩა მე შენს სახლამდე.

ლურსმნები უნდა გადავყლაპოთ.
წვრილი, პატარა, ბასრი ლურსმნები.
ნუ გეშინია, არ დავიხრჩობით.
ეს გულამდეა უკვე ცეცხლი,
ეს მატლები იჩეკებიან,
ეს რანაირად ბრუნდება გზა და
ეს რანაირი ღამეებია,
ეს ხელები ზმნებივით ვთალე
და სიტყვები მიმოკლდებიან
ეს სადღაცამდე მივიდა ხმა და
ამ ხმის იქით,
ეს ჩემი მწარე სინამდვილე
ყანაში დგას და
ირგვლივ ისეთი ტკბილი გზებია,

— *გული მერევა.*

სინამდვილეა,
ყველაფერი რაც ვერ გითხარი.
და რაც გითხარი,
კიდევ უფრო სინამდვილეა.

მე გეუბნები, რომ ხვალიდან ათვლა დავიწყე.
რომ უკვე გუშინ დადგა ხვალ და ხვალ კი წარსული.
რომ უკვე გუშინ დავინახე — გზაა ნაწყვეტი.
რომ უკვე იყო. რომ გიპოვნე. მერე წყალსადენს
მივადექით და ორივეს ისე გვშიოდა,
ენა გავაშრეთ და თვალებში ცა ჩავიწვეთეთ.
მე გეუბნები: ხმაურიდან უფრო მოვედი.
რომ უკვე უფრო სიჩუმეა. ვიდრე აქამდე.
რომ ახლა თეთრი. მერე შავი. მერე განედი.
გრძივად. განივად. უფრო შორს და თითქოს, ვქარგავდე,
ამ თეთრ ტილოს.
ეს იოლია,
ახლა უბრალოდ უნდა ავდგე მე და..
— მოვედი.

ეს მაგიდა ვიღამ გაგვიწყო —
რა ამბავი ტკბილეულია.
— ავალაგოთ ეს მაგიდა.
ავალაგოთ ეს მაგიდა!
გადავაგდოთ ეს მაგიდა
ყველა დაუსრულებელი გზისა და დაუმთავრებელი
სიტყვის იქით,
ყველა გულისრევამდე ტკბილი
და კეთილშობილებამდე თავმდაბალი მოთმინების იქით,
ყველა გულისხმიერებისა და დახმარების სურვილის იქით,
ყველა ხელისგამოწვდისა და მურაბიანი ენის იქით,

— ტკბილეული მაგრად ასუქებს.

მწერალი

არჩილ ქიქოძე

მოთხრობებს მისნაირად არავინ წერს. არ ვამბობ, მასავით კარგად-მეთქი, ვამბობ, მასავით გაუპრანჭავ, თავმდაბალ, სანდო, საინტერესო და ჩამთრევ მოთხრობებს-მეთქი. თანამედროვე ქართულ მწერლობაში — პროზაში, ესეისტიკაში — ძალიან იშვიათად შევხვედრივარ ამგვარ სისადავეს, ბუნებრიობას, იშვიათად მიგრძვნია თავი მსმენელად, რომელიც მრავალრიცხოვან აუდიტორიას გამოეყოფა, ნელ-ნელა წინ მიიწევს და ბოლოს მთხრობელთან ყველაზე ახლოს ფეხმორთხმით ჯდება, გაფაციცებით ისმენს მის ამბავს და არნახული ენერგიით ივსება. არჩილის მოთხრობების, ესსეების კითხვა ასეთ მოძრაობას იწვევს ჩემში. მასთან შეხვედრისას, არ ვიცი, რამდენად შევძელი, როგორც მკითხველმა, ჩემი დამოკიდებულება გამომეთქვა. სიტყვაძუნწი აღმოჩნდა, „მე“-ზე მხოლოდ წერა კი არა, საუბარიც არ სჩვევია. სხვადასხვა დროს უხმაუროდ გამოსცა თავისი პროზაული კრებულები: „ბიჭები“, „ირემი და ლიმონათი“, „სოფელ-ქვეყანა“, „მყუდრო“. შარშან კი მისი „ესეები“ გამოვიდა.

— ეს დღეები, ვიდრე შევხვდებოდით, კიდევ ერთხელ გადავიკითხე თქვენი მოთხრობები lib.ge-ზე და განმიახლდა განცდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის გარემო, რომელზეც წერთ, თითქოს სწორედ ისაა ღერძი და სხვა დანარჩენი მის გარშემო იქმნება — პერსონაჟები, სიუჟეტი... მგონია, რომ არაჩვეულებრივად აღიქვამთ გარემოს, იყენებთ მას, არაფერი გრჩებათ შეუმჩნეველი, ვიტყოდი, გაუმხატვრულებელი თუ გაუსიტყვებელი. თქვენი ესსე მახსენდება, „მწვანე სახლის ყველაზე ცნობილი შვილი“, ლიოსაზე რომ დაწერეთ, ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა. იქ ამბობთ, ძალიან ხშირად მინატრია მისი ნიჭი და გაქანება და მხოლოდ საკუთარი თავისთვის არა, თუნდაც სხვა ვინმესთვის, ვინც ჩვენს ქვეყანაში მომხდარი, ან მიმდინარე პოლიტიკური თუ ყოფითი ამბებისგან ერთ დიდ, მასშტაბურ მოზაიკას შექმნიდაო.

— გარემო მნიშვნელოვანია. მართლაც განსაკუთრებით კარგია საწერად აქაურობა. რა ვიცი, ვცდილობ, გამოვიყენო. თბილისი მძიმე ქალაქია საცხოვრებლადაც, კონცენტრაციაისთვისაც, იმიტომ, რომ ჩვენ, ყველას, ყოველდღიურად სულ სხვა რაღაცების კეთება გვიწევს და არ გვაქვს ფუფუნება, დავჯდეთ და ჩვენი საქმე ვაკეთოთ. მიუხედავად ამისა, აქ ყველაფერია. თუ წერ, ამ შესაძლებლობის გამოუყენებლობა სისულელეა. მთავარია, რას დაინახავ, როგორ მოყვები. ხედვასა და ოსტატობაზეა.

— რადგან მთხრობელის ოსტატობა ვახსენეთ, მინდა გითხრათ, რომ ყველაზე მეტად მომწონს თქვენი „წასვლა“. მახსოვს, რა შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი მისი წაკითხვისას. შემძრა.

— „წასვლა“ ათი წლის წინ დავწერე, 2003-ში. ჩემთვის ძალიან ძვირფასი მოთხრობაა.

— თითოეული თქვენი ნაწარმოები თავისებურ შთაბეჭდილებას მიტოვებს, მიყვარს „არქეოლოგი“, „კახეთის მატარებელი“, „ოჯახური პორტრეტები“, „ჩიტის და კაცის ამბავი“, რომელიც „ლიტერატურულ გაზეთში“ იბეჭდებოდა, თუმცა „წასვლამ“ განსაკუთრებულად იმოქმედა. თქვენს პერსონაჟებზე მელაპარაკეთ. მგონია, რომ თქვენსა და მათ შორის კავშირი ძალიან ცოცხალია, თითქოს ეს ურთიერთობა ნაწარმოების დაწერის მერეც გრძელდება. მხატვრულ სახეებს რეალური ადამიანებისგან ქმნით, ალბათ, არა?

— უმეტესობა ცოცხალი ადამიანების პროტოტიპია, სინამდვილიდანაა აღებული, რა თქმა უნდა, გადაკეთებული და უფრო მხატვრულად წარმოდგენილი. წერისას ადამიანს ბევრად საინტერესოდ წარმოაჩენ, ვიდრე მათი უმეტესობა სინამდვილეშია. ზოგიერთ თვისებას მეტად გამოკვეთ, გაუმძაფრებ. მაგალითად, არქეოლოგი რომ მყავს, ასეთი კაცი მართლაც არსებობდა, კახეთში ცხოვრობდა, ჩვენს სოფელში, სადაც მამაჩემმა სახლი



იყიდა. ცოცხალს არ მოვსწრებივარ, მომიყვნენ, რომ შავ არქეოლოგიას მისდევდა და მეტსახელად არქეოლოგს ამიტომაც ეძახდნენ. ასე რომ, პერსონაჟების უმეტესობა რეალური ადამიანებია. ადგილებიც რეალურია. კონკრეტული ადგილიც ხომ ძალიან ბევრის საშუალებას გაძლევს, რაც ერთგან მოხდება, თუნდაც მეგაპოლისში, სხვაგან — არსად. მე უფრო მიყვარს, როცა სიუჟეტი ქალაქისგან მოშორებით, გარეთ ვითარდება, იმიტომ, რომ საშუალება გაქვს, დაავიწროვო მოქმედების არეალი, პერსონაჟებისაც. თუმცა, წერისას, ალბათ, მხოლოდ ამაზე არ ვფიქრობ.

„წასვლის“ მთავარი გმირის პროტოტიპიც არსებობს. ის ჩემი მეგობარია. საერთოდ, როდესაც რაღაც გარემოზე დაწერ და მერე იქ, იმ გარემოს მკვიდრები საკუთარ თავსაც ამოიცნობენ, უცნაური და მოულოდნელი რამეები ხდება ხოლმე. „წასვლაზე“ ხევსურებს უთქვამთ, ჯიხვი რომ ვერ მოკლა, ეგ ეწყინა და მაგიტომ დაწერაო. იქ არის ერთი პერსონაჟი, რომელიც სხვებს უმალავს ჯიხვებს და მერე მარტო გამეტებით ხოცავს. მე ეგეთ რეაქციებზე არ ვბრაზობ, მაგრამ „წასვლა“ მეც განსაკუთრებით მიყვარს იმიტომ, რომ ის ხალხი მიყვარს, ის ადგილი. 2003 წელს ერთი თვე ვიყავი პირიქითა ხევსურეთში — ხონეში. აი, იშვიათად ვყოფილვარ ეგრე კარგად და ყოველ დილით სახლიდან რომ გამოვდიოდი და რომ გავხედავდი იქაურობას, ისეთი ლამაზი და მაგარი იყო, არც მჯეროდა, რომ იქ ვიყავი და კიდევ უნდა დავრჩენილიყავი. ანუ, გარემოში, რომელზეც თქვენ მკითხეთ, ერთი თვე ვიცხოვრე. ორი ოჯახის ბარში გადასახლებას ჩემი თვალით ვუყურე, მეც ვეხმარებოდი კამაზის კონტეინერში ბარგის ჩალაგებისას. მაგას ხევსურულად „ბარგობა“ ქვია და თავიდან მოთხრობასაც ეგრე დავარქვი (ფაილს დღემდე ეგრე ქვია) და მერე შევუცვალე სათაური. ოღონდ ის ორი ოჯახი წავიდა და მე კიდევ რამდენიმე დღეს დავრჩი. მოკლედ, რომ ჩამოვედი, მაშინვე დავწერე ეგ მოთხრობა, ლამის ერთი ამოსუნთქვით.

— საერთოდ, როგორ წერთ? ვგულისხმობ, იმ მწერლებს მიეკუთვნებით, წინასწარ რომ ქმნიან „სამყაროს“, პერსონაჟებს, დეტალებში რომ წარმოიდგენენ მთელ ამბავს და ამის შემდეგ იწყებენ სიტყვით მის გადმოცემას, ხორცშესხმას, თუ — წერის პროცესში რომ თხზავენ სიუჟეტს?

— ასე ვერ გეტყვით, მაგალითად, მოთხრობაზე „ჩიტის და კაცის ამბავი“, რომელიც „ლიტერატურულ გაზეთში“ ბოლოს გამოქვეყნდა, დიდხანს ვფიქრობდი, ბევრი ჩანაწერი გავაკეთე, ვემზადებოდი. თუმცა იმაზე მეტად, რაც წინასწარ მქონდა მოფიქრებული, ის ადგილები მომწონს, მოთხრობის წერისას მოუმზადებლად, პირდაპირ რომ დაიწერა. ისე კი, წერის დაწყება სულ უფრო მიჭირს, კონცენტრაციისთვის მეტი ძალისხმევა მჭირდება. წერის ხიბლი ხომ ისიც არის, რომ მერე არც გახსოვს, როგორ წერდი. როცა მუშაობ, მობილიზებული ხარ, რაც კი მანამდე დაგიწერია, მაშინვე გიბრუნდება და ხდება შენი, მაგრამ როცა არ წერ, ამ ყველაფრისგან სრულებით დისტანცირებული ხარ, როგორც ერთი ჩვეულებრივი ადამიანი.

მერე, როცა წერ, ამ პროცესში რომ ხარ, თავისთავად ხდება შენ გარშემო რაღაც საინტერესო ამბები — ნიშნებივით გეძლევა რაღაცები. აი, ეს არასოდეს მომიყოლია არავისთვის. „კახეთის მატარებელზე“ რომ ვფიქრობდი, ვფიქრობდი რაღაცაზე, რაც ფიროსმანთან მინდოდა, ყოფილიყო დაკავშირებული. წავედი ხელოვნების მუზეუმში. დილა იყო და დარბაზში იდგა მხოლოდ გოგი ხოშტარია, რომელიც ვიღაც უცხოელს ქართველი თარჯიმნის საშუალებით ფიროსმანს უხსნიდა. ჰოდა, მეც ავეკიდე და ვუსმინე, თანაც ბატონი გოგი მე არ მიცნობს და ამან უფრო გამაბედინა. რაც მოვისმინე და გავიგე, ეგ იყო პირველი ნიშანივით, რომ სწორ გზაზე ვარ. რამდენიმე დღეში მოვიდა სტუმრად ჩვენი საერთო მეგობარი მარიკა ერქომაიშვილი, რომელიც ჟურნალში მუშაობდა და მოიტანა ინტერვიუ გოგი ხოშტარიასთან ისევ ფიროსმანზე. სათაურიც მახსოვს „შავი მუშამბის ნათება“. და ეგ იყო მეორე ნიშანი და უცებ დამიდგა თვალწინ მარიკა, ბატონი გოგი და მუზეუმის ცარიელი დარბაზი და ჯერ ეგ სურათი იყო და მის გარშემო მოვიფიქრე ყველაფერი ის, რაც იქ ხდება და რაც უფრო მნიშვნელოვანია თითქოს, მაგრამ ყველაფერი იმიტომ მოვიფიქრე, რომ ეს ორნი ფიროსმანის ნახატთან დამდგარიყვნენ, ელაპარაკათ და მესამეს ესმინა. ეგ მოთხრობაც ხომ ნიშნებზეა...

— თქვენი ესსეებიც ძალიან საინტერესო და განსხვავებულია. თუმცა მგონია, რომ არც ისე ხშირად ბეჭდავთ.

— წიგნში „ესეები“ ათი თუ თერთმეტი ესსე შევიტანე — რაც მომწონდა. ისინი სხვადასხვა პერიოდული გამოცემისთვის, ძირითადად, „ცხელი შოკოლადისთვისაა“ დაწერილი. მათგან ერთი-ორი ისეთია, მართლა რომ მომინდა და ჩემთვის დავწერე. მათ შორისაა ესსე ლიოსაზე. თუმცა, მოთხრობების წერა უფრო მიყვარს.

— ლიოსაზე წერდით, ჩვენს თავს დატრიალებული ორომტრიალი სწორედ მის კალამს, მის მწერლურ ბრაზს, დაუნდობლობას და იუმორს იმსახურებსო. მწერლურ ბრაზში რას გულისხმობდით?

— რაღაცების არმიღებას, რაღაცებთან არდათანხმებას. არ მჯერა, რომ რომელიმე კარგ მწერალს შეუცვლია საზოგადოება. გერმანელებს თომას მანი ჰყავდათ და მაინც ჰიტლერი აირჩიეს. საერთოდ, მიფიქრია ამაზე — ვისთვის წერ? პასუხი ასე ჩამოვაყალიბე — წერ იმ ადამიანისთვის, ვინც წაიკითხავს და გაუჩნდება შეგრძნება, რომ ამ ქვეყნად მარტო არ არის. მე, როგორც მკითხველს, გამჩენია ეგ შეგრძნება და იქიდან ვიცი.

ესსეებს იშვიათად რომ ვწერ, ერთერთი მიზეზი ის არის, რომ როცა ამა თუ იმ მოვლენაზე მომინდება ხოლმე გამოხმაურება, ბლოგერებს უკვე დაწერილი აქვთ, კარგადაც წერენ და, რაც მთავარია, სწრაფად. მე ეგრე არ შემიძლია, სიტყვას დიდხანს ვუტრიალებ, ამასობაში კი ჩავლილია ამბავი. ამიტომ, ხშირად, ჩემს მოთხრობებში ერთიანად ვეხმაურები ხოლმე ყველაფერს, რაზეც, თავის დროზე, დამიგვიანია რეაქცია, რაზეც გავბრაზებულვარ, გამცინებია, რაც საინტერესო ყოფილა ჩემთვის. თუმცა ყველაზე მეტად მორალისტობა მეჯავრება. ბრაზი მაქვს მათ მიმართ, ვინც თავს უფლებას აძლევს, სიმაღლიდან გელაპარაკოს, განგსაჯოს. თბილისი ამ მხრივ მძიმე ქალაქია, ყველაზე ყველაფერი იცი, თან ეს ცოდნა არაფერში გარგია, არც გაინტერესებს, მაინც შემოდის და გადის





შენზე, შემოდის და გადის.

— **ლიოსას გარდა თქვენი ავტორები ვინ არიან? ვიცი, ერთ-ერთი ფოლკნერია.**

— ფოლკნერმა, მგონი, მხოლოდ ჩემზე კი არა, მსოფლიოში ყველა იმ ავტორზე იმოქმედა, ვინც მის მერე წერდა. ჩემთვის ის ცალკე დგას. „შემოქმედებაზე გავლენა იქონიაო“, რომ ამბობენ ხოლმე, ფოლკნერზე, შუკშინზე, ლიოსაზე ვიტყოდი ამას. ალბათ, ეს სამი კაცია, ვინც ჩემზე ძალიან იმოქმედა, აი, თურმე ასე წერაც შეიძლება-მეთქი, მაფიქრებინა. თუმცა ერთმანეთს საერთოდ არ გვანან. ლიოსასთან მიყვარს ნაკუწებისგან რომ აწყობს ამბავს. მეც ვიყენებ ამ ხერხს და ამის აღიარება არ მრცხვენია. სხვათა შორის, კინოების ასე აწყობაც დაიწყეს და ეგეც, საბოლოო ჯამში, ლიოსას გავლენა მგონია. საერთოდ, მიყვარს, როცა ამბებია. ამ მხრივ, სამხრეთამერიკული მწერლობა გამორჩეული და ძალიან საინტერესოა ჩემთვის. ერთმა მეგობარმა მითხრა, ქართულ ლიტერატურას ფილოსოფოსი გმირი არ ჰყავს, ერთი თუთაშხიაა, რომელსაც საკუთარი რაღაც ფილოსოფია აქვს და ისიც ყაჩაღიაო. ჰოდა, მეც ის მწერლობა მიყვარს, სადაც მოქმედებაა. შეიძლება იმიტომ, რომ ფილოსოფიის არაფერი გამეგება და ცუდად იქნებოდა საქმე, ჩემი აზრების გადმოცემა რომ დამეწყო.

— **მამაზე მიამბეთ, მასთან ურთიერთობაზე, მის დამოკიდებულებაზე თქვენს ნაწერებთან.**

— მამაზე ძალიან მიჭირს ხოლმე ლაპარაკი. მას ჰქონდა მთავარის დანახვის და გამორჩევის უნარი ყველაფერში, მათ შორის ამბებშიც. მისი ეს უნარი და სამყაროს მისეული ხედვა მეც ძალიან მარგია. იმის გარდა, რომ ყოველდღიურად მეხმარება ცხოვრებაში, მწერლობაშიც წინ მწევს. თავიდან მწყინდა ხოლმე, როცა ამ ამბებს სხვებს უყვებოდა, იმიტომ რომ მინდოდა, მე დამეწერა. გავიგებდი, რომ უკვე მოყვა და ხელს ჩავიქნევდი, შემდეგ სხვები წერდნენ ხოლმე. ის ძალიან კარგი მთხრობელი იყო. მოგვიანებით ბევრმა უცხოელმა დაწერა მისი ნაამბობი. საერთოდ, სულ მეგონა, რომ რა ამბავსაც მოვყვები, იმას აღარასდროს დავწერ, არ დავწერ იმ ადამიანზეც, რომელსაც ფოტოს გადავუღებ, იმიტომ რომ ნაწერი ფასს დაკარგავს-მეთქი. ახლა ვყვები და კიდეც ვწერ, ვუბრუნდები მოყოლილ ამბებს.

— **საქართველოს ყველა კუთხეს, მათ ცხოვრებას, ყოველდღიურობას, მგონი, ბავშვობიდან იცნობთ. ჯერ მამას დაყავდით ექსპედიციებში, შემდეგ ერთად უწევდით მეგზურობას უცხოელებს. გიდობას ახლაც აგრძელებთ?**

— გიდობას ვაგრძელებ. რამდენიმე დღეში მივემგზავრები კიდეც, დაზამთრებამდე ბოლო ჯგუფი მიმყავს, უცხოელები. სხვადასხვა სახის ტურებია, მათ შორის — ორინტოლოგიურიც. აი, ჩიტებს რომ აკვირდებიან ჭოგრიტებით და დურბინდებით. ახლახან ლიტველ მომღერლებს გავუწიე მეგზურობა. ჩემი ძირითადი საქმე ესაა, მაგრამ მომბეზრდა. წელს პირველად ვიგრძენი, რომ მომბეზრდა.

მამაჩემმა ეს საქმიანობა გასული საუკუნის 90-იანების შუაში დაიწყო, რამდენიმე წელი უცხოელები ერთად დაგვყავდა. ბუნებრივია, იმ დროს ტურისტი აქ არავინ ჩამოვიდოდა. თბილისში, საერთაშორისო ორგანიზაციებში მომუშავე უცხოელებს ვუწევდით გიდობას. მაშინ მართლაც საოცარი ტურები იყო, უცხოელებს საქართველოს აღმოჩენის განცდა ჰქონდათ, იმიტომ, რომ ჩვენ გარდა სხვა არავინ დადიოდა, ზურგჩანთიან კაცს თუ დაინახავდი, იცოდი, რომ ვიღაც ნაცნობი იყო. ახლა უკვე იმდენი დადის, რომ ზაფხულობით თუშეთიდან ხევსურეთში გადასვლისას, შეიძლება, საკარვე ადგილიც კი ვერ იპოვო. სრულებით სხვა ქვეყანაა. ყველაფერი შეცვლილია. იქნებ, ამიტომაც დავიღალე ასე ამ ტურებით.

— **ბატონი ზალიკო, ალბათ, ყველაზე სასურველი მკითხველი იქნებოდა თქვენთვის. შთაბეჭდილებას გიზიარებდათ ხოლმე?**

— თავიდან არ მოწონდა, რაზეც ვწერდი, რადგან მოთხრობები, ძირითადად, ქუჩაზე, სროლაზე იყო — იმ დროზე, რომელშიც ჩემი თაობა გაიზარდა. მახსოვს, მერე ერთი მოთხრობა დავწერე, „მურტალი ქართველები“ და დედაჩემი მოვიდა, ძალიან მოეწონაო. ისე, დიდად არ ვარჩევდით ხოლმე ნაწერებს.

— **თქვენი გადაღებული ფოტოები ძალიან შთამბეჭდავია, ისინიც თითქოს რაღაც ამბის ნაწილია. როგორც ვიცი, გამოფენები გქონდათ გერმანიში, ჰოლანდიაში, ბელორუსიაში, შვედეთში...**

— ფოტოგადაღება ვისწავლე. ისე მოხდა, რომ თავიდან უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, მაგრამ შემდეგ თავი დავანებე და საოპერატოროზე ჩავაბარე. იქ რომ მოვხვედრილიყავი, აუცილებელი იყო, ფოტოგრაფია მცოდნოდა, მთავარი გამოცდა სწორედ ამ დარგში იყო. მაშინ დავეუფლე გადაღებას, ვიღებდი ფირით, თვითონ ვამჟღავნებდი და ვბეჭდავდი. მიხარია, რომ ფოტოგრაფია ფირიანი აპარატით ვისწავლე. დღეს ეს უკვე წარსულია. არიან ფოტოგრაფები, ვინც ისევ ფირით იღებს, მაგრამ ჩემთვის ეს უკვე ფუფუნებაა. არადა, მეჩვენება, რომ ფირის გამოსახულება მაინც უფრო ღრმაა და ვერანაირი ეფექტით ამას ციფრულ სურათში ვერ აღწევ. შეიძლება, ვცდებოდე კიდეც, თუმცა ერთი რამ ნამდვილად ვიცი — ციფრული კამერების გაჩენით ფოტოგრაფიაში დაიკარგა ყველაზე ამაღელვებელი — მოლოდინის მომენტი, როცა არ იცი, რა გამოგივიდა და ფირის გამჟღავნებას ელოდები...

— **მსხვილტანიანი ნაწარმოების შექმნაზე თუ გიფიქრიათ?**

— ძალიან მინდა, დავწერო. ბოლო ხანებში ვატყობ, რომ ეს ჩემი მოთხრობები სულ უფრო და უფრო გრძელი ხდება. შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს მოთხრობა თავისთავად გადაიქცეს რომანად. თვითონ რომანის გაგებაც შეცვლილია, ფოლკნერის „დათვს“ ახლა რომანი დაერქმეოდა და არა — მოთხრობა. ცოტა გაზრდილი შრიფტი, სქელი ყდა და რომანია, აბა, რა არის?! ყოველ შემთხვევაში, უფრო მაგარი და მრავლისმომცველია, ვიდრე ჩემს მიერ ბოლო წლებში წაკითხული ყველა ახალი რომანი. ისე, ნამდვილი რომანის დაწერა მართლა კარგი იქნებოდა. თუ მწერალი ხარ, ერთი რომანი მაინც რომ დარჩეს შენს შემდეგ, მაგარი რამე იქნება.

ესაუბრა თამარ ჟურული

ლექსო დორეული

ტარიელ ჭანტურია — ხმის პოეტი

დაშლისა და განვრცობის ხელოვნება

ტექსტი, როგორც არსებობა

ვინც კი ქართველი პოეტის, ტარიელ ჭანტურიას შემოქმედების დესკრიფციულ-ტექსტუალური ანალიზი სცადა, ყველა დამარცხდა. მნიშვნელობა არ აქვს, იყო ეს მისი პოეზიის პოზიტიურად თუ ნეგატიურად შეფასების მცდელობა. ნებისმიერი ასეთი ექსპერიმენტი კრახით დასრულდება მომავალშიც, რასაც თავად ამ ავტორის პოეზიის სპეციფიკა განაპირობებს — ის ხომ პოეტიკური სულისკვეთების თვალსაზრისით დისკურსულად იმდენად მომცველი და უნივერსალურია, რომ არ ტოვებს სივრცეს, სადაც აზროვნების რომელიმე ნიმუშს საყოველთაო მნიშვნელობა შეიძლება, მიენიჭოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთადერთი სიმყარე, რომელიც ცნობიერების ამ ველში გამეორებისა და დისპერსიის (გაფანტულობის) კატეგორიებს ექვემდებარება და, ამავე დროს, ატარებს სუპლემენტარულობის ორ ურთიერთგანმსაზღვრელ და გამომრიცხავ საზრისს, არის თავად მისივე ხედვის რაკურსი — როგორც მას ვუწოდებ, „დაშლისა და განვრცობის ხელოვნება“ (ამაზე ქვემოთ შეძლებისდაგვარად ვრცლად ვისაუბრებ).

ვინაიდან, იმის არავითარი სურვილი მაქვს, რომ საკუთარ პერფორმანსში რეფლექსიის ობიექტი თავს წამომადგეს და მაგრად დამცინოს (სწორედ ეს დამართა ტარიელ ჭანტურიამ მის ერთ თავგამოდებულ კრიტიკოსს), ჩემი ტექსტი კი მის (რეფლექსიის ობიექტის) რიგით შოუს დაემსგავსოს, გადავწყვიტე, არ ვისაუბრო იმაზე, თუ რა არის ტარიელ ჭანტურიას პოეზიის ონტური (არსებული) მახასიათებლები, არამედ, შევეცდები, საკითხის აქტუალობა ფილოსოფიის მითში გადავნერგო და ვცადო ანალიზი იმისა, თუ როგორია ამ ავტორის პოეზიის ონტოლოგიური (არსებობისეული) და არქეტიპული საფუძვლები (აქ აუცილებლად უნდა აღვნიშნო გივი ალხაზიშვილის ესსე „სივრცე ღიმილსა და ცრემლს შორის“, რომელშიც ტარიელ ჭანტურიას პოეზიის ლიტერატურული საფუძვლებია გაანალიზებული). თუ ამ, ანუ ჰაიდეგერის გზას ავირჩევთ, ჩვენ საქმე გვექნება ტექსტთან, როგორც იდეალობის „მეტაბუნებაში“ მოცემულ პრეზენსთან (აწ-ყოფნის თანადასწრებულობასთან), მის ნოემატურ (არსებობის მიღმა მყოფ) ეკვივალენტთან და არ დავინტერესდებით იმით, თუ როგორ და რა ფორმებში მოხდა ამ ყოველივეს ემპირიულ-გრამატოლოგიური დაფუძნება.

ტექსტის წინაარსებობის ეს ფორმა, რაციონალობის მიღმა მყოფი, უსწრებს ნიშნის ფენომენოლოგიური შესაძლებლობის კონცეპტს და, შესაბამისად, არსებობის ლოგიკასაც. მასში ერთადერთი მოცემულია ენის აპრიორულობის ლოგიკის თანაგანცდა, რომელიც შემდეგ მონაწილეობს გამოთქმის სუბსტანციის ფორმირებაში, რაც, თავის მხრივ, ინახავს და იცავს კავშირს იდეალობასა და აწმყოს დასწრებულობას შორის. როგორ ხორციელდება ეს პროცესი? რა თქმა უნდა, ხმისა და ინდექსის მეშვეობით, რომელთაგან პირველი საგანთა სიმულაციების არქივია, ხოლო მეორე ქმნის ატრადიციულ გაორებას აღსანიშნსა და აღნიშნულს შორის.

ამიტომაც ტარიელ ჭანტურია ხმის პოეტია.

სწორედ ეს აძლევს მას საშუალებას, დაიცვას ცოცხალი, უსაფრთხო პრეზენსი, რაც უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ენის, როგორც კომუნიკაციის და „გამოქვეყნების“ ფუნქციური თვალსაზრისით.

დამწერლობისა და მეტყველების ბინარული ოპოზიცია

პლატონის ერთ-ერთ დიალოგ „ფედროსში“ სოკრატე მოგვითხრობს ძველეგვიპტელთა ღვთაება თოტის შესახებ, რომელიც მეფე თამოსს ეახლა, რათა მისთვის ეჩვენებინა თავისი გამოგონებები, რომელთა შორისაც იყო დამწერლობა.

მეფემ მოუსმინა თოტს და ბოლოს საკუთარი აზრი გამოთქვა: „გონებამახვილო ღვთაებავ, რაიმე ხელობის გამომგონებელს როდი ძალუძს, მართებულად განსაჯოს თავისივე გამოგონების ავკარგიანობა. ამ წუთას, შენც, დამწერლობის მამავ, მშობლის კეთილმოსურნეობით აღვსილი შენს ნაყოფს სრულიად საპირისპირო თვისებებს მიაწერ. სინამდვილეში დამწერლობა ადამიანებში მხოლოდ ცოდნის დავიწყებასა და მეხსიერების გაზანტებას გამოიწვევს. შენ არა მეხსიერების უნარის გაძლიერების, არამედ მასში მოცემული მოგონებების შენახვის საშუალება გამოიგონე და ამით შენს შეგირდებს არა ჭეშმარიტებას, არამედ მის მოჩვენებას უბოძებ“.

პოეტის არჩევანი დამწერლობისა და საკუთარ ცნობიერებას შორის

თანამედროვე ქართველი პოეტების აბსოლუტური უმრავლესობა, შეგნებულად თუ უნებლიედ, აღიარებს დამწერლობის ენის პრიმატს. ეს კი გულისხმობს იმას, რომ ისინი იმყოფებიან აზროვნების იმ მოდუსში, სადაც ენა საკუთარი თავის დროითსივრცულ ათვისებას ცდილობს. მათ მინდობილი აქვთ თავისი რეფლექსია დამწერლობის ენის სტიქიონისთვის, რომელიც მოქმედებს თვითნებურად და, გარკვეული გაგებით, ამცირებს ავტორის მონაწილეობას შემოქმედებითი აქტის მსვლელობაში. სწორედ ამიტომ ხდება ხოლმე, რომ ხშირად პოეტი საკუთარ ტექსტს ვერ ცნობს და მის შექმნას ისეთ მისტიკურ ფენომენებს უკავშირებს (ეს ტექსტი, ჩემი ტექსტი ამის კლასიკური მაგალითია) როგორიც არის ღვთაებრივი კარნახი, ანდა ცნობიერების ნაკადი.

რა თქმა უნდა, ენის ამგვარი ძალმომრეობა თავისთავად არ შეიძლება იყოს დაცლილი მისტიკური შინაარსისგან, მაგრამ, როგორც ვთქვი, ამ ყოველივეს მიზეზი თავად მის სტრუქტურებშია საძებნელი და იმაზე მითითება, რომ პოეტი ზეციური განგებულების აღსასრულებლად ღმერთის მიერ მოვლენილი ქადაგია, ბევრს არაფერს ნიშნავს.

ტარიელ ჭანტურია კი ის პოეტია, რომელიც არ ეპუება დამწერლობის ენის ამ მომნუსხველ თვისებას და მისი დინების საპირისპიროდ ცურავს.

ამიტომაც არის, რომ მისი ტექსტების კითხვისას ისეთი გრძნობა გვიჩნდება, თითქოს ავტორი გვესაუბრებოდეს და ის უშუალოდ, ხმისმიერად მოგვითხრობდეს ყოველივეს.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ მისი ნაწარმოებები ჰერმენევტიკულად დახუფულია, არ გადაგვიშლის ინტერპრეტაციათა მრავალფეროვნების ფართო ჰორიზონტს და მათში ავტორი მოქმედებს, როგორც დიქტატორი, რომელიც ტექსტის მხატვრულ-საზრისულ სიცოცხლეს ერთმნიშვნელოვნად ადგენს. პირიქით, პოეტის აღქმის პროცესში მსგავსი მონაწილეობა რეციპიენტს უქმნის მასთან უნიკალური, უშუალო კომუნიკაციის შესაძლებლობას. მკითხველს ეძლევა საშუალება ავტორს რაიმე ჩაეკითხოს, აწარმოოს ცოცხალი კომუნიკაცია მასთან და ერთობლივად წარმოქმნას მხატვრული საზრისის სიცოცხლე.

ტარიელ ჭანტურიას პოეზიის ეს თვისება-უნარი სრულიად თვითკმარი და ამოუწურავია და იმის გარანტიას იძლევა, რომ მისი ტექსტების ისტორიულ კონტექსტში გაუცხოება არ მოხდება. არასოდეს დასჭირდება მკითხველს, სპეციფიკური და სპეციალური გზების ძიება, რათა მას ისტორიის ქერქი ჩამოაცალოს და ასე მოახდინოს მისი ცნობიერების რეკონსტრუირება. არამედ ნებისმიერ ადამიანს ნებისმიერ ეპოქაში ექნება საშუალება, არ დაკარგოს ცოცხალი კავშირი ავტორთან და, საჭიროების შემთხვევაში, გამოიხმოს იგი.

მეტიც, ტარიელ ჭანტურიას ლექსების კითხვისას ყოველთვის გაისმის მისი ხმა,

→

დასასრული

„რომელიც დგას ფენომენოლოგიურ სუნთქვაში“ და მისგან თავის დაღწევის საშუალებას არ გვაძლევს.

პლატონის „ფედროსის“ ზემოციტირებული პასაჟის გაგრძელებაში სოკრატე დამწერლობის სწორედ ამ ნაკლზე მიუთითებს, რაც ტარიელ ჭანტურიას პოეზიაში დაძლეულია:

„დამწერლობას, მხატვრობის მსგავსად, ერთი უხერხულობა ახასიათებს, ჩემო ფედროს. მხატვრობის ნიმუშები თითქოს სიცოცხლეს აფრქვევენ, მაგრამ თუ მათ რაიმეს შეეკითხები, ისინი მხოლოდ დუმან. იგივე ხდება დაწერილი სიტყვის შემთხვევაშიც. თითქოს ნაწერები ჭკუადამჯდარი ადამიანებივით გვესაუბრებიან, მაგრამ რამდენჯერაც არ უნდა მოსთხოვო მსჯელობის თაობაზე ახსნა-განმარტებები, ერთი და იგივე პასუხს მოგახლიან. მან (დამწერლობამ) არ იცის, ვის მიმართოს და ვისთანაა უპრიანი დუმილის შენარჩუნება“ (პლატონი, „ფედროსი“, 274c – 276a).

დამწერლობისა და მეტყველების ბინარულ ოპოზიციას ერთმანეთისგან, ცხადია, ქვესკნელი ჰყოფს. სწორედაც ქვესკნელი, რომლის ამოვსებაც შესაძლებელია განსხვავებით უფსკრულისაგან, რომელიც უფსკერულია. ტარიელ ჭანტურიას შემოქმედებაში ამისათვის სუპლემენტარობის ორი ფორმაა მონახული: პირველი პარადიგმა მიგვანიშნებს ამ ცნების ტრადიციულ გაგებაზე, რაშიც იგულისხმება იდენტობის მიღწევა ნაკლოვანების შევსებით; ხოლო მეორე კონცეპტი დაკავშირებულია წმინდა ლოგიკის გრამატიკაში დაგროვილი მთელი გამოცდილების მოცვასთან, მისთვის თავის მოყრასთან, რაც ფრანგული ენის მეშვეობით შეიძლება გამოიხატოს ტერმინით: recouvrer.

დამწერლობაში მეტყველება და ამ ორი დაპირისპირებული ცნების გაერთიანება შესაძლებელია ხმათა ანიმაციის მეშვეობით. ამით ხდება შესაძლებელი ტექსტის ცნობიერების დიაქრონიზება, რაც გამოიხატება იმით, რომ ის დროის მსვლელობაშიც ინარჩუნებს მარადიული აწმყოს სტატუსს და მკითხველს მუდმივი თანადასწრებულობის პირობებში ამყოფებს. ასე მიიღება პოეზია, რომელიც ყველაზე უფრო მართალია და ზუსტად ემთხვევა აზროვნების საზღვრებს.

ტარიელ ჭანტურია იმით, რომ არ მისდევს დამწერლობის ენის მსვლელობას, ზრდის საკუთარ ნაღდ მონაწილეობას პროცესში და არ არის მინდობილი სიტყვის ინერციაზე, რაც უამრავ ავტორს ხშირად იმასაც შეამთხვევს, აზრადაც რომ არ მოსვლია.

ასე რომ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, შემოქმედებით პროცესში ტარიელ ჭანტურია უბრალო გამტარი კი არ არის ენასა და საგნებს შორის, არამედ ის არ ანებებს „ლინგვას“, იმოქმედოს მის მაგიერ, შეიჭრას მისი კომპეტენციის სივრცეში და „შეულახოს“ საავტორო უფლებები.

ასე ახერხებს ტარიელ ჭანტურია, რომ გვესაუბროს მხოლოდ საკუთარი აზრებისა და განცდების შესახებ და შეუზღუდოს ენას თვითნებურად მოქმედების არეალი, გააუნებელყოს იგი, როგორც ცნობიერებაზე ძალადობის იარაღი; გამოიხსნას აზროვნება დამწერლობის ენის მარწუხებიდან და არ მისცეს მას საშუალება, იქცეს გონების თეოლოგიურ კანონმდებლად.

ანალოგიის კატეგორიის პოლივალენტური ხასიათი ხომ მას მოქმედების უნივერსალურ ველს უქმნის. ამის მიზეზი კი თავად ადამიანია, რომლის გავლითაც მიმართებაში მოიქცევა ყველა საგანი.

ყოველივე ამის შედეგი ისაა, რომ მისი ტექსტების მეხსიერება წინ უსწრებს და უფრო დიდ ხანს გრძელდება, ვიდრე მათი სიცოცხლე.

სწორედ ამიტომ, ამ პოეზიის არსება (ტექსტი) — განსხვავებით დამწერლობის პრიმატით შექმნილი ნაწარმოებებისაგან, რომლებიც იქამდე არსებობენ, სანამ ისინი იდეალურ ყოფიერებაში არიან და მათი ხორცშესხმა განადგურებაა, — მდგომარეობს იმაში, რომ მის ფარგლებში „ნივთი თავისთავადი“ ემთხვევა „ნივთი ჩემთვისას“; ფენომენს და ნოუმენს ერთმანეთისაგან განასხვავებს არაფერი. მაგრამ რა არის ეს „არაფერი“?

იქნებ ხმასთან ერთად მზერაც?

ტარიელ ჭანტურიას გარკვეული ტექსტების კითხვისას ხომ გაურკვეველი რჩება, რომელი — რომელს, ჩვენ — მას, თუ ის — ჩვენ გვიყურებს და ცდილობს, ამით ჩაგვაყენოს ცოცხალი პრეზენსის მსვლელობაში.

მსგავსი ეგზისტენციალური დაძაბულობა მზერისა, რომელიც თავის თავში გარდატეხს სემანტიკურ რაკურსს, ქმნის სივრცეს, სადაც ხელოვანი უნდა დადგეს ნაწარმოებსა და თავის თავს შორის...

ლექსო დორეული

ტარიელ ჭანტურია — ხმის პოეტი

დაშლისა და განვრცობის ხელოვნება

პოსტმოდერნიზმის ერთი თავისებურების შუქზე

ПОСТМОДЕРНისტული ესთეტიკის კრიტიკოსები ხშირად აღნიშნავენ, რომ ეს არის მიმდინარეობა, რომელშიც ყველაფერი ზედაპირზეა მოცემული. ამ გარემოებას კი უკავშირებენ თანამედროვე ეპოქაში დროის ეგზისტენციალური აღქმის დაჩქარებას და მიუთითებენ, რომ ვინაიდან ადამიანს იმის საშუალებაც აღარ აქვს, თვალი გაადევნოს საკუთარი სიცოცხლის სტიქიონალურ ნაკადს, რომელმაც ის კოლექტიური ცნობიერების ფარგლებში მოიცვა და ახლა თავად წარმოადგენს ამ ნაკადს, შემეცნების წერტილი წრფედ გადაიქცა.

მათი აზრით, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ რეალობასთან მიმართებაში დროის თანაბარ მონაკვეთში მოვლენათა ინტენსივობის ზრდა გამოიწვია, რამაც ადამიანი სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა — „გაპარვოდა“ საკუთარი ცხოვრება. სწორედ ამიტომ, ადამიანის ცნობიერების ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნილებად ფენომენთა თანამიმდევრულ-კლასობრივი აღქმა იქცა, რათა შეძლებოდა, დროითი დისტანციის დაძლევა წარსულსა და აწმყოს შორის (ასე თვლიდნენ 2010 წელს, მაგალითად, ბატონები ლექსო დორეული და ბაქარ როსტიაშვილი და მათ თავიანთი ხედვები ჩამოაყალიბეს კიდეც წიგნში: „პოსტმოდერნული ტექნოკრატიის ფილოსოფობია“).

სწორედ ამიტომ მოიპოვა განსაკუთრებული პოპულარობა ე. წ. კიჩმა, რომელიც, როგორც წესი, მასობრივი კულტურის პროდუქტია.

ზოგიერთი თეორეტიკოსი, იმის გამო, რომ კიჩის მთავარი თვისება საყოველთაობა, ანუ ფართო სოციალური სანქციაა, ირონიულ-პაროდიულ მიმდინარეობას, ანუ „დაშლისა და განვრცობის ხელოვნებას“ სწორედ კიჩს უკავშირებს, რაც მეტისმეტად არასწორია.

უპირველესად, იმიტომ, რომ განსხვავებით კიჩისაგან მას არ გააჩნია არავითარი სოციალური ფუნქცია, რომელიც არ დაიყვანებოდეს ლიტერატურულ გამიზნულობამდე და, მერე მეორეც, რამდენად თავზარდამცემიც არ უნდა იყოს, ამ ტიპის ხელოვნების „ზედაპირულობასა“ და საყოველთაო ხასიათს ღრმა ფილოსოფიურად იდეოლოგიური მიზეზები აქვს.

ტექსტის საყოველთაობის დადგენა იოლი სულაც არ არის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ტარიელ ჭანტურიას პოეზიას ეხება.

პირველი, რაც უნდა გავითვალისწინოთ არის ის, რომ ავტორი ფლობს დიდ ჰერმენევტიკულ და ინფორმაციულ ცოდნას და სწორედ ამიტომ შეუძლია თავისუფლად მანევრირება ენის სხვადასხვა შრეში, რის შედეგადაც დგამს შესანიშნავ მხატვრულ-ლიტერატურულ პერფორმანსებს, ერთმანეთს უზავებს სხვადასხვა პარადიგმებს, კონტექსტებსა და ტექსტებს. მასთან ამგვარი ლინგვისტური მიმართებები არ იღებს მხოლოდ ენობრივი თამაშების ხასიათს და ისინი განივრცობა აზროვნების ნიმუშთა ურთიერთმიმართების გარკვეულ ფორმებზეც.

თითქოს პოეტს წინ უშველებელი ლოტოტრონი უდევს, სადაც სივრცესა თუ აბსტრაქციაში არსებული სიტყვები და საგნები, პარადიგმები და კონტექსტებია მოთავსებული. ტარიელ ჭანტურია კი ალალ ბედზე იღებს მათგან რამდენიმეს და განუმეორებელი ტალანტისა და ოსტატობის მეშვეობით ახერხებს, ისინი ერთმანეთთან ქიმიურ რეაქციაში შეიყვანოს და წარმოქმნას სრულიად ახალი, გენიალური საზრისები და განწყობები — ხმები თავისივე ექოებით; ან სულაც გამოათავისუფლოს თავად მათი მოქმედების დიაპაზონი სიტყვასა და მის ჩრდილებს შორის და უცვლელად შეინარჩუნოს (სწორედ ხმისავე დახმარებით) მიღებული მოცემულობა ენაშიც.

პირველი მიზეზი, თუ რატომ არის სულელური ტარიელ ჭანტურიას პოეზიის კიჩად მონათვლა, არის ის, რომ მის ტექსტებს აქვს ფენომენოლოგიური შრეები; მათი განლაგება დაახლოებით ისეთია, როგორც ნიკოლაი ჰარტმანი აღწერს: თითოეულ შრეში მოცემულია ძირითადი ბირთვი საერთოობისა. კიჩის არქიტექტონიკას კი, მოგეხსენებათ, ამგვარი შრეობრივი სტრუქტურა არ შეიძლება, ახასიათებდეს. ტარიელ ჭანტურიას პოეზიის საყოველთაობას სწორედ ის განაპირობებს, რომ მასში არსებობს შრეები; მისი შემოქმედება განკუთვნილია ინტელექტუალი მკითხველისათვის და, ამავე დროს, ადგილს ტოვებს ნებისმიერი მომზადების რეციპიენტისათვის.

მეორე გარემოება გულისხმობს იმაზე რეფლექსიას, თუ რატომ არის ტარიელ ჭანტურია ინტელექტუალი პოეტი.

საქმე ეხება საკითხს, თუ რა დგას პოეტის ამგვარი არჩევანის — ირონიულ-პაროდიული ესთეტიკის — უკან და რა ფილოსოფიური საფუძვლები უმაგრებს ზურგს ამგვარ გადაწყვეტილებას.

დასამალი არ არის, რომ სამყაროს ამ განწყობიდან ჭვრეტას თავისი ჰიუმისტურ-ნიჰილისტური მიზეზები აქვს და, შეიძლება ითქვას, ამ პოეტის შემოქმედებაც, გარკვეული გაგებით, მისი მსოფლმხედველობრივი პოზიცია-არჩევანია.

ამიტომ თუ ჩვენც ამ განწყობის გათავისებას მოვახერხებთ, პოეზიის განხორციელების ეს გზა შეიძლება უნივერსალურ და ერთადერთ გამართლებულ ფორმადაც მოგვეჩვენოს.

სწორედ ამ მიზეზით მიიჩნევდა ბერტრან რასელი თავისი აზროვნებისეული მოღვაწეობის მწვერვალად მის ერთადერთ, მარტივ და ირონიულ მოთხრობას: „ღვთისმეტყველის კოშმარული სიზმარი“.

ასე რომ, ტარიელ ჭანტურიას პოეზია არის ძალზე ინტელექტუალური და რთული პოეზია არა იმდენად, რომ მის უშუალო ხორცშესხმაში ვხვდებით დიად ფილოსოფიურ იდეებს, არამედ იმიტომ, რომ თავად აზროვნებისა და სამყაროს ხედვის ეს (ჭანტურიასეული) არჩევანი არის საოცრად მომცველი, თვითკმარი და მას წანამძღვრად უდევს უმნიშვნელოვანესი გამოცდილება ტექსტებთან და საკუთარ სიცოცხლესთან ურთიერთობისა. სწორედ პოეტის ამგვარი გადაწყვეტილებაა ინტელექტუალურიცა და, ჩემი აზრით, ელიტარულიც.

ერთი „ცრურწმენის“ შესახებ

ხატაურა

დუმს ბუხართან ბრძნულად ჩემი
მოფილოსოფოსო ფისო!
იზმორება: ამინდია
ლოთობის და ბოზობისო!
თუ ვღიღინებ, მაშინ ჩემი
მოფილოსოფოსო ფისო
კნავის, თითქო უნდა „ბისზე“
გამომიხმოს: „ბის“ და „ბისო!“

ამინდია მართლაც კარგი,
უფრო სწორად — მართლა ცუდი,
საჭიროა პალტო, კაშნე,
წინდა, ბათინკა და ქუდი....

ფეხსაც ვერ გავადგამ გარეთ,
მთლად მსოფლიო დამაფიცო!
თავს მიქნევს და თანამიგრძნობს
ნებიერი დამა — ფისო!

რომ ჰგონიათ, არც ისეთი
უეშმაკო და უბიწო —
დუმს კერასთან ბრძნულად ჩემი
მოფილოსოფოსო ფისო...

ზოგმა შეიძლება, ტარიელ ჭანტურიას ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ ჩაიცინოს კიდეც: „განა შეიძლება კი ამ სტილისტიკაში შექმნილი პოეზიის ასეთი ფილოსოფიური სერიოზულობით განხილვაო“ — და ჩემი წერილი არარელევანტურ ტექსტად გამოაცხადოს.

სწორედ ამ „ზოგის“ გასაგონად მინდა ვთქვა, რომ, რამდენად გასაკვირიც უნდა იყოს, ისეთ ნიჰილისტურ და „ინფანტილურ“ სახელოვნებო მიმდინარეობებს, როგორებიცაა: ფუტურიზმი, დადაიზმი, აბსურდის თეატრი — შეიძლება უფრო ღრმა იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი საფუძვლებიც კი აქვს, ვიდრე, მაგალითად, რომანტიზმის ესთეტიკას. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ მათი ხედვის რაკურსი კლასიკურ დისკურსთან მიმართებით გაცილებით რადიკალურია და, ამავე დროს, წინაპირობად უძღვის გადაწყვეტილება, რომელიც ავტორმა უნდა მიიღოს იმის შესახებ, თუ ზოგადად სამყაროს ხედვის რომელ კონცეფციას იზიარებს.

განა, შეიძლება, გამოვაცხადოთ, მაგალითად, ანრი მიშოსა და ველიმირ ხლებნიკოვის შემოქმედების გარკვეული ნაწილი კიჩად და ვამტკიცოთ, რომ ამ სახის მათ პოეზიას თავისი თეორიული და ფილოსოფიური საფუძვლები არ გააჩნია?

მითუმეტეს ვერ დავწამებთ ტარიელ ჭანტურიას, რომ ქართული პოეზიისთვის მეტად სპეციფიკურ და ნოვატორულ მის ლიტერატურულ ხაზს არ შეიძლება, ჰქონდეს ძალზე ფუნდამენტური ინტელექტუალური საფუძვლები, რადგან ირონიულ-პაროდიულ ესთეტიკას ჩვენს სინამდვილეში სწორედ მან ჩაუყარა სისტემური საფუძველი; თანაც ისეთი მხატვრული კონიუნქტურის პირობებში, როდესაც მისი ეს გადაწყვეტილება შეუძლებელია, არ ყოფილიყო უკიდურესად რადიკალური და არასპონტანური. შესაბამისად, მის ამ არჩევანს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი და რთული თეორიული ბაზისი აქვს. ამიტომ სწორედ ტარიელ ჭანტურიაა თავისი თავის მოსწავლეცა და მასწავლებელიც.

სხვა მხრივ კი, როგორც ჟაკ დერიდა, რომელიც იგივეა ფილოსოფიაში, რაც ტარიელ ჭანტურია პოეზიაში — იტყოდა: „აზროვნების ამ ტიპისთვის ერთადერთი საფრთხე არსებობს — ის არ დამართონ ჩემს ტექსტებს, რაც მე დავმართე სხვებისას“.

თუმცა, ტარიელ ჭანტურიას შემოქმედების დეკონსტრუქციის მსურველთ იმედები უნდა გავუცრუო: ამ შემთხვევაშიც თავად ავტორი დარჩება მოგებული, რადგან მოახერხებს და დაგიმოწაფებთ — თქვენ კი მისივე ხერხებით მოგიწევთ მასთან უშედეგო ბრძოლა!

ლიტერატურული საზღვრები და არა მხოლოდ

* * *

ოქტომბრის ბოლოს საქართველოს მწერალთა სახლში გაიმართა შეხვედრა ლევან ბრეგაძესთან. შეხვედრის ორგანიზატორი გახლდათ გამომცემლობა „არტანუჯი“, რომელმაც სხვადასხვა დროს გამოსცა ლიტერატორის, კრიტიკოსისა და მთარგმნელის „ლიტერატურული გამოძიებანი“, „ყოფითი რწმენა-წარმოდგენები“, „მოგზაურობა კაუკაზიშე პოსტის ფურცლებზე“, „მოგზაურობა ლე კოკაზ ილიუსტრეს ფურცლებზე“. ეს გამოცემები მწერალთა სახლში გამართულ საღამოზეც იყო წარმოდგენილი და მათ გარშემო საინტერესო საუბრები შედგა. შეხვედრას თავისებურად გამოეხმაურა ელექტონული საიტი saba.com.ge და დაინტერესებულ მკითხველს ერთკვირიანი ორმოცდაათპროცენტიანი ფასდაკლება შესთავაზა ლევან ბრეგაძის ყველა ნაშრომზე.

მკითხველთან შეხვედრისას ბატონმა ლევანმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ბოლო ორ გამოცემას, რომლებიც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე თბილისში გერმანულ და ფრანგულ ენებზე გამომავალ ჟურნალებს „კაუკაზიშე პოსტსა“ და „ლე კოკაზ ილიუსტრეს“ ეძღვნება. ავტორმა პერიოდიკაზე მუშაობისა და მათი ფურცლებიდან გაცოცხლებულ თბილისზე, „მოგზაურობის“ შთაბეჭდილებებზე გვიამბო. მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომის „მოგზაურობა ლე კოკაზ ილიუსტრეს ფურცლებზე“ რედაქტორმა მაია ცერცვაძემ, რომელიც შეხვედრის მოდერატორიც გახლდათ, დამსწრე საზოგადოებას გაანდო, რომ შესაძლებელია, გარკვეული ხნის შემდეგ „მოგზაურობა“ გასული საუკუნის დასწყისში გამომავალი ინგლისურენოვანი პერიოდიკის ფურცლებზეც გაგრძელდეს. ბატონმა ლევანმა ბრძანა, თბილისი იმ მხრივაც არის უნიკალური, რომ არ მეგულება სხვა ქალაქი, სადაც პერიოდული გამოცემები ამდენ ენაზე გამოდიოდაო. მართლაც დიდი იყო არჩევანი ევროპული ჟურნალ-გაზეთებისა XIX საუკუნეში. იბეჭდებოდა რედაქტორ-გამომცემლის, ჟიულ მორიეს მიერ დაარსებული ორი ფრანგული ჟურნალი, ერთი რუსულ ენაზე, მეორე — ფრანგულად, 1906 წლიდან არტურ ლაისტმა ჩაუყარა საფუძველი გერმანულ გაზეთს, „კაუკაზიშე პოსტს“, რომელიც გერმანელი კოლონისტებისთვის გამოიცემოდა, ლაისტი 3 წელი რედაქტორობდა გამოცემას. დამოუკიდებლობის წლებში კი დაარსდა ინგლისურენოვანი ჟურნალები, რომელსაც ქართველები გამოსცემდნენ.

ბატონი ლევანი „კაუკაზიშე პოსტის“ ფურცვლასა და შესწავლა-დამუშავებას, პროფესორ ნოდარ ტაბიძის რჩევით, სტუდენტობის წლებიდან შეუდგა, ჯერ სადიპლომო ნაშრომი დაწერა, შემდეგ სამეცნიერო ხარისხი დაიცვა, მოგვიანებით წიგნიც გამოსცა და თვალსაჩინო გახადა ის სოციალური, კულტურული თუ ეკონომიკური ხიდები საქართველოსა და უცხოურ სახელმწიფოებს შორის, ალბათ უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, ქართველ და უცხოელ მოქალაქეებს შორის, გასულ საუკუნეებში რომ გაიღო. ლევან ბრეგაძე დღემდე იკვლევს, აქვეყნებს, გვიყვება და მკითხველიც მასთან ერთად მოგზაურობს გერმანული და ფრანგული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, ეცნობა იმდროინდელ თბილისს, რომელზეც ისევე უჭრელდება თვალი, როგორც, მაგალითად, ოსეთის დედაქალაქ ვლადიკავკაზის რუსი პედაგოგის მიერ გერმანულ ენაზე ჩაწერილი, ავსტრიელი მწერლისგან ფრანგულად თარგმნილი, ფრანგი რედაქტორ-გამომცემლის მიერ „ლე კოკაზ ილიუსტრეში“ გამოქვეყნებული, თბილისელი სომხის სტამბაში დაბეჭდილი და რუსი ცენზორისგან დადასტურებული ერთი ჩეჩნური თქმულების გამოქვეყნების ისტორიის გაცნობისას.

* * *

მწერალთა სახლში შეკრებილმა უამრავმა ადამიანმა კიდევ ერთხელ გაიხსენა ცნობილი ადამიანი — არქეოლოგი, ეთნოგრაფი, ანთროპოლოგი, მთამსვლელი, უბადლო მთხრობელი ზალიკო ქიქოძე. მასთან ერთად გაიხსენა მისი საქართველოც. საგანგებოდ დამონტაჟებულ ეკრანზე მთაში, ექსპედიციებში, შინ თუ გარეთ სხვადასხვა დროს გადაღებული ფოტოები ჩნდებოდა. ოჯახის წევრები, მეგობრები, კოლეგები, ახლობლები, ნათესავები მასთან დაკავშირებულ ამბებს ყვებოდნენ, პირველი შეხვედრის შთაბეჭდილებებს გვიზიარებდნენ, ცდილობდნენ, გადმოეცათ, როგორი სისავსე შესძინა მათ ცხოვრებას ამ ადამიანმა. თითქმის მთელი ბიოგრაფია მოვისმინეთ. გამომსვლელები განსაკუთრებული დამოკიდებულებით იხსენებდნენ სწორედ დეტალებს, პატარა-პატარა ამბებს ბატონ ზალიკოსთან ურთიერთობისა. ეს მოგონებები თითქოს კინოფირივით უკან აბრუნებდა დროს და მოქმედების ადგილებს — აი, ილტოში მზეზე იშუშებს ზურგს, ცხენიდან გადმოვარდნისას რომ აიტყავა; აი, თბილისის აეროპორტში ეგვიპტიდან ჩამოტანილ და საგანგებოდ ამ შემთხვევისთვის „სკივრიდან ამოღებულ“ შესამოსელში დგას, თავიც მუსულმანურად აქვს დაბურული და ამერიკელ სტუმარს ხვდება, ერაყში კი ომი ახალი დაწყებულია... ზალიკო ქიქოძეზე, სამყაროსთვის, ადამიანებისთვის, შემეცნებისთვის სრულიად გახსნილ ადამიანზე დაუსრულებლად შეიძლებოდა საუბარი. თუმცა რაც ითქვა, ისიც საკმარისი იყო, რათა პატარ-პატარა გამოსვლებით მოზაიკასავით შეკრულიყო ზალიკო ქიქოძის ფენომენის ერთიანი სურათი. შემდეგ ჩაირთო აუდიოფირი და ბატონი ზალიკოს ძალზე საგულისხმო საუბარი მოვისმინეთ: „ჩემი უსაყვარლესი თემაა საზღვრები და ძალიან მიყვარს, პირადად, საზღვრის დარღვევა. საზღვრის დარღვევა არის ჩემი ჰობი... არა — მაინცდამაინც პოლიტიკური. და უნდა გითხრათ, რომ ორი საკითხია: პირველი, რომ, და ეს გარკვეულწილად სამშობლოსაც ესადაგება, საზღვარი არის ძალიან წარმოსახვითი რამ. არსებობს პოლიტიკური საზღვარი და არსებობს ეთნიკური. ეთნიკური საზღვრები, ჩვეულებრივ, რუკაზე არ დადის. მართალია, კაცობრიობის წარსულზე ძალიან ბევრი რამ ვიცი, და უნდა გითხრათ, რომ თუ ეს წარსული კარგად იცი, გექნება ათი ათასი, ასი ათასი მიზეზი იმისა რომ კაცობრიობა გეზიზღებოდეს, და ამავე დროს — ძალიან ბევრი მიზეზი, რომ ადამიანი გიყვარდეს. და ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მე ადამიანი მიყვარს და ამ ქვეყანაზე ვცხოვრობ, სწორედ ისაა, რომ ადამიანს შეუძლია საზღვრების დარღვევა, გნებავთ — ეთნიკური, გნებავთ — რეალური საზღვრებისა. რა არღვევს ეთნიკურ საზღვარს? არღვევს სიყვარული. ქალს უყვარდება კაცი საზღვრის იქით... ქორწინდებიან და საზღვრები ირღვევა. როგორი გამაგრებულიც უნდა იყოს საზღვარი, ის მაინც დაირღვევა, ყველაზე კარგად ამას კრიმინალები, ნარკოდილერები ახერხებენ. და მე სულ მაინტერესებს, რომ თუკი მათ ასე კარგად გამოსდით, ნუთუ, კეთილი ნების ხალხს არ შეუძლია ამ საზღვრების დარღვევა?“



* * *

„ახალი საუნჯე“ სულ ექვსი თვეა, გამოდის. მეექვსე ნომრის დაბეჭდვასთან დაკავშირებით მწერალთა სახლში გაიმართა ჟურნალის პრეზენტაცია — არა ერთი კონკრეტული ნომრისა, არამედ ზოგადად, ჟურნალის ერთიანი სახის, ძირითადი მიმართულებების, ამოცანების. როგორც გამოცემის რედაქტორმა შოთა იათაშვილმა განაცხადა: ახალი ჟურნალია, ექვსი წლის არის, შეიძლება ითქვას, სკოლაში უნდა შევიყვანოთ და მისი ბავშვობის ისტორია იქნებ საინტერესოც იყოსო. გვიამბო „ახალი საუნჯის“ შექმნის ამბავი — გამომცემლობა „საუნჯის“ დირექტორის, ვაჟა წოწკოლაურის იდეა რომ იყო, მის განხორციელებას რომ შეუდგნენ, მაგრამ ფინანსურმა პრობლემებმა რომ შეუშალა ხელი, მკითხველს ნომრის შეძენა რომ უჭირდა, არადა, ჟურნალზე დაწესებული ფასი, 5 ლარი აუცილებელი რომ იყო გამოცემის არსებობისთვის, ამ დროს, იღბალზე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში რომ მიიღეს მონაწილეობა, დაფინანსება მოიპოვეს, ჟურნალის ფასმაც რომ დაიკლო და უკვე მეექვსე თვეა, „ახალი საუნჯე“ სტაბილურად, შეუფერხებლად რომ გამოდის. ისტორია მოკლედ მოგახსენეთ, რადგან ახლო მომავალში, „ლიტერატურული გაზეთი“ ჟურნალის რედაქტორთან, შოთა იათაშვილთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ.

ვინც შოთა იათაშვილს, როგორც რედაქტორს იცნობს, იცის, რომ სხვადასხვა ტიპის მრავალი ჟურნალი გამოუცია. „ახალ საუნჯეზე“ საუბრისას ბატონმა შოთამ აღნიშნა, შევეცადე, ჟურნალი ძველის გამეორება არ ყოფილიყო, არც იმ

გამოცემებს დამსგავსებოდა, რომელიც უკვე გამოდის, მინდოდა, რაღაც ახალი სახე ჰქონოდა, ახალი ლიტერატურული ნიშა ყოფილიყოო. მთავარი, რაც ჟურნალს მართლაც გამოარჩევს, არის ქართველი და უცხოელი ავტორების პორტრეტები, ერთგვარი ლიტერატურული კოლაჟი, რომელსაც მხატვრული ტექსტები, პროფაილი, კრიტიკული წერილებიდან ამონარიდები ქმნის. სრულად გექმნება შთაბეჭდილება ავტორზე. გამოცემაზე მომუშავე სარედაქციო ჯგუფის დიდი სურვილი იყო, ქართულ ლიტერატურულ სივრცეში შემოეყვანათ ავტორები — როგორც სრულიად თანამედროვე, ასევე კლასიკოსი მწერლები, მათ შორის ნობელიანტებიც კი — რომელთა შემოქმედებას ქართულენოვანი მკითხველი თითქმის არ იცნობს.

„ახალ საუნჯეს“ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სახელით გამოსვლა მიულოცა თეონა დოლენჯაშვილმა, უსურვა განვითარება, გაფართოვება. ლიტერატურული პრემიაც თუ იარსებებს ჟურნალის ბაზაზე, ქართველი ავტორებისთვის დიდი სტიმული იქნებაო, დასძინა და გამოთქვა მზადყოფნა, რომ, როგორც სამინისტროს წარმომადგენელი, მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ახალი იდეებისა და ინიციატივების განხორციელებას.

P.S. „საზღვრები“ უცნაურად იქცა ამ მიმოხილვის, მწერალთა სახლში შემდგარი სამი ღონისძიების უხილავ სარჩულად — ლევან ბრეგაძის მოგზაურობა წარსულში და დროის საზღვრების გადაკვეთა, თავის მხრივ, ძველ თბილისში მცხოვრებ ფრანგ, გერმანელ, ქართველ, სომეხ, თათარ, ოს, ავსტრიელ მოქალაქეთაგან ეთნიკური საზღვრების დარღვევა, ზალიკო ქიქოძე საზღვრებს გარეშე და ჟურნალ „ახალი საუნჯისა“ და შოთა იათაშვილის მცდელობანი არცოდნის საზღვრების გახსნისა და ბევრისთვის უცნობი, ქართულად აქამდე უთარგმნელი დიდი ლიტერატურის და მისი ავტორების შემოყვანისა ქართულენოვან სამყაროში.

მოამზადა თამარ ჟურულმა







17 ოქტომბერს მწერალთა სახლში გაიმართა დათო ქარდავას „მტკვარი და მისი ორი ნაპირი“-ს პრეზენტაცია. ამთავითვე ვიტყვი, რომ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის ეს პროექტი, ჩემი აზრით, დიდად წარმატებულად უნდა ჩაითვალოს: ეს გახლავთ უთუოდ ღირსშესანიშნავი გამოცემა — შესანიშნავია ტექსტიც, დიზაინიც და პოლიგრაფიაც; ამასთან, ეს სამივე კომპონენტი ჰარმონიულად შეერწყმის ერთმანეთს.

ნუგზარ ზაზანაშვილი

წიგნი, რომელიც დარჩება

ტექსტით დავიწყოთ. მკითხველი იცნობს მწერლისა და ჟურნალისტის დათო ქარდავას (ჯიმშერ რეხვიაშვილს) „ბლოგური ტიპის“ ტექსტებს, მშვენიერ მოთხრობებსა და სრულიად ორიგინალურ „ტუალეტში საკითხავს“ — პოსტმოდერნისტულ ოპუსს, რომელიც „საბა 2012"-ის ნომინანტია (ნომინაცია: ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა; ეს დათო ქარდავას მეორე ნომინაციაა; უფრო ადრე — საუკეთესო დებიუტისთვის — ნომინირებული იყო მისი მოთხრობების კრებული „ნოეს მტრედები“). თუმცა, „ტუალეტში საკითხავის“ ჟანრის ზუსტი განსაზღვრა რთულია: ერთის თქმა კი შეიძლება — ეს უთუოდ არ არის დოკუმენტური პროზა. ამჯერად კი დათო ქარდავამ თავისი სამწერლო ნიჭის კიდევ ერთი წახნაგი გამოავლინა სწორედ დოკუმენტური პროზის ჟანრში, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ავტორი ორიგინალურ, ახლებურ ნაწარმოებს გვთავაზობს. ჩვენში დოკუმენტური პროზა, ძირითადად, მოიცავს ადამიანების, პიროვნებების, ისტორიული პერსონაჟების ბიოგრაფიებისა თუ თავგადასავლებისადმი მიძღვნილ, ასევე, მემუარულ ტექსტებს. ამ ახალი ნაწარმოების გმირი კი „უსულო საგანია“, მტკვარია, უფრო ზუსტად კი მტკვრის 35-კილომეტრიანი მონაკვეთია: ავჭალიდან ორთაჭალამდე.

წიგნი მოგვითხრობს მდინარეზე, რომელმაც შვა ქალაქი და რომელიც შემდგომ გადაეჯაჭვა, შეენივთა მას, მათ ერთობლივ ბიოგრაფიაზე, მათ თავგადასავალზე, დრამაზე — „დაბადებიდან“ (ასეთია პირველი თავის სათაური) მტკვრის „დაკარგვამდე“ („დაკარგული მდინარის ძიებაში“ — ასე ჰქვია ბოლო, მე-15 თავს)... და უპირველესი აღსანიშნავი, ალბათ, ისაა, რომ ტექსტი ემოციურია — ის, თავიდან ბოლომდე, „მთავარი გმირისადმი“ გულწრფელი, შეუნიღბავი სიყვარულითა და თანაგრძნობითაა განმსჭვალული. დათო ქარდავასათვის მტკვარი, ძველი წისქვილები, ბორნები, ტივები, ხიდები უსულო საგნები არ არიან, რაც ტექსტში უშუალოდ მჟღავნდება კიდეც: „ტივის გარდა, მტკვარში „ბინადრობდა“ კიდევ ერთი საოცარი „არსება“ მცურავი წისქვილის სახით.“ — წერს ავტორი; აქვე უნდა აღვნიშნოთ თხრობის სტილის სისადავეც, რაც ზედმიწევნით შეეფერება „მოსათხრობი“ ობიექტების „არსს“; ხოლო სისადავისა და ემოციურობის ასეთი შერწყმა თხრობას ძალდაუტანებელს, არა მოსაწყენს, მიმზიდველს ხდის (და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დოკუმენტური პროზისათვის): დათო ქარდავა შესანიშნავი მთხრობელია. ამასთან, წიგნში „მიმოფანტულია“ შთამბეჭდავი ბელეტრისტული „ჩანართებიც“, მაგალითად: „... ხიდს ... აქვს ერთგვარი არამატერიალური — მისტიკური დატვირთვაც. ხიდი ის ადგილია, სადაც მარცხენა მარჯვენას უკავშირდება, სადაც აღმოსავლეთი დასავლეთს ხვდება. ხიდზე დგომისას ადამიანს საოცარი გრძნობა ეუფლება: ერთდროულად განიცდის ყველა ძირითადი სტიქიის — ჰაერის, მიწის, წყლისა და ცეცხლოვანი მზის სიახლოვეს.“; ან ასეთი მშვენიერი პასაჟი წავიკითხოთ: „ტფილისელ მეთევზეებზე საუბრისას ძნელია ფიროსმანისათვის გვერდის აქცევა. ალბათ, ხატვისას ფიროსმანსაც სცემდა თევზისა და მდინარის სუნი, რომელიც ნადავლით ხელდამშვენებულ წითელპერანგა მებადურს ასდიოდა. პოზირებისას ჯერ კიდევ წყალში მდგომი მებადური ალბათ ცოტა ხნის წინ მთვარის შუქით აელვარებულ მდინარეს მიუყვებოდა ნავით და სწრაფად აკეცილ ბადეს მარჯვედ აფენდა მტკვრის მოვერცხლილ ტალღებს.“



კიდევ ერთი, რასაც ხაზი უნდა გაესვას, ეს არის უზარმაზარი შრომა, რაც ავტორს წიგნზე მუშაობისას გაუწევია: მრავალი საგაზეთო და სამეცნიერო პუბლიკაციის გარდა, ავტორს გამოყენებული აქვს მწერლების, მხატვრების, მეცნიერთა, მოგზაურთა, საზოგადო მოღვაწეთა მოგონებები, მხატვრული ნაწარმოებები, ცნობები; აი, ამ მოღვაწეთა არასრული სია: ვახუშტი ბატონიშვილი, იოანე ბატონიშვილი, დავით გურამიშვილი, მე-10 საუკუნის არაბი გეოგრაფი იბნ-ჰაუქელი, მე-10 საუკუნის სომეხი ისტორიკოსი თომა არწუნი, მე-13 საუკუნის არაბი გეოგრაფი ალ ყაზვინი, მე-17 საუკუნის მოგზაური ევლია ჩელები, ჟან შარდენი, არტურ ლაისტი, მე-18 საუკუნის სპარსი პოეტი საფი ხალხალი, მე-19 საუკუნის გერმანელი მეცნიერი და მოგზაური ავგუსტ ჰაქსტჰაუზენი, ალექსანდრ დიუმა, ალექსანდრ პუშკინი, ფიროსმანის თანამედროვე მხატვარი კარაპეტ გრიგორიანცი, ოვანეს თუმანიანი, გაბრიელ სუნდუკიანცი, გრიგოლ ორბელიანი, ტიციან ტაბიძე, ილო მოსაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, ტარიელ ჭანტურია, საიათნოვა, ოთარ ჭილაძე და სხვა. ისიც უნდა ითქვას, რომ პოეტური ეპიგრაფების გარდა ტექსტში მრავალი ლექსი თუ ლექსის ფრაგმენტიც არის ციტირებული. ბევრი მათგანი არ გამოირჩევა მხატვრული ღირებულებით — ეს, უპირატესად, საბჭოთა დროის კონიუნქტურული, სოცრეალისტური ნაწარმოებებია: თუკი ასეთებს ამოვკრებთ, მცირე ანთოლოგიის შედგენაც კი შეიძლება, ასეთი სათაურით: „საბჭოთა პოეტები — თბილისის შენებას!“ ამის მიუხედავად, ესეც ტექსტის მეტად ნიშნეული შრეა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ ტექსტი საინტერესოა — აქ ათასგვარ ამბავს ამოიკითხავ, რაც მტკვარს და თბილისს თავს გადახდათ; მაგალითად: თუ რატომ მიიჩნევდნენ მტკვარს „ქართველთა იორდანედ“, ან რატომ არის „სისხლისაგან გაწითლებული მტკვარი ქართველი მწერლებისა და ისტორიკოსების საყვარელი მეტაფორა“; რა იყო ვორონცოვის ხიდის აშენების ნამდვილი მიზეზი მე-19 საუკუნის შუა წლებში; ვის დაუდგეს თბილისში პირველი, ასევე, მეორე და მესამე ძეგლები; რატომ შემოიღო მეწარმე მნაცაკანოვმა ფულის დათვლის ახალი ერთეული — „ერთი ხიდი“; რამდენ თევზს მიირთმევდნენ ძველ თბილისში, როგორი იყო ასორტიმენტი, ფასები და როგორ მზადდებოდა ყველაზე ორიგინალური კერძი — „ორაგულის შიგანურები“; რა იყო II მსოფლიო ომის შემდეგ თბილისში ჩამოყვანილი იაპონელი ტყვეების საყვარელი კერძი; რა არის „ჭოჭონაქი“ და როგორ იყო მოწყობილი ბორანი მტკვარზე; როგორ „გამოიყურებოდა“ ორთაჭალის კუნძული და რა კავშირი ჰქონდა მასთან ფიროსმანს; როგორ წუხდნენ თბილისელები მჭიდრო განსახლების და „მწვანე ზონის“ დაკარგვის გამო ჯერ კიდევ 1878 წელს; ვის ეძახდნენ მადათოვის კუნძულზე „თოფიკას მამზელებს“; რატომ დალია კნუტ ჰამსუნმა მტკვრის წყალი; ასევე, მკითხველი გაეცნობა როსტომ მეფის დიდებული და მშვენიერი სასახლის, მტკვრის პირას მდგარი შიიტური მეჩეთის, თბილისის „გამქრალი“ ხიდების მოკლე ისტორიებს და მრავალ სხვა რამ საინტერესოსა და საგულისხმოს.

ზემოთ დრამატულობა ვახსენეთ: დრამატული მუხტი ბოლო თავებისაკენ თანდათან მატულობს. მე-10 თავი („ცხოვრება მტკვარზე“) პირდაპირი მინიშნებით იწყება: „მე-20 საუკუნის მეორე ნახევრამდე (...) ქალაქი თავისი მშვენიერი სახით მდინარისაკენ იყო მიბრუნებული. (...) არც ისაა შემთხვევითი, რომ ქალაქის მნიშვნელოვანი ნაგებობები (როგორც საკულტო, ისე საერო) მტკვრის პირას შენდებოდა.“ მე-13 თავში — „გრანიტის აკვანში“ — ვკითხულობთ: „მტკვრის ორივე სანაპიროს მთავარ კვანძებზე ქარვასლების, ხიდებისა და ძველი ქუჩების აღებით, თბილისი მნიშვნელოვნად განიძარცვა ისტორიული შემადგენლისაგან, თუმცა საბჭოთა პროპაგანდა ამ გარემოებას პროგრესულ ნაბიჯად წარმოაჩენდა.“ ამასთან: დაინგრა და განადგურდა ისტორიული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლებიც... (ნ.ზ.: ნიცშე გამახსენდა: „ყველაფერი კარგი მემკვიდრეობითია. ის, რაც მემკვიდრეობით არ მიგვიღია — არასრულყოფილია, ის მხოლოდ „წამოწყებაა“). ქალაქმა თავის მშობელ მდინარეს ზურგი შეაქცია: გამჭოლი „სატრანსპორტო სანაპიროების“ აგებით თბილისელებს მოეჭრათ მისასვლელი მდინარემდე. სულ ბოლო თავებში უკვე „დრამატული ფორტე“ გაისმის: „ცხადზე ცხადია, რომ მტკვრის წყალი (როგორც ლადო ასათიანი იტყოდა, „მტკვარი მღვრიე და მტკვარი ანკარა“) უფრო მეტია, ვიდრე ქიმიური ნივთიერება ფორმულით H_2O. სხვა შინა-



არსი და სხვა მაგია აქვს ამ მღვრიე წყალს (...)“ „მტკვარი გამქრალია თბილისის ყოველდღიურობიდან! გადამალულია თბილისელთათვის! მას ვერ ხედავენ და მისი არ ესმით! მტკვარი გადარჩენას ითხოვს! ერთხელ ედგარ პოს უთქვამს, პოეზია იმიტომ არის შესაძლებელი, რომ სიზმარი არსებობსო. მსგავსი მიმართება აქვთ თბილისსა და მტკვარსაც. თბილისი იმიტომ არის შესაძლებელი, რომ მტკვარი არსებობს.“

შესანიშნავია ამ ალბომის ტიპის გამოცემის დიზაინერების გოგა ქართველიშვილის, ნათია კვარაცხელიას და თამუნა თათელაძის მაღალ გემოვნებიანი ნამუშევარი: ყდის დიზაინით დაწყებული ქაღალდის შეფერილობის შერჩევით დამთავრებული. ცალკე აღსანიშნავია ილუსტრირება: იშვიათად მინახავს ასე გემოვნებიანად, უხვად და შინაარსობრივად ზუსტად ილუსტრირებული გამოცემა — წიგნი თბილისის წარსულის ამსახველ 200-მდე ფოტოს (მათ შორის, სრულიად უნიკალურ ფოტოებს) შეიცავს, რომლებიც გოგა ქართველიშვილის პირადი კოლექციიდანაა აღებული. გარდა ამისა, აქ ვხვდებით თბილისის ძველ გეგმებსა თუ რუკებს, ინდივიდების ფოტოებს და სხვ.: და ეს პარალელური ფოტოდოკუმენტური თხრობაა, რაც კიდევ უფრო აძლიერებს შთაბეჭდილებას, ორ როიალზე შესრულებული მუსიკალური ნაწარმოების ეფექტს ქმნის. აღსანიშნავია რედაქტორის, რუსუდან გორგაძის წვლილიც: წიგნის პრეზენტაციისას დათო ქარდავამ ცალკე ისაუბრა ამაზე.

ბოლოს ერთსაც ვიტყვი: მე თბილისელი ვარ; ჩემი წინაპრებიც, სადამდეც თვალი შემიძლია მივადევნო მათ, თბილისელები იყვნენ. დავიბადე და გავიზარდე მტკვრის პირას, „ვარანცოვზე“. ჩემს ბავშვობაში სატრანსპორტო მოძრაობა ასე გაცხოველებული არ იყო და ზოგიერთები ჯერ კიდევ ბანაობდნენ მტკვარში. ბავშვები ყოველდღე ვთამაშობდით ან მარჯვენა („ალექსანდროვის“ და დღევანდელი „დედა ენის“ პარკებში) ან მარცხენა სანაპიროზე. მტკვარი და სანაპირო ბავშვობიდან მიყვარდა. ძველ თბილისზეც ბევრი მაქვს წაკითხული და გაგონილი უფროსი თაობის თბილისელებისაგან, მაგრამ მხოლოდ ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ვიგრძენი და სრულად გავიცნობიერე, თუ რას წარმოადგენს მტკვარი დედაქალაქისთვის, რამხელა ზემოქმედება ჰქონდა და ნაწილობრივ ისევ აქვს მტკვარს თბილისელების (და არა მხოლოდ თბილისელების) სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებასა თუ „კონსტიტუციაზე“...

ასე დავასრულებდი ამ მოკლე წერილს: ჩემი შეხედულებით, „მტკვარი და მისი ორი ნაპირი“ გახლავთ უკანასკნელ ათწლეულებში ჩვენში განხორციელებული ერთ-ერთი გამორჩეული გამოცემა — ეს არის წიგნი, რომელიც დარჩება.



სოფიო წულაია

„ქალაქი თოვლში“ — ბექა ქურხულის ნარატიული ესთეტიკა

ბექა ქურხულის მეექვსე პროზაული კრებული „ქალაქი თოვლში“, როგორც თემატიკით, ისე სტილითა და ფორმით ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ ხუთ მოთხრობას აერთიანებს. ამათგან ორი — „მკვლელი“ და „მუსაქალა“ — თხრობის მანერით, ნარატიული სისტემითა და ესთეტიკით იმდენად განსხვავდება წინა ხუთ კრებულში შესული პროზაული ჩანახატებისგან, მოთხრობებისა და მინიატურებისგან, რომ ძნელი წარმოსადგენიც კია, ერთსა და იმავე ავტორს თუ ეკუთვნის. რაც შეეხება დანარჩენ სამ მოთხრობას (იგულისხმება „ქალაქი თოვლში“, „სიზმრად ვნახე“ და „საღამო“): მართალია, ერთი შეხედვით, განსაკუთრებული მსგავსება არც აქ შეინიშნება წინა წლებში დაწერილ იმპრესიონისტული ფრაგმენტულობითა და შინაგანი ექსპრესიულობით გამორჩეულ პროზაულ ნაწარმოებებთან, მაგრამ გარკვეული გადაძახილი მაინც იკითხება თემატიკის, სტილის, თუ ენობრივი თავისებურების თვალსაზრისით. ამდენად, ვინც კარგად იცნობს ბექა ქურხულის შემოქმედებასა და მისი სტილის ძირითად მახასიათებლებსა თუ თავისებურებებს, ძველ კრებულებთან პარალელებისა და ბუნდოვანი, მაგრამ მაინც ძალიან ნიშანდობლივი და სახასიათო ალუზიების აღმოჩენაც არ გაუჭირდება. მაგალითისთვის, ერთმანეთს რომ შევადაროთ მის მეორე კრებულში შესული პატარა მოთხრობა „ხათუნა“ და „ქალაქი თოვლში“, მთელი რიგი განსხვავებების მიუხედავად, ამ ორ ნაწარმოებს შორის გარკვეული ასოციაციური კავშირი არსებობს და არა მარტო იმიტომ, რომ ორივე მოთხრობის მთავარი პერსონაჟი ქალია, მოქმედების ფოკუსში კი სასიყვარულო ისტორიაა მოქცეული. მსგავსება უფრო შინაგანია, ვიდრე გარეგნული და ესთეტიკას, თხრობის მანერასა თუ რეალობის რეპრეზენტირების ავტორისეულ ხერხებში მდგომარეობს, რომელიც ანალოგიური ტიპის განწყობასა და ემოციას იწვევს მკითხველში. აღსანიშნავია ისიც, რომ მოთხრობების ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირი თავად მწერალია, ამიტომაცაა პერსონაჟად ტრანსფორმირებული ავტორის თითოეული თვისება ბუნებრივი და დამაჯერებელი, ხასიათის შტრიხები — კარგად დამუშავებული და არა ხელოვნური. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ მოთხრობები, რომელთა მთავარ პერსონაჟადაც მათივე ავტორი გვევლინება, ერთმანეთს გარკვეული ლოგიკით უკავშირდებიან და, საერთო ჯამში, ერთ მთლიანობად აღიქმებიან.

ანალოგიური შინაგანი კავშირი არსებობს მეხუთე კრებულში შესულ ერთ-ერთ მოთხრობა „საღამოსა“ და ადრეულ წლებში დაწერილ რამდენიმე ისეთ ნაწარმოებს შორის, რომელთა მთავარი პერსონაჟი სიცოცხლისთვის ძალიან სახიფათო თავგადასავლებში გახვეული ახალგაზრდა ბიჭია („გავბრუნდები და სხვა მხარეს წავალ“...) ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ „საღამო“ დამოუკიდებელი ლიტერატურული ტექსტია, ავტორის მთელ შემოქმედებასთან მიმართებაში ბევრად საინტერესოდ აღიქმება და ერთი ვრცელი ამბის მეტად საინტერესო გაგრძელებას წარმოადგენს, რომელიც აწმყოს გადასახედიდან წარსულზე დაწერილი ტექსტი რომ იყოს, ერთმანეთისგან განსხვავებულ დროსა და სივრცეს რომ არ აერთიანებდეს, ნაკლებად მნიშვნელოვანი და ღირებული იქნებოდა, კონკრეტულ შემთხვევაში კი კარგად ჩანს, როგორ იქცევა პერსონაჟი (ავტორი) თავგადასავლების მაძიებელი, მაქსიმალისტი, წერას ატანილი ახალგაზრდიდან ზრდასრულ, გამოცდილ, მძიმეცხოვრებაგამოვლილ, უახლოესი მეგობრების დაკარგვის გამო ტრავმირებულ ადამიანად, მომდევნო თაობის თვალში ჯერ კიდევ რომ არ დაუკარგავს მომხიბვლელობა და რომელიც გარდასულ წლებზე, ადრეულ წლებში დაწერილ მოთხრობებში აღწერილ თავგადასავლებზე, ნოსტალგიით, ტკივილითა და სიყვარულით წერს.

მოთხრობა „სიზმრად ვნახე“-ც პერსონაჟის თვითრეფლექსიას, განცდათა სიმძაფრესა და შინაგან წინააღმდეგობრივ ბუნებაზეა აგებული, რაც ასევე, ავტორის შემოქმედების ძირითადი თავისებურებაა. ბრმა ადამიანის შინაგანი ტრაგიკული განწყობა ხშირ შემთხვევაში ავტორის იმ განწყობის იდენტურია, რომლითაც ასე გამოირჩევა შედარებით ადრეულ კრებულებში შესული მოთხრობები, განსაკუთრებით კი „ნოემბრის ჩანაწერები“.

ის ორი მოთხრობა კი, რომლებზეც დასაწყისში ვისაუბრეთ („მკვლელი“ და „მუსაქალა“) თამამად შეიძლება, ახალ ხმად აღვიქვათ ბექა ქურხულის შემოქმედებაში. ორივე ვრცელი პროზაული ნაწარმოები სრულიად ახლებურ, მკვეთრად განსხვავებულ ტონალობას სძენს მწერლის პროზას. პირველი განმასხვავებელი ნიშანი თხრობის ლინეალურობაა — საქმე გვაქვს ვრცელ მოთხრობებთან სიტყვის კლასიკური გაგებით და არა ფრაგმენტულობით გამორჩეულ მინიატურებთან, ნოველას, ან



ჩანახატთან. მართალია, მოცულობით ვრცელი პროზაა „ორი მთვარის ამბავიც“, რომელიც ავტორის მეხუთე კრებულშია შეტანილი, მაგრამ სიუჟეტი იქაც ფრაგმენტული, წყვეტილი და არახაზობრივია, ამ შემთხვევაში კი ორივე ნაწარმოები თანმიმდევრულობით, მოქმედების განვითარებით, კულმინაციითა და სრულიად ლოგიკური ფინალით გამოირჩევა. ვინც კარგად იცნობს ორივე ნაწარმოების ტექსტს, ალბათ, აღმოაჩენდა, რომ ორივეგან თხრობის მანერა გარკვეულწილად კინემატოგრაფიულია, რომელსაც პირველიდან ბოლო გვერდამდე „ექშენ ფილმებისთვის“ დამახასიათებელი მუდმივი შინაგანი დაძაბულობის, აფორიაქებულობის, სასპენსის განცდა გასდევს. „მკვლელის“ ტექსტი იმდენად რიტმულია და მკითხველის ჩართულობა მასში აღწერილ მოქმედებაში იმდენად ძლიერი, რომ თემის სიმძიმის მიუხედავად, ერთი ამოსუნთქვით იკითხება. რაც შეეხება „მუსაქალას“, მიუხედავად იმისა, რომ აქ მოთხრობილი ისტორია თავისი სიმძაფრით არანაირად არ ჩამოუვარდება „მკვლელის“ სიუჟეტს, პირველი ნაწილი, დაძაბულობის თვალსაზრისით, ოდნავ ჩავარდნილია, რაც, ალბათ, იმითაა გამოწვეული, რომ ტექსტში მოთხრობილი დამოუკიდებელი ისტორიები, რომელთა გარეშეც ტექსტის სრულყოფილად გაგება თითქმის წარმოუდგენელი იქნებოდა, არასწორადაა გადანაწილებული — მხოლოდ ექსპოზიციაშია თავმოყრილი, არადა, ბევრად მომგებიანი იქნებოდა, თუკი მთელ ტექსტში პატარ-პატარა ჩანართების სახით მიმოიფანტებოდა.

როცა ლიტერატურული ნაწარმოები კინემატოგრაფიულია, ისევე, როგორც კინოში, აქაც მონტაჟი, ანუ აღწერილი სცენების ადგილმდებარეობა და თანმიმდევრულობა ხდება გადამწყვეტი, ამდენად, ტექსტის სტრუქტურის დაშლა, ცალკეული ეპიზოდების გადამონტაჟება, სიუჟეტური ხაზის პარალელური და ჯვარედინი მონტაჟის სახით აგება თხრობას ბევრად უფრო ცოცხალს, ემოციურსა და საინტერესოს გახდიდა. მაგალითისთვის, კარგი იქნებოდა კინემატოგრაფში ფართოდ გავრცელებული ხერხის — ფინალის მოქმედების დასაწყისში გადმოტანა — როდესაც თხრობა აფეთქებით დაიწყება, მკითხველს ბევრად ძლიერი სურვილი გაუჩნდება, ბოლომდე დარჩეს ტექსტთან, კონკრეტულ შემთხვევაში კი, ყველაზე დამაინტრიგებელი და მძაფრი ეპიზოდი ფინალისკენაა, რის შემდეგაც ყველაფერი მალევე მთავრდება, ამდენად, ის ძლიერი ემოცია, რომელსაც მაყურებელი იღებს, ძალიან ხანმოკლეა, ზარმაცი მკითხველის „დაჭერა“ კი ბევრად ადვილი იქნებოდა, თუკი ნაწარმოების პირველივე ეპიზოდიდან ძლიერი ემოციური შოკის ქვეშ მოექცეოდა.

„ექშენ ფილმებს“ კიდევ ერთი დაუწერელი, მაგრამ უკვე კლასიკად ქცეული კანონი აქვთ — რაც უნდა მძიმე და დაძაბული იყოს სიუჟეტი, სიმძაფრის გასანეიტრალებლად და მაყურებლის ყურადღების მისაპყრობად სადმე აუცილებლად უნდა ჩაერთოს ეროტიკული სცენა, რომელსაც შეიძლება, სიუჟეტთან არაფერი ჰქონდეს საერთო. მსგავსი ეპიზოდი „მუსაქალაშიც“ გვხვდება, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ტექსტისთვის მხოლოდ დეკორაცია, აქსესუარი კი არ არის, არამედ, მთავარი მოქმედი გმირის ფსიქოლოგიური პორტრეტის ბევრად საინტერესო და მრავალპლასტური კუთხით წარმოჩენას ემსახურება.

„მუსაქალაში“ აღწერილი ამბისთვის ქართველი ჯარისკაცების სამშვიდობო მისია ავღანეთში მხოლოდ ერთგვარი ფონია, არადა, ჩვენი ყურადღება ამ ქვეყნისადმი, ძირითადად, სწორედ ამ მისიას უკავშირდება, მაშინ, როდესაც ავტორისთვის მთავარი თალიბი მეომრის ტრაგიკული ისტორია და ომის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი და ტრაგიკული მხარეა, რომელზე აქცენტსაც მსოფლიოს უმსხვილესი მედიასაშუალებებიც კი არასოდეს აკეთებენ. იმავეს თქმა შეიძლება „მკვლელზეც“, სადაც ქართველი პარტიზანების თავდაუზოგავი ბრძოლაა აღწერილი საკუთარი მიწა-წყლის დასაბრუნებლად თუ დასაცავად, მაგრამ საზოგადოება ძალიან ფრთხილობს მათი შეფასებისას, ან მეტად ორაზროვანი მოსაზრებები უჩნდება მაშინ, როდესაც ლიტერატურულ ტექსტში ყველაფერი სხვაგვარადაა გააზრებული — აქ პარტიზანები გმირებად არიან გამოყვანილები.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ „მკვლელის“ თითქმის ყველა პერსონაჟი იმ სოციალური ფენის წარმომადგენელია, რომელთა ბედითაც ავტორი ყველაზე ხშირად ინტერესდებოდა ჯერ კიდევ ადრეულ მოთხრობებში, ისინი „ნოემბრის ჩანაწერებით“ დასათაურებულ პირად დღიურებშიც გვხვდებიან — სიმინდის ფქვილს რომ ყიდიან, ბავშვებს კი ინგლისურში ამზადებენ... ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ისევე, როგორც რეალობაში, ბექა ქურხულის ტექსტებშიც, სოციალური თვალსაზრისით, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფი ეს ადამიანები ღირსების გრძნობას არ კარგავენ და საკუთარი მიზნისა და იდეალებისთვის ბრძოლას არაერთი წინააღმდეგობისა და იმედგაცრუების მიუხედავად განაგრძობენ. კიდევ ერთი რამ არის აღსანიშნავი — ყველაზე გამოუვალი მდგომარეობის, პრაქტიკულად, ჩიხის დროსაც, არასდროს იპყრობთ ნიჰილიზმის განცდა, ისევე, როგორც მოთხრობა „მკვლელის“ მთავარი გმირის, გია ეზუხბაიას შემთხვევაში.

საერთო ჯამში, პროზაული კრებული „ქალაქი თოვლში“ ერთნაირად საინტერესოა როგორც მკითხველისთვის, ისე თანამედროვე ლიტერატურის მკვლევართათვის, რადგან მასში ხუთი ისეთი მოთხრობაა თავმოყრილი, როგორც თემატიკით, ისე ფორმის თვალსაზრისითაც, თანამედროვე ქართული ლიტერატურისთვის საინტერესო და მნიშვნელოვან სიახლეს რომ წარმოადგენს.

დებიუტი

TWO OF US

თამარ მესხი

თავადაც არ ვიცი, რატომ აღმოვჩნდი ამ „ივენთზე“. ადრე საღამოს არქმევდნენ ასეთ მოვლენებს, თუნდაც შუადღეზე გამართულიყო. ივენთი ჯობს, ქართული შესატყვისი მაინც არ გვაქვს.

ერთი დიდი ოთახი იყო, ნახევრად ჩაბნელებული. „ივენთს“ ძალიან გრძელი სახელწოდება კი ქონდა. მგონი, თანამედროვე ლიტერატურაზე იყო და შიგადაშიგ მუსიკაც ერია. როგორც ყოველთვის, საქმე არ მქონდა (უფრო სწორად, მქონდა, მარა დაწყება მეზარებოდა), ფეისბუქზე ამ ივენთს წავაწყდი, თან ჩემ სახლთანაც ახლოს იყო და წავედი.

55 წუთით დავაგვიანე, ჯერ ყველაფერი დამთავრებული არ იყო, ვუსმენდი გამომსვლელებს — მინიატურებს, ურითმო ლექსებს და საიდანღაც მუსიკაც ჟღერდა. აზრს და შინაარსს თავი ვერ გავართვი და დამსწრე საზოგადოების თმების დათვალიერებას შევყევი (უკან ვიჯექი და სახეები არ ჩანდა). ხალხი აირია. ზოგი გადიგამოდიოდა და ზოგიც ჭკვიანური სახით რაღაცაზე კამათობდა. გარშემო ნაცნობებიც იყვნენ, მაგრამ ისეთები, შორიდან რო იცნობ, მიხვალ, გამოელაპარაკები, გადაგკოცნის და „როგორ ხარ“-ის მერე უუხერხულესი სიჩუმის მსხვერპლი ხდები; ამიტომაც არავის გამოვლაპარაკებივარ. არ გეგონოთ, რომ ის შორეული ნაცნობები უინტერესო ტიპები იყვნენ ან რამე, უბრალოდ, მე ვიყავი მუდო.

ჩემ სკამთან ახლოს ჩაი-ყავა და მომცრო ზომის ნამცხვრეულობა ელაგა. შემთბარი და ძალიან მუქი ჩაი მოვსვი. კი არ მომეწონა, მაგრამ ხანდახან, უხერხულობის შესამცირებლად, საჭიროა, ხელები დაკავებული გქონდეს, თუნდაც ზედმეტად ტკბილი და შემთბარი ჩაით (იმ ჭიქით, ეს ჩაი რო ასხია).

სკამი, რომელზეც ვიჯექი და თბილ ჩაის ვსვამდი, გრძელი, ასე ორ-სამ ადგილიანი იყო. მარცხნივ ვიყურებოდი, და ამიტომ ვერ დავინახე, მხოლოდ სკამის ზედაპირის დეფორმაციით ვიგრძენი, გვერდით ვიღაც დაჯდა. თვალის მარჯვენა ქვედა კუთხით მისი ჩვეულებრივი ჯინსის ფერი ჯინსები და წითელი კედები აღვიქვი.

— ყავა ძალიან უგემურია? — მოულოდნელად მკითხა. საერთოდ, მე ყველანაირ კითხვაზე ვიბნევი, განსაკუთრებით უცხო ადამიანების მხრიდან, ან მცხელა, ან ვიბნევი, ან ორივე ერთად. ეს კი მშვენიერი კითხვა იყო, ვერაფერს დაუწუნებ.

— ყავა არაა, ჩაია, — ჩვეულებრივი ტონით ვუპასუხე. სამწუხაროდ, რაც მე ჩვეულებრივი, მშვიდი ტონი მგონია, იმას გარშემომყოფები უხეშ ან მაწაკ ინტონაციად აღიქვამენ.

— რაც არ უნდა იყოს, უგემური იქნება.

— რატო გგონია? — ვკითხე და შემთხვევით თვალებში შევხედე. მაშინვე გავწითლდი. თვალებში შეხედვა ჩემი სუსტი წერტილია. თუ ვინმე თვალებში მიყურებს, მგონია, ჩემი სულის ფსკერზე აფათურებს თითებს და ყველაფერს ხვდება, ოღონდ არ ვიცი, რა ყველაფერს (ოღონდ, თვითონაც არ ვიცი, რას?).

— გიყურებ და სულ ძალით სვამ, გადაყლაპვისას სახე გეჭმუხნება.

ოჰო! ეს რაღაც ახალია, გაკვირდებიო. არადა, ყოველთვის დარწმუნებული ვარ, ჩემი არსებობის შესახებ არავინ იცის და ვინც იცის, კიდია. მგონი, გამჭვირვალე ვარ და იმ სკამის ზურგსაც ხედავენ, რომელზეც ვზივარ (ისე, გამჭვირვალეს პირობაზე ცოტა მსუქანი კი ვარ).

— ხო, თბილია და ზედმეტი შაქარიც აქ, — ო, რა სუპერსაინტერესო მოსაუბრე ვარ!

— რაღას სვამ?

— უხერხულობის დასაფარავად, — გულწრფელად ვუპასუხე.

— აა. იცი, რატო მოვედი და ჩაის გემოზე და დალევის მანერაზე რატო გელაპარაკები?

— ??

— მომეწონე.

აი, აქ კი თვალები გადმომცვივდა გაკვირვებისგან. პირველად ვნახე ადამიანი, რომელსაც მოვეწონე, ყოველ შემთხვევაში, ვინც ეს ასე პირდაპირ მითხრა. ფინჯანი ავიღე დროის გასაყვანად და ვიფიქრე, თავს ავწევ, გავუღიმებ და რამეს ვკითხავ-მეთქი, მაგრამ ჭიქაში დარჩენილი საბოლოოდ გაცივებული ჩაის ბოლო ყლუპი სასულეში გადამცდა, ხველა ამიტყდა და ცრემლებიც გადმომცვივდა. ზურგზე ხელი დამარტყა. ძალიან რომანტიული კი იყო. სანამ სულს მოვიბრუნებდი, შემომეთვალიერა კიდეც — შავი თმა ქონდა, ჩემ ხველა-დახრჩობაზე არ იღიმებოდა, მარა თვალები უცინოდა. რაც ყველაზე მეტად მომეწონა, ძალიან გამხდარი იყო — გამხდარი კი არა, უჭმელი.

— უიჰ. ძალიან სასიამოვნოა, — გავუღიმე. თვალებში მაინც ვერ შევხედე, სახე მოვუთვალიერე მხოლოდ, კამორელივით.

კაცმა არ იცის, როგორ გაგრძელდებოდა საუბარი ამის მერე. მე რო რამე საინტერესოს მომფიქრებელი არ ვიყავი, ეგ კი უეჭველი ვიცი. ჰოოდა, სწორედ ამ დროს დაუძახეს და წამოდგა, დროებით, ãî ëóáî ãëàçàÿ-ო, მითხრა. როგორც აღმოჩნდა, ამ „ივენთისთვის“ უნდა დაეკრა რაღაც. ობიექტურად რო ვიმსჯელოთ, მუსიკის გარტყმაში არ ვარ, მაგრამ მომეჩვენა, რომ ძალიან კარგად უკრავდა. ეხლა უფრო სიმპათიურიც ჩანდა, მისი შავი თმა უფრო ხვეული და სიურრეალისტური მომეჩვენა, სახის ნაკვთები — უფრო ლამაზი, გამოხედვა — უფრო ჭკვიანური.

მერე სადღაც წავიდა. უცებ კი, მეძახის, კლეჩატსაროჩკიანო ჩაის მოყვარულო, მოიხედეო. და რას ვხედავ — ფინჯნით ხელში დგას. ეს ჩაი ცხელიცაა, ღია ფერის და შაქარიც ცოტა აქვსო, მითხრა და ფინჯანი მომაწოდა. ჯერ ხო ისედაც მომეწონა, ხმაში შეპარული ირონიის, სიგამხდრის და „დობრი“ გამოხედვის გამო, გიტარაზე აღარაფერს ვამბობ. და ეხლა, მზრუნველობაზე, რაც ცხელი ჩაის მოტანით გამოიხატა, სულ გადავირიე. ჯერ მადლობა გადავუხადე და ავდექი, ჭიქა ვერ გამოვართვი — ცხელი იყო. მერე მოვახერხე გამორთმევა, მერე გავწითლდი, მერე დავჯექი. კარგად უკრავდი-მეთქი, ვუთხარი. გასვლისას ჩვენთან ერთად წამოდიო, მითხრა. მის თანამგზავრებში ერთი-ორი ჩემი შორიახლო ნაცნობიც ერია. ჩემდა გასაკვირად, გზაში ბევრს ვლაპარაკობდი, ვმხიარულობდი, გრავიტაცია ჩემსა და დედამიწას შორის შემცირდა. მეჩვენებოდა, რო სიარულის ნაცვლად მივფარფატებდი. გარშემომყოფებიდან ზოგმა ავტობუსის გაჩერებისკენ გაუხვია, ზოგმა — სახლისკენ. ბოლოს ჩვენღა შევრჩით ერთმანეთს, სკვერში ბალახზე დავჯექით ფეხმორთხმით და ვლაპარაკობდით ყველაფერზე, რაც თავში მოგვივიდოდა. ვგრძნობდი, რო უკვე ძალიან მომწონდა,მოულოდნელად ჩემი მეორე მე გამოტყვრა და მეუბნება — რა იცი ხოლმე ეს მოულოდნელად გადარევა, ვინც გიტარაზე უკრავს, ყველა უნდა მოგეწონოს? მერე რა, რომ გამხდარია და „დობრი“ გამოხედვა აქვს. პირველად დღეს ნახე, არ იცი, როგორია, კეთილი თუ ბოროტი, მშვიდი თუ ემოციური, ლიბერალი, კონსერვატორი თუ სოციალისტი. აეხლა დავაი აქედან-მეთქი, ამ ჩემს მეორე მეს ვუპასუხე, ჯერესეცეგერთი, კარგა ხანია, ვლაპარაკობთ და ყველაფერზე ეტყობა, რო ძალიან კარგი ბიჭია და მეორეც, გაცნობის ხანგრძლივობით შეფასება დიდი სისულელეა-მეთქი. გაჩუმდა. რომც არ გაჩუმებულიყო, მაინც აღარ მოვუსმენდი. თუ გინდა, რამეს გიმღერებო. ეს მეორე მემ არა, ჩემმა ბიჭმა მითხრა. რას ვეტყოდი — უი რა კაია-მეთქი. Beatles-ის Two of us — მოგისმენიათ? დასაწყისი რო შემომესმა, ჯერ უბრალოდ, საყვარელი მელოდიის მოსმენა გამიხარდა. მერე გამახსენდა, რომ ამას ჩემი ბიჭი უკრავდა ჩემთვის, და გადავირიე, რაც გარეგნულად გაღიმებით და თვალების გაბრწყინებით გამოიხატა.

და თქვენ წარმოიდგინეთ, მერე ერთმანეთის პირადი ველები დავარღვიეთ. აი, ის, 20 სანტიმეტრზე ახლოს თუ მოგიახლოვდა ვინმე, დისკომფორტს რო განიცდი. დისკომფორტის რა გითხრათ და გული ამოხტომას ლამობდა ბუდიდან და ბრბო შემოტეხვას ლამობდა კარების.სანამ მაკოცებდა, ფილტვები ამტკივდა — მართალი ყოფილა საძაგელი გარყვნილი ბეგბედერი. კოცნაზე უკვე აღარაფერს გეტყვით. The Holy Kiss that’s supposed to last eternity. მცირე ძაბვის დენის დარტყმას გავდა ეს ყველაფერი. ჩვენი გულები თითქოს ერთად ცემდნენ — ძალიან სულელურად კი ჟღერს, მარა ასე იყო და ხო არ მოგატყუებთ. ლამაზი თმა გაქვსო, მითხრა, ოღონდ უფრო გრძელი თმა მოგიხდებოდაო. არადა, რამდენ წელიწადს ვატარებდი გრძელ თმას. გელოდებოდი და რო აღარ გამოჩნდი, შევიჭერი-მეთქი, ვუპასუხე. მერე ეს ყველაფერი ისე უნდა გაგრძელებულიყო, როგორც გრძელდება შეყვარებულ ადამიანებს შორის (მერე რა, რამდენიმე საათის ნაცნობები რომ ვიყავით, გეფიცებით, მიყვარდა) მარა თავი გავითავისუფლე მისი ხელებისგან, რაღაცები მოვბოდე, მოკლე შინაარსი კი ასეთი გამოვიდა — არა ვარ მე იმნაირი-მეთქი (უცებ გამახსენდა, ერთ მოთხრობაში ქალი მთავარ პერსონაჟს უარს რო ეუბნება, ტყეში ვერ „დაგნებდები“, ქუჩის ქალი კი არ ვარო და იმან — ქუჩას რა უნდა ამ შუა ტყეშიო). ამაზე გამეცინებოდა, გაცინების თავი რო მქონოდა. ცოტათი კი შეეტყო, რო ნერვები მოეშალა, მარა არაფერი შეიმჩნია. როგორც გინდაო, მითხრა, მხარზე ხელი დამადო, გამიღიმა და წასასვლელად მოემზადა. რომ მიტრიალდა, მივხვდი, ძალიან მინდოდა, რაღაც მეთქვა და უი, გიტარა გრჩება-მეთქი, დავუძახე. ბალახზე იდო. აიღო, დამემშვიდობა და წავიდა.

ამის მერე ზოგჯერ ვხვდებოდით ერთმანეთს. უკვე ცხელოდა და ლუდის სეზონიც მოსულიყო. დიდხანს ვიჯექით და ვლაპარაკობდით ათას სისულელეზე და ალაგ-ალაგ სიჭკვიანეზეც, ოღონდ, ჩვენს სიყვარულს, თუ რაც იყო, არ შევხებივართ. ერთი კია, როცა თვალებში ვუყურებდი, ფილტვები მტკიოდა და მსუბუქი ძაბვის დენის დარტყმას ვგრძნობდი. ერთხელაც, სიყვარულის ზედმეტად მოზღვავება ვიგრძენი, თანაც, ძალიან ლამაზი იყო. გამხდარი. გამხდარი კი არა, უჭმელი. წვიმაში მოყვა,შემცივნული იყო და სველი თმა ქონდა — ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, მივუახლოვდი და ვაკოცე. ჯერ თვითონაც მიპასუხა, მერე თავი გაწია და მეუბნება — შენ მაგას როგორ გაკადრებო. დამცინოდა, ნაბიჭვარი. ვკითხე — დამცინი, ნაბიჭვარო-მეთქი? კიო. გამეცინა, მარა მაგრად კი დავიგრუზე.

მერე რამდენჯერმე ვიღაც გოგოსთან ერთად ვნახე. ვკითხე და, ის გოგო მისი შეყვარებული აღმოჩნდა. განვრისხდი, აი, ჰერაკლეზე მულტფილმში ჰადესს თავზე ცეცხლი რო უკიდია, დაახლოებით ისე და იმ გოგოზე რაღაც ცუდის გაფიქრებაც დავაპირე, fucking sluty bitch ან რაღაც ამდაგვარი. მარა ობიექტურობამ ქეჩოში ხელი ჩამავლო: კაი გოგო იყო, უნდა მეღიარებინა ჩემს მეორე მესთან. ჭორფლიანი, ყავისფერი თვალებით. სარაფანი ეცვა და „კაზაჩოკის“ მსგავსი ჩექმები, იფიქრებდი, სადაცაა, ცხენს უნდა მოახტესო (კოვბოის ქუდი მოუხდებოდა გრძელ, ხვეულ თმაზე). სისულელე ვკითხე — გიყვარს თუ ჩემს ჯიბრზე იქცევი ასე-მეთქი. არა კაცო, რა შენს ჯინაზე, მიყვარს, ხო კაი გოგოაო? კიმეთქი, ობიექტურად დავეთანხმე. ჯერ ვიფიქრე, ტუჩებს მაგრად მოვიკვნეტ-მეთქი, მარა რო ვიგრძენი, მეტკინებოდა, გადავიფიქრე. მერე მაჯების გადასერვაც დამეზარა და მუშტის კედელზე მირტყმაც. ძალიან ცუდ ხასიათზე კი დავდექი. საათობით ვიჯექი სიბნელეში და ხან „Love is just a four letter word“-ს ვიმეორებდი ზედიზედ უამრავჯერ და ხანაც „ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ სახმილნი სდებიან“-ს. მოკლედ, ცუდად ვიყავი და ერთიორჯერ დარდისგან ღამეც შემომეთენა, მარა რა არ გადაუტანია ხალხს ცის ქვეშ — და ამანაც გადამიარა. ერთი ეგაა, Two of us-ის მოსმენისას ხან მეღიმება, და ხან ვცოფდები — განწყობას გააჩნია.

ისე, ძალიან კარგი ბიჭი კი იყო. შეგვეძლო, დიდხანს და ბედნიერად, ან ცოტახანს და ბედნიერად ვყოფილიყავით ერთად.

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com